ლომი

№ 067 (12 137)

22 მარტი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ხიზანიშვილი და ალექს მაკლიში რეინჯერსში ყოფნის დროს

ტოპმიოლერი: გამარჯვება კალაძის გარეშეც შეგვიძლია

ხიზანიშვილი: სკოტებო, გეშინოდეთ არველაძის!

როი აიტკენი: ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ქართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად

არველაძე? დემეტრაძე და კოგიაშვილიც არ დაგავიწყდეთ

რას წერს ბრიტანული პრესა 2

ამხანაგური მარცხი გერმანიაში

19-წლამდელები 5



ევრო 2008. 24 მარტი. შოტლანდია-საქართველო. მზადების მეორე დღე

დატვირთვები გაიზარდა, გადავედით ტაქტიკაზე

სამწვრთნელო შტაბში ზაურ სვანაძეცაა, დემეტრაძე ჩამოვიდა, ბიჭები ჯანზე არიან, დასჯილი კანკავაც თავს იკლავს...

პაატა თოთაძე
გლაზგოდან

ლონდონში დიდხანს შეყოვნებულებმა გლაზგოში ნაკრების ვარჯიშზე დასწრება ვერ მოვახერხე, თუმცა საღამოს სასტუმრო "მენზისში" (სადაც ჩვენი ნაკრებია დაბანაკებული) მისვლისას, ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისგან ყველაფერი დაწვრილებით გავიგე. შეკრების პირველ დღეს გუნდმა გლაზგოს უნივერსიტეტის სტადიონზე მსუბუქად ივარჯიშა. ნაკრებს **გიორგი დემეტრაძეც** შეუერთდა. ივარჯიშა **ჯაბა კანკავამაც**, რომელიც შაბათის მატჩს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს.

"პირველ დღეს ვერიდებით ხოლმე დიდ დატვირთვებს და ამიტომ, ვარჯიში ზედმეტად გადატვირთული არ იყო" - გვითხრა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ბესიკ ფრიდონაშვილმა**. რატომღაც, ყოველთვის კომუნიკაბელურმა **კლაუს ტოპმიოლერმა** საუბრისგან თავი შეიკავა...

გუშინდელი წვრთნა გაცილებით დატვირთული იყო. 3 საათზე ნაკრებმა "რეინჯერსის" ბაზას მიაშურა, სადაც დაახლოებით საათნახევარი ივარჯიშა:

"გვაქვს გარკვეული მონახაზი, თუ როგორ უნდა ვითამაშოთ შაბათს და ვარჯიშზე სწორედ ამ სქემებს ვამუშავებდით. დღეს ძირითადად დაცვაზე გავამახვილეთ ყურადღება. ვიცით, როგორ უტევენ შოტლანდიელები და ამ შეტევების მოგერიება როგორმე უნდა მოვახერხოთ. ბიჭებს დიდი ფიზიკური დატვირთვა ჰქონდათ. სასიხარულოა, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში არიან, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. წარმატების იმედი ტყუილად არ გავქვს" - ესეც ფრიდონაშვილის სიტყვებია.

სასტუმროში **ალექსანდრე ჩივაძე** და **ზაურ სვანაძე** დაგვხვდნენ. ჩივაძე საქმოგოდაა ჩამოსული, სვანაძე კი, შეგვიძლია ჩავთვალოთ, სამწვრთნელო შტაბის წევრია, მართალია, ჯერ ოფიციალურად არა, მაგრამ როგორც თავად გვითხრა, საქმეს მხოლოდ ფორმალური დასტური სჭირდება.

ამის მერე, ფეხბურთელებთან გასაუბრებაც მოვახერხე. უკვე გვიანი იყო, ზოგს მოსვენება უნდოდა და ნომერში დარჩენა ამჯობინა, ზოგმა კი სასტუმროს ჰოლს მიაშურა...

დავით კვირკველია

- გუშინდელი მსუბუქი ვარჯიშის შემდეგ, დღეს უფრო სერიოზული დატვირთვები მივიღეთ. "რეინჯერსის" ბაზაზე მშვენიერი პირობები შეგვიქმნეს. ყველანი კარგად ვართ, ბიჭებს ეტყობათ, რომ არაფრის დამთმობნი არ არიან. სამწუხაროდ, ხალხი გვაკლია, მაგრამ რას ვიზამთ, ახლა წუწუნის დრო არ არის... უფრო უარესიც ყოფილა და როგორღაც გავსულვართ ფონს. იმედია, ახლაც ასე იქნება, წასაგებად ნამდვილად არ ვართ ჩამოსულები.

ლადო გურდული

- მშვენივრად ვართ, არაფერს ვუჩივით. მზადებისთვის ძალიან კარგი პირობებია. ტოპმიოლერი ტაქტიკაზეც გვესაუბრა, სხვადასხვა სქემა დავამუშავეთ. ვატყობთ, საქმე წინ მიდის. ხვალ და ზეგ უფრო დავხვეწთ კონდიციებს და ნახავთ, როგორ ბრძოლას გავუმართავთ შოტლანდიელებს.

საინტერესოა, რომ "რეინჯერსის" ბაზის დაცვამ შოტლანდიელ მზვერავებს კარი ჩაუკეტა. სხვათა შორის, ჩვენი გუნდის წვრთნის პროცესს არც აქაური მედია გააკარეს. ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, ტოპმიოლერისგან ვარჯიშის დახურვის დირექტივა არ ყოფილა, უბრალოდ, "რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ თანამემამულე ჟურნალისტებს სთხოვა, სტუმარი ფეხბურთელები არ შეეწუხებინათ.

მეტოქეს რაც შეეხება, ცხადია, ყურადღების ცენტრში **ალექს მაკლიშია**, რომელსაც შაბათს დებიუტი აქვს. მას უკვე ათჯერ მაინც მოვკარი თვალი ტელევიზორში, აქეთ-იქით არიგებს ინტერვიუებს და ქომაგებს აიმედებს - ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს, მაგრად ვიბრძოლებთო. თუმცა ისიც დაამატა, ქართველების წინააღმდეგ დიდი სიფრთხილე გვმართებსო...

ამინდზეც გეტყვით. გლაზგოს თავზე ცა დილიდანვე მოიქუფრა და ნაშუადღევს ცოტა ინვიმა კიდეც. მართლია, საღამოთი გამოიდარა, მაგრამ ჩრდილოური სუსხი სასიამოვნო ნამდვილად არ არის...

დღეს ჩვენი გუნდი აქაური დროით 15 საათზე, კვლავაც "რეინჯერსის" ბაზაზე ივარჯიშებს. სასტუმროში დაბრუნების შემდეგ მწვრთნელებს თეორიული მეცადინეობა აქვთ დაგეგმილი. ტოპმიოლერი საქართველო-თურქეთის მატჩის განხილვას მოაწყობს. მოგვიანებით კი, გუნდს განტვირთვის საშუალებაც ექნება. ბიჭები გლაზგოს ქუჩებში გაისეირნებენ და სურვილისამებრ, გოლფითა და ბოულინგითაც შეიქცევენ თავს...

ხიზანიშვილი და არველაძე რეინჯერსის ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ

შეხვედრა ძველ ნაცნობებთან

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ბარი ფერგიუსონი

რეინჯერსისდროინდელი ხიზანიშვილი

ტოპმიოლერი: გამარჯვება კალაძის გარეშეც შეიძლება

ხიზანიშვილი: ფერგიუსონი რომ არა, შაბათს უფრო მეტი შანსი გვექნებოდა

ბრიტანულმა საინფორმაციო საშუალებებმა გუშინ არა ერთი მასალა მიუძღვნეს გლაზგოში ჩასულ საქართველოს ნაკრებს. ალბიონელები ჩვენი გუნდის ფეხბურთელებსაც გაესაუბრნენ. ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ: *"შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი გლაზგოში დაბრუნდნენ. ამჯერად, ისინი შოტლანდიელთა გულის გასახარად კი არა, მათ წინააღმდეგ ითამაშებენ საქართველოს ნაკრების რიგებში. ორივე ერთ აზრზეა. ისინი აცხადებენ, რომ გლაზგოდან ხელცარიელნი არ წავლენ"...*

აქვეა **შოთა არველაძის** კომენტარიც: *"მართალია, განვლილ ოთხ მატჩი მხოლოდ 3 ქულის მოპოვება შევძელით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უშანსოდ ვართ. გაითვალისწინეთ, რომ ამ ოთხიდან 3 თამაში საფრანგეთთან, იტალიასთან და უკრაინასთან გვქონდა. "ჰემპდენ პარკზე" ძალზე რთული მატჩი გველის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სასურველი შედეგის მიღწევა. გლაზგო ჩინებული ქალაქია კარგი ფეხბურთის სათამაშოდ. შოტლანდია ხელცარიელებმა არ უნდა დატოვოთ".*

შემდეგ, საუბარია **ზურაბ ხიზანიშვილზე**: *"საქართველოს ნაკრების მცველი ზურაბ ხიზანიშვილი წლების წინ ძალზე მოხარული იყო, როცა ალექს მაკლიშმა "დანდიდან" "რეინჯერსში" წაიყვანა. თუმცა 18 თვის თავზე ქართველმა ფეხბურთელმა მწვრთნელის ნდობა დაკარგა და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. თუმცა აშკარად ეტყობა, რომ მაკლიშზე სულაც არაა ნაწყენი", -* ამ სიტყვებით იწყებს "ივნინგ თაიმსის" მიმომხილველი მასალას, მერე კი სტატიას ხიზანიშვილის სიტყვებით აგრძელებს:

"როცა ალექს მაკლიშზე მეკითხებიან, რატომღაც ყოველთვის ჰგონიათ, რომ მასზე აუცილებლად რაიმე ცუდი უნდა ვთქვა. ამას ნამდვილად არ ვაპირებ, პირიქით, ბედნიერი ვიყავი, როცა მაკლიშმა "რეინჯერსში" მიმიწვია. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ბოლოს რაღაც აირია. ძალიან კი დამწყდა გული, მაგრამ "რეინჯერსთან" გამოთხოვება მომიწია. ფეხბურთში ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ მე მაინც მადლიერი ვარ კლუბის მესვეურების, რაკი "ბლექბერნში" გამიშვეს. იქ თავს ჩინებულად ვგრძნობ. ჩემი და მაკლიშის კარიერა სხვადასხვა გზით გაგრძელდა. მას წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ არა 24 მარტს"...

ბუნებრივია, **კლაუს ტოპმიოლერს** შოტლანდიის ნაკრები კარგად ჰყავს შესწავლილი. დამატებით, ის ხიზანიშვილისა და არველაძისგან იღებს ამომწურავ ინფორმაციებს მეტოქის თითოეულ ფეხბურთელზე: *"რაც ვიცოდი, ყველაფერი ვუთხარი, - ამბობს ხიზანიშვილი, - შოტლანდიის ნაკრებიდან ყველაზე ძლიერ ფიგურად ბარი ფერგიუსონი მიმაჩნია. მაკლიშს ის რომ არ ჰყავდეს, ჩვენ უფრო მეტი შანსი გვექნებოდა. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, შაბათს წარმატებას უნდა მივაღწიოთ".*

შოტლანდიელმა რეპორტიორებმა მხოლოდ გუშინ გაიგეს, რომ გლაზგოში ჩასულ საქართველოს ნაკრებს კაპიტანი **კახა კალაძე** აკლია: *"ამჯერად, უფრო კარგი შემადგენლობა გვყავს, ვიდრე წინა თამაშებში იყო. სამწუხაროდ, კახა კალაძე გვაკლია, თუმცა დაცვის ხაზში სხვა ფეხბურთელებიც არიან და მათი იმედი გვაქვს. ადრეც ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ: გლაზგოში სამი ქულისთვის ჩამოვედით"* - აცხადებს გერმანელი სპეციალისტი, რომელსაც სწორედ "ჰემპდენ პარკზე", "ლევერკუზენის" მწვრთნელობისას, "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს ნაგებული. იქნებ, ამიტომაც სწყურია გამარჯვება ქართველების დამრიგებელს?

მოამზადა
დავით ცაბაძემ

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ქართული საფრთხის გასანეიტრალებლად

რიი აიტკენი: დემეტრაძე და კობიაშვილიც არ დაგავიწყდეთ

შოთა სულ იქაა, სადაც საჭიროა

ენდი უოტსონი: არველაძისა და ხიზანიშვილისგან საფრთხე ორმაგია

ალექს მაკლიშის თანაშემწე **ენდი უოტსონი** შიშობს, რომ "რეინჯერსის" ყოფილ ფეხბურთელებს, **შოთა არველაძესა** და **ზურაბ ხიზანიშვილს**, დამატებითი მოტივაცია ექნებათ 24 მარტის შეხვედრაში.

"შოთა ტოპკლასის ფეხბურთელია. ის მოედანზე აზროვნებს, კარგად იხსნება, ურტყამს და აქვს დიდებული ტექნიკა. მართალია, ახლა ისეთივე სწრაფი არაა, როგორც ადრე იყო, მაგრამ ამას გამოცდილებით ფარავს და სულ იქაა, სადაც საჭიროა. შოთამ მისთვის საჭირო ნაბიჯი გადადგა, როცა "რეინჯერსიდან" წავიდა. "აიბროქსზე" მან თავი კარგად წარმოაჩინა, ყოველთვის სახიფათო იყო მეტოქეებისთვის, მაგრამ მის თამაშს ტრავმებმა გარკვეული დაღი დაასვა. ჩვენ შოთას დატოვება გვინდოდა და თუ რატომ, ეს მისმა შემდგომმა კარიერამ გვიჩვენა. ახლანდელი სიტუაცია იმას მაგონებს, ფეხბურთელი თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ გაათკეცებული ენერგიით რომ თამაშობს. ვშიშობ, რომ იგივეს უნდა ველოდოთ ხიზანიშვილისგანაც. შოთამ ჩვენთან ერთად ბევრი პრიზი მოიგო, ამავე დროს, ის კარგი პიროვნებაცაა. ხიზანიშვილი ახლა ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ახლახან, ის თურქეთის ნაკრებთან მატჩში კაპიტანიც გახლდათ. საქართველოს ნაკრებს ჰყავს ევროპაში მიმობნეული ტალანტი და სწორედ თურქეთთან მატჩმა გვიჩვენა კარგად მათი ნიჭიერება".

შოტლანდიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი და ამჟამად **ალექს მაკლიშის** თანაშემწე **რიი აიტკენი** ფიქრობს, რომ საქართველოს მათთვის საკმაოდ ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია 24 მარტს, "ჰემპდენ პარკზე", ევრო 2008-ის შესარჩევ მატჩში:

"მეტოქის ძალას საკმარისად ვაფასებთ, არავის ეგონოს, რომ მათ ზემოდან ვუყურებთ. ჩვენ კარგად ვითვალისწინებთ ამ გუნდის შესაძლებლობებს. მართალია, ჯგუფში რამდენიმე მატჩი წააგეს, მაგრამ ისინი ხომ უძლიერეს მეტოქეებს ხვდებოდნენ. ამ წაგებულ მატჩებშიც იყო მომენტები, როცა ჩვენი მომავალი მეტოქე ძალიან სახიფათოდ თამაშობდა. ჩვენი ფეხბურთელები მზად უნდა იყვნენ ქართული საფრთხის გასანეიტრალებლად, რომელიც მხოლოდ შოთა არველაძისგან არ მოდის. საქართველოს ნაკრებს, მის გარდა, კარგი შემსრულებლები ჰყავს მოედნის შუა ხაზში გიორგი დემეტრაძისა და ლევან კობიაშვილის სახით. კიდევ არიან საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელები, რომელთაც ძალუძთ, პრობლემები შეგვიქმნან. ახლა ჩვენ მათი თამაშების ვიდეოჩანაწერებს დაწვრილებით განვიხილავთ, დავაკვირდებით თითოეული ფეხბურთელის ქმედებას. ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს მეტოქეს სათანადოდ არ ვაფასებთ. მთავარია, ნაკრებში ერთობ ოპტიმისტური განწყობაა, რაც შესარჩევის ამ ეტაპზე ლამის გადამწყეტია" - განუცხადა "სპორტინგლაიფს" აიტკენმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ზურაბ ხიზანიშვილი და ალექს მაკლიში

სკოტებო, გეშინოდეთ არველაძის!

მოკლედ, საქართველოს ნაკრები გლაზგოშია და "რეინჯერსის" საწვრთნელ ბაზაზე, "მიურეი პარკში" ვარჯიშობს. **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდს იქ "რეინჯერსის" ახალგაზრდული გუნდის მოედანი დაუთმეს. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ინტერესი ბაზაზე ყოფილი "რეინჯერების", **შოთა არველაძისა** და **ზურაბ ხიზანიშვილის** გამოჩენამ გამოიწვია. კლუბის ოფიციალური ვებგვერდის წარმომადგენელი **ემა ოდსი** ხიზანიშვილს გაესაუბრა. ზურამ აღნიშნა, რომ სკოტებს ყველაზე მეტად მისი მეგობრის, შოთა არველაძის უნდა ეშინოდეთ:

"შოთა დიდი მონდომებით ემზადება ამ მატჩისთვის. ის ძალიან პოპულარული იყო აქ, შოტლანდიაში. ჩვენ ნაკრებს ჰაერივით სჭირდება არველაძის შედეგიანი თამაში. დღეისთვის, ის ნაკრების ლიდერია, გამოცდილი და მოაზროვნე ფეხბურთელია. მე და შოთამ კარგად ვუწყოთ შოტლანდიელ ფეხბურთელთა დიდი ნაწილის შესაძლებლობები და ვფიქრობ, ეს ჩვენი უპირატესობაა. ძალიან მინდა, არველაძემ შეძლოს შოტლანდიის ნაკრების დაცვის გარღვევა. თუკი ვინმე შეიძლება იყოს ამ მატჩის ვარსკვლავი, ეს ალბათ არველაძე იქმნება. ვიცი, რომ შოტლანდიის ნაკრებს შინაური კედლების უპირატესობა აქვს, მაგრამ ჩვენს შანსებს მაინც 50X50-ზე ვაფასებ. ყველაფერს მატჩი გაარკვევს, თუმცა ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და ამას შაბათს დავამტკიცებთ კიდეც".

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გასხსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ალექს მაკლიში

რატომ მოითხოვეს სელტიკის ფანებმა მაკლიშის რეინჯერსში დარჩენა...

შოტლანდიის ახალი მწვრთნელი ნაკრების აღორძინებაზე ოცნებობს

უეფას ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია შოტლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ ალექს მაკლიშზე. მასალა საკმაოდ ვრცელია და ამიტომ, ფრაგმენტებად გაგაცნობთ. ანუ, შემოგთავაზებთ იმას, რაც შოტლანდიასაქართველოს მატჩამდე ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება...

"შესაძლოა, ალექს მაკლიშის სამწვრთნელო საქმიანობაში დაბრუნება ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც თავად ელოდა, თუმცა შოტლანდიელს საკუთარი პროფესიული საჭიროების დამტკიცება მყარად აქვს გადაწყვეტილი. როცა გასული წლის ზაფხულში 48 წლის სპეციალისტმა "რეინჯერსი" დატოვა, ინგლისურ პრემიერლიგაში, ან ევროპის სხვა ქვეყნებში სურდა ძალების მოსინჯვა. მალე, "რეინჯერსიდან" მისი მემკვიდრე **პოლ ლე გენიც** დაითხოვეს და პოსტი ჩააბარეს **უოლტერ სმიტს**, რომელმაც ამის გამო ეროვნული ნაკრები შუა გზაში მიატოვა. შედეგად, შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციამ მაკლიშს ეროვნულ გუნდში მუშაობა შესთავაზა. უარის თქმა არ გამოდიოდა.

"რამდენიმე წინადადება მივიღე, მათ შორის, ერთ-ერთი უცხოური ნაკრებისგანაც, თუმცა კლუბში მუშაობა მსურდა და უარის თქმას ვაპირებდი... და აი, ამ დროს შოტლანდიის ნაკრების გაწვრთნა შემომთავაზეს და მივხვდი, რომ უარის თქმა არ შემეძლო".

მაკლიში ნაკრებში მას შემდეგ გავიდა, რაც სმიტის ხელმძღვანელობით გუნდმა ფიფას რეიტინგში სწრაფი აღმასვლა დაიწყო. ამჟამად, შოტლანდიელები მე-16 ადგილზე არიან. ეს მათ ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია. გუნდმა გულშემატკივრებში იმედი გააცოცხლა. უკვე ათი წელია, ფანები საყვარელი გუნდის დიდ ტურნირებში მონაწილეობას ელიან. თუმცა მაკლიში სთხოვს მათ, მიზანს ნაადრევად ნუ ჩათვლიან მიღწეულად...

"ჩვენ ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია. როგორც იქნა, შოტლანდიის ნაკრებში გუნდური სულისკვეთება და ჯანსაღი ატმოსფერო შეიქმნა, რაც ბოლოდროინდელი წარმატებული თამაშებით აიხსნება. მსურს, მომავალშიც ასე გაგრძელდეს. თუმცა მოდით, ლიდერობაზე მხოლოდ შესარჩევი ეტაპის დასრულების შემდეგ ვისაუბროთ".

მაკლიშმა, საერთაშორისო დონეზე, ნაკრებში 77 მატჩი ჩაატარა და სამჯერ ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე. აქედან გამომდინარე, მან კარგად იცის, რა რთულია ასეთ ტურნირებზე მოხვედრა. მაკლიშის აზრით, ძველი წარმატებების დასაბრუნებლად, ინგლისის პრემიერლიგის ძლიერ კლუბებში გაცილებით მეტი შოტლანდიელი უნდა მოხვდეს.

"ადრინდელისგან განსხვავებით, დღეს გრანდებში შოტლანდიელები დიდი რაოდენობით აღარ თამაშობენ, - სწუხს 1983 წლის თასების თასის გათამაშების გამარჯვებული, "აბერდინის" ექსკაპიტანი მაკლიში, - ამჟამად, ცუდი გუნდი არ გვყავს. ფლეტჩერი, მაკფადენი, მაკკალოხი, მელოუნი და სხვები ნიჭიერი ბიჭები არიან. თუმცა ადრე ნაკრებში თამაშობდნენ დალგლიში, საუნესი, ჯორდანი, რობერტსონი"...

მაკლიშმა შოტლანდიის ნაკრებთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააფორმა და სურს, მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს:

"მსურს, დიდი ნახტომის გაკეთება და მუშაობიდან სიამოვნების მილება. საამისოდ, რეგულარული წარმატებებია საჭირო. თუკი ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდებით, ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უდიდესი წარმატება იქნება".

აი, ასე გამოეხმაურა უეფას ვებ-გვერდი მაკლიშის თემას. თუმცა ამ კაცის კარიერაში არის სხვა საინტერესო ფაქტებიც, რომელიც გლაზგოში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულე **დავით სირაძემ** გვიამბო.

მოგეხსენებათ, "რეინჯერსი" და "სელტიკი" ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულები. შესაბამისი, და შეიძლება უფრო მძაფრი, დაპირისპირებაა გულშემატკივრებს შორისაც. ალექს მაკლიშის ხელმძღვანელობით, "რეინჯერსმა" ოთხი წლის განმავლობაში შვიდი ტიტული მოიპოვა და პირველი შოტლანდიელი სპეციალისტი გახდა, რომლის გუნდმაც ჩემპიონთა ლიგის ფლეიოფში გააღწია. მიუხედავად ამისა, მაკლიშმა "რეინჯერსის" ქომაგთა გული მაინც ვერ მოიგო, რადგან "სელტიკი", მაინც, კონკურენტზე უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა. ეს გახდა კიდეც "სელტიკის" ფანების ცინიკური ქცევის მიზეზი, როცა მაკლიშს ხსნიდნენ და მის ნაცვლად, ცნობილ ფრანგ მწვრთნელ ლე გენს ნიშნავდნენ. "სელტიკის" ფანებმა "ჰემპდენ პარკზე" ასეთი ტრანსპარანტი გამოაკრეს: "გთხოვთ, ნუ მოხსნით მაკლიშს!"

ამით, მისტერ ალექსის კვალიფიკაცია სასაცილოდ აიგდეს და მიანიშნეს, რომ "რეინჯერსში" მისი ყოფნა "სელტიკისთვის" უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ და იმის იმედიც დავიტოვოთ, რომ მაკლიშს უსიამოვნო დებიუტი ექნება...

მერაბ მამულაშვილი



ოლეგ ბლოხინი

მასწავლებლები, პოლიციელები, მეთევზეები, დურგლები...

ფარერელებს მოსამზადებელი შეკრება ესპანეთში გაუვლიათ

უკრაინულ გაზეთ "ბლიკის" ჟურნალისტი ფარერების ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოგვან მარტინ ოლსენს** ესაუბრა. ამ გუნდმა 24 მარტს ტოფტრში უკრაინას უნდა უმასპინძლოს (ამ თამაშის გამართვა უამინდობის გამო ეჭვქვეშაა), 28-ში კი, თბილისში, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეხვდეს.

ოლსენის შტაბის წევრმა ხსენებულ გაზეთთან საუბარში ეს თქვა: *"ჩვენს ნაკრებში პროფესიონალი ფეხბურთელი მხოლოდ ნახევარია. ისინი ინგლისში, ისლანდიაში, ძირითადი ნაწილი კი დანიაში თამაშობს. დანარჩენები მოყვარულები არიან და ეროვნულ პირველობაზე გამოდიან. თითქმის ყველა მათგანს, პარალელურად, კიდევ ერთი პროფესია აქვს. ამგვარად, ნაკრებში გვყავანან მასწავლებლები, პოლიციელები, მეთევზეები და დურგლებიც. უკრაინასთან და საქართველოსთან მატჩებისთვის მოსამზადებელი შეკრება ესპანეთში მოვაწყვეთ და მეტოქეების შესწავლასაც ვცდილობდით".*

ბლოხინი გადადებას ემხრობა

სავსებით შესაძლებელია, 24 მარტისთვის დანიშნული ფარერებისა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა მატჩი უამინდობის გამო გადაიდოს. კუნძულზე ფეხბურთთან ყოვლად შეუთავსებელი ამინდია. მოედანი საშინელ მდგომარეობაშია. უკრაინელთა თავკაც **ოლეგ ბლოხინს** შეხვედრის გადადების საწინააღმდეგო არაფერი აქვს:

"თავიდანვე არ გვურდა, რომ ფარერებზე მარტში გვეთამაშა, მაგრამ ფრანგებმა და იტალიელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს. მათი ჩანაფიქრით, რომ კატასტროფულ პირობებში სუსტ მეტოქესთან წაფორხილების საფრთხე დაგვემუქრებოდა. სავსებით შესაძლებელია, ასეც მოხდეს, ამიტომ, სულაც არ მეწყინება, თუკი ეს თამაში მოგვიანებით გაიმართება. ფარერებზე ახლა გაუსაძლისი ყინვა და დიდი თოვლია. არა მგონია, ასეთ პირობებში თამაშს აზრი ჰქონდეს," - ამბობს ბლოხინი.

უკრაინელებს კუნძულზე თამაში 22 ივლისს სურთ. ბლოხინის თქმით, ყველაზე ცუდი ის იქნება, თუ მისი გუნდი ფარერებზე გაემგზავრება და მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, არბიტრი მის ჩატარებას შეუძლებლად ჩათვლის. შეხვედრის გადადების თაობაზე უკრაინელები ფარერელთა პასუხს დაელოდებიან, თუმცა, შესაძლებელია, ორმხრივი უარის შემთხვევაშიც კი, მატჩი მაინც შედგეს. ეს მაშინ მოხდება, თუ ჯგუფის სხვა მონაწილეები ამ თამაშის გადატანის იდეას არ მიემხრობიან (უკვე ყველა მეტოქემ მისცა თანხმობა). აქვე, ბლოხინის მიერ გამართული პრესკონფერენციიდან რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ.

- გუნდის ლიდერების სადღეისო ფორმით კმაყოფილი ხართ?

- დიახ, მათი უმრავლესობა ბოლო დროს კარგად გამოიყურება. შევჩენკოსა და ვორონინს ბევრი გოლი გააქვთ, "ზენიტში" სადებიუტო მატჩები კარგად ჩაატარა ტიმოშჩუკმა...

- ფარერების ნაკრებზე რამდენად სრულ ინფორმაციას ფლობთ?

- საკმაოდ ინფორმირებული ვარ. ესაა დაცვითი სტილის გუნდი, რომელსაც იოლად გატეხავ, თუ სწრაფ გოლს გაუტან.

- ფარერებთან და ლიტვასთან ერთი შემადგენლობით აპირებთ თამაშს?

- არა, ესენი განსხვავებული სტილის გუნდები არიან და, შესაბამისად, შემადგენლობასაც განსხვავებულს დავუპირისპირებ.

- ლიტვას ოდესაში ვმასპინძლობთ. მოგწონთ ეს გადაწყვეტილება?

- დიახ, კიევში თოვლია, ოდესაში კი მშვენიერი ამინდია. მთავარია, კარგად ითამაშო, ადგილს ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

- ფარერებზე გამგზავრების შემთხვევაში, იქ ვარჯიშს ჩაატარებთ?

- ამას აზრი არა აქვს. მიზეზი ისევ და ისევ, ცუდი მეტეოროლოგიური პირობებია.

- მილევსკის არგამოძახებით მის გამოსწორებას ისახავთ მიზნად?

- გამოსწორება რა შუაშია, ნაკრებში შრომა-გასწორებითი კოლონია კი არ მაქვს გახსნილი. მიზეზი მარტივია - მილევსკი ფორმაში არაა. მის გამოსწორებაზე კი კლუბმა უნდა იზრუნოს, ნაკრები ამ საქმისთვის არ გამოდგება. თუ ის მასზე გაცემული ავანსების გამართლებას დაიწყებს, ეროვნულ გუნდში ადგილსაც დაიბრუნებს.

- ფიფას რეიტინგს კვლავ სკეპტიკურად უყურებთ?

- დიახ. მსოფლიო ჩემპიონატზე რომ გავედით, 86-ე პოზიციაზე ვიყავით. თანახმა ვარ, ამ ადგილამდე ჩამოვქვეითდეთ და ევროპის პირველობაზე გავაღწიოთ.

- 6 ივნისს ამხანაგურს ვისთან გამართავთ?

- ახალ ზელანდიასთან.

მერაბ მამულაშვილი
ლევან ჯანეზაშვილი

CDN ინტერნეტის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბითგაზიანი სატელეკომუნიკაციო ეიმსახურების სრული პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 255 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LINE ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო ძომსახურება
• ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი
• გადასვლა ხაზიდან გაუჩინარებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. I ლიგა. XXII ტური

ბრძოლა ფლეი ოფისთვის

გასული ტური ნაკლული გამოდგა. ორი მატჩი უამინდობის გამო გადაიდო, "ზესტაფონი 2"-მა კი ახალგაზრდულ ნაკრებებში რამდენიმე ფეხბურთელი მიავლინა და "ნორჩ დინამოს" ამიტომ არ ესტუმრა. ცხრილში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, გამოსარჩევია "ოლიმპის" მესამე ადგილზე ანაცვლება, მაგრამ როგორც იცით, ფარმ-კლუბებს უმაღლესში გადასვლის უფლება არა აქვთ. უნდა აღინიშნოს, "რაჭას" წარმატებაც, ეს გუნდი მეორე წრეს აღმავლობით ატარებს.

გაგრა-მესხეთი 1:0

1:0 მეტრეველი (64)

გაგრა: ხომერიკი, ახობაძე, კვანტალიანი, მამუკაშვილი, ტყეშელაშვილი, ცხადაია, აფრიამაშვილი, დათუნაშვილი, მესხი (59. მეტრეველი), ძაგანია, ლალიანი.

მესხეთი: ძამუნაშვილი, ლეკიშვილი, კობესაშვილი, მგელაძე, ელისაშვილი, მუმლაძე, გამცემლიძე, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, მუშკუდიანი, რუსია.

გოლო ორ ტურში მოპოვებული გამარჯვებების წყალობით, "გაგრამ" უმაღლეს ლიგაში აღზევების შანსი დაიბრუნა. თუმცა, საამისოდ მუხრანელებს უფრო სტაბილური ასპარეზობა სჭირდებათ. მით უფრო, რომ ფლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში მათი უშუალო კონკურენტი "მეშაქრე" მატჩების უმრავლესობაში რიგიანად გამოიყურება.

უამინდობის გამო, საშინაო შეხვედრა რომ არ გადადებულიყო, აგარელები ალბათ შეძლებდნენ აუტსაიდერ "გურიას" ძლევას და მდევართან ხუთქულიან უპირატესობის შენარჩუნებას.

ეს შეხვედრა ისეთი იყო, როგორიც სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი გუნდების დაპირისპირებას შეეფერება. ქულათა სოლიდური მარაგის მიუხედავად, მარცხი ახალციხელთა გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა, მაგრამ გამარჯვებაზე დაგეშილმა "გაგრამ" შეცვლაზე შესული **მეტრეველის** გოლის წყალობით, მიზანს მაინც მიაღწია.

დინამო 2-ამერი 2 1:1

0:1 ჩიმაკაძე (16), 1:1 სირბილაძე (80)

დინამო 2: ლორია, კაკუბავა, გეთიაშვილი (76. კანდელაკი), აკობია, ფირცხალავა (76. ჯიშკარიანი), მამრაში (50. ვანაძე), ჯანაშია, სირბილაძე, ტეტუნაშვილი, ოდიკაძე, ჩირიკაშვილი.

ამერი 2: ნაჭყეპია, ნაჭყებია, ბერიანიძე, მეტონიძე, ფირანიშვილი, შენგელია, სვასტოპულო, სილაგავა, წაბრია, ჩიმაკაძე, კბილცეცხლაშვილი (77. ბოჯგუა).

იმის მიუხედავად, რომ "სინათლის" გაზონი არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია, მატჩი მეტად სანახაობრივი გამოდგა. თამაში ორმხრივ იერიშებში, გარდამავალი უპირატესობით წარმართა, გამარჯვება ორივე გუნდს შეეძლო, სახიფათო მომენტებიც მრავლად შეიქმნა, საბოლოოდ კი კანონზომიერი ფრე დფიქსირდა.

როგორც ხედავთ, მასპინძელთა შემადგენლობაში მრავლად ითამაშეს მთავარი გუნდის წევრებმა. კარგად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები "დინამოს" ახალწვეულმა ირაკლი სირბილაძემ. ვნახოთ, მისცემს მას **დუშან უჰრინი** თავის გამოჩენის საშუალებას თუ გუნდს ისე შეიცვლის, რომ "მთავარ" "დინამოში" ერთ მატჩსაც არ ჩაატარებს. გორის "დილას" კარში გატანილი უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი გოლის შემდეგ, **ბესიკ ჩიმაკაძემ** თავი დუბლებშიც გამოიჩინა.

ლევან ჯანეზაშვილი

მერცხალი-რაჭა	**0:3**
გალარეული-ჩიხურა 2	**3:0**
სამგრელია-სპარტაკი	**1:0**
ოლიმპი-ვიტ ჯორჯია 2	**2:0**
ნ. დინამო-ზესტაფონი 2	**გადაიდო**
მეშახტე-მგლები	**გადაიდო**
მეშაქრე-გურია	**გადაიდო**

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მგლები	21	17	2	2	38-10	53
2. მესხეთი	21	14	4	3	36-11	46
3. ოლიმპი	22	11	4	7	42-23	37
4. მეშაქრე	21	10	7	4	28-19	37
5. გაგრა	22	11	2	9	32-27	35
6. ამერი 2	22	9	8	5	33-26	35
7. ვიტ ჯორჯია 222		10	4	8	35-20	34
8. დინამო 2	22	8	6	8	42-23	30
9. ნ. დინამო	21	9	2	10	30-31	29
10. ზესტაფონი 221		7	7	7	21-17	28
11. გალარეული	21	7	7	7	28-26	28
12. სამგრელია	21	7	6	8	21-31	27
13. მეშახტე	19	7	3	9	27-27	24
14. ჩიხურა 2	21	6	3	12	20-36	21
15. სპარტაკი	22	6	3	12	12-31	21
16. რაჭა	20	5	6	9	21-32	21
17. გურია	21	5	3	13	22-49	18
18. მერცხალი	21	2	3	16	14-60	9

მერანი

კუტივაძე წავიდა, ასლანი მოდის

მერანის პრეზიდენტი ხაბულიანი: კუტივაძე არ წასულა, ავად არის (?!)



სერგო კუტივაძე

"**მერანიდან**" **სერგო კუტივაძის** წასვლა ერთობ მოულოდნელი იყო. გამოცდილმა მწვრთნელმა ხომ თბილისური გუნდი სულ ახლახან ჩაიბარა და, რაც მთავარია, მისი ხელმძღვანელობით "მერანმა" საკმაოდ ნორმალური შედეგი აჩვენა. შეგახსენებთ, კუტივაძე უმაღლესი ლიგის დებიუტანტის დამრიგებლად სეზონის პირველი ნახევრის დასრულების შემდეგ დაინიშნა და როგორც მაშინ კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებდა, მასთან ერთად ხანგრძლივი და სერიოზული პროგრამის განხორციელებას აპირებდა. თუმცა რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. კუტივაძის თავკაცობით, "მერანმა" სულ რაღაც ოთხი ოფიციალური მატჩი ჩაატარა და ოთხივე დაუმარცხებლად. აქედან, ყველაზე დასამახსოვრებელი ზესტაფონიდან წამოღებული ქულა იყო. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გადადგომის მიზეზებზე მწვრთნელი კონკრეტულად არაფერს ამბობს. სამაგიეროდ, კლუბის პრეზიდენტ **დილარ ხაბულიანის** კომენტარი იყო მეტად საინტერესო - კუტივაძე არსად წასულა, ავად არისო. აქ კი უნდა ვთქვათ, რომ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს...

სერგო კუტივაძე: - "ბორჯომთან" 17 მარტს ჩატარებული შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი იმაში, რომ "მერანში" ჩემს დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. გადაწყვეტილებაც მალევე მივიღე. ოფიციალურად ვადასტურებ, რომ ამ კლუბთან საერთო აღარაფერი მაქვს.

- თქვენი გადადგომა, ცოტა არ იყოს, ალოგიკურია. ცუდ შედეგებს ვერავინ დაგწამებთ...

- შედეგი აქ არაფერ შუაშია, უბრალოდ, მე და კლუბის ხელმძღვანელებს მრავალ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა გვქონდა, როგორც ფეხბურთზე, ასევე ფეხბურთელებზე. მოკლედ, აქ უამრავი ნიუანსია, რომელთა შესახებაც საუბარი არ მსურს.

- ალბათ, კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე კუთვნილ გასამრჯელოს მოითხოვთ...

- კლუბთან ხელშეკრულება სეზონის ბოლომდე მაქვს გაფორმებული. ვიცი, რომ ანაზღაურება მეკუთვნის, მაგრამ, ალბათ, ამ თანხას არ მოვითხოვ.

- აპირებთ სამწვრთნელო საქმიანობის გაგრძელებას?

- უახლოეს მომავალში არ ვაპირებ. აქტიური ფეხბურთისგან დავისვენებ და მთლიანად ფეხბურთის ფედერაციაზე გადავერთვები. მოგეხსენებათ, იქ წლებია, ვმუშაობ...

ამის შემდეგ, "მერანის" სტაჟიან მწვრთნელ **დავით ეჯიბიშვილს** დავუკავშირდით. ის კუტივაძის ასისტენტად მუშაობდა, მანამდე კი, როგორც გახსოვთ, გუნდს თავად ხელმძღვანელობდა.

- ნამდვილად ვერ გეტყვით, რა გახდა კუტივაძის წასვლის მიზეზი. ერთი ის ვიცი, რომ ხელმძღვანელობასთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა.

- ახალი მთავარი მწვრთნელი ვინ იქნება?

- სავარაუდოდ, ასლან ბალაძე. ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, ის ახლა უცხოეთშია. მის არყონაში გუნდი ჩემი ხელმძღვანელობით ივარჯიშებს, ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში კი "მერანს", ალბათ, ასლანი უთავკაცებს.

- თქვენ კვლავინდებურად დამხმარე მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებთ?

- დიახ, და გარდა ამისა, სამწვრთნელო შტაბში სოსო მალანიაც იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონი

რამდენი ქართველი ითამაშებს რუსეთის პირველ დივიზიონში

28 მარტს რუსეთის პირველი დივიზიონის გათამაშება იწყება. ჯერჯერობით, უცნობია, რამდენი ქართველი ლეგიონერი იქნება ამ ჩემპიონატში, თუმცა ერთი უკვე ცხადია - შარშანდელზე მეტი, როცა მხოლოდ ორი ჩვენებური თამაშობდა პირველ დივიზიონში: **ლავრენტი მიქაძე** ("ბალტიკა") და **პაატა ჯინჭარაძე** ("დინამო" ბრიანსკი). ჯინჭარაძემ, მოგეხსენებათ, რუსეთის თასზე ითამაშა კიდეც და მოსკოვის "ტორპედოს" თასიდან გამოთიშვაში თავისი წილიც დაიდო. მიქაძეც კვლავ "ბალტიკაშია" და კლუბთან ერთად თურქეთში ემზადება. ახლახან, მისმა გუნდმა ომსკის "ირტიშს" 1:0 მოუგო და მიქაძემ ითამაშა.

ამ ორის გარდა, ქართველები ითამაშებენ კამიშინის "ტექსტილშჩიკ-ტელეკომში" და "ანჟიში", თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია. მახაჩყალის "ანჟი" შეკრებაზეა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ამ კლუბის ღირსებას ახალ სეზონში სამი ქართველი დაიცავს, თუმცა, ჯერჯერობით, **ომარ თეთრაძის** გუნდმა მხოლოდ ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა** შეიყვანა განაცხადში. აქვე, კლუბის ვებგვერდი ადასტურებს, რომ უახლოეს დღეებში განაცხადში კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს შეიყვანს, მათ შორის, "ჩერნომორეცის" ყოფილ მცველ **კახა მჟავანაძეს**. სავარაუდოდ, განაცხადში მოხვდება **ზურაბ არზიანიც**. "ტექსტილშჩიკში" უფრო ბუნდოვნად არის საქმე. კლუბი ემზადება თურქეთში, სადაც სინჯებზე არიან **ვასილ ღუჭაშვილი** და **რამაზ ჯაბნიძე**. გუშინ "ტექსტილშჩიკი" "ირტიშს" შეხვდა და 3:1 მოუგო. მეორე გოლი გაიტანა **ვლადიმერ ჩიტაიამ**, რომელიც რუსეთის მოქალაქეა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გიგიაძე: მეტსაც მივაღწევ

ტრავმის მოშუშების შემდე, **ვასილ გიგიაძემ** ფორმა უმოკლეს დროში აკრიფა და უკრაინის ჩემპიონატის გასულ ტურში, სტუმრად "ჩერნომორეცის" ძლევაშიც ლომის წილი დაიდო. "კრივბასის" კაპიტანმა ერთი გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა შეინარჩუნა.

"საკმაოდ მძიმე ტრავმა გადავიტანე, მადლობა ღმერთს, დღესდღეობით თავს ჯანმრთელად ვგრძნობ. რაც მთავარია, ჯერ მხოლოდ რეალური შესაძლებლობების სამოც პროცენტს ვავლენ, დარწმუნებული ვარ, მალე ფორმაში სრულად შევალ, უფრო მაღალ დონეზე ავთამაშდები და ჩემს გუნდთან ერთად მეტს მივაღწევ. მალე ყველა დარწმუნდება, რომ "ჩერნომორეცისთვის" შემთხვევით არ მოგვიგია", - ამბობს გიგიაძე უკრაინულ პრესასთან საუბარში.

ქართველმა ფორვარდმა იქვე თანაგუნდელებს დიდი მადლობა გადაუხადა იძულებითი პაუზის პერიოდში გამოჩენილი თანადგომისთვის და "კრივბასის" ახალი მთავარი მწვრთნელის, **ოლეგ ტარანის** ღვაწლსაც გაუსვა ხაზი. ვასოს თქმით, ამ სპეციალისტის ხელში გუნდმა საგრძნობი პროგრესი განიცადა.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ლეგიონერები

ვენტსპილსმა ლევან ჯღარკავა გადაიფორმა

იმედაშვილი მაინც კიევში დატოვეს

როგორც იქნა, ლატვიის ჩემპიონმა "ვენტსპილსმა" ახალწვეულთა ვინაობა საჯარო გახადა. კლუბის ხელმძღვანელობა სინჯებზე ჩასული ფეხბურთელების გვარებს კონკურენტების შიშით არ ასახელებდა. ადრე მომხდარა მსგავსი ფაქტი: "ვენტსპილსი" ერთ-ერთ მოთამაშეს სინჯავდა, შუა მოსამზადებელ ეტაპზე კი რიგის "სკონტომ" მასთან კონტრაქტი გააფორმა.

სიფრთხილეს თავი ლატვიაშიც არ სტკივა და ამიტომაც არ დაწერეს კლუბის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე, რომ ანთალიაში თბილისსა და კიევის დინამოელებმა, **დავით გიგაურმა** და **დავით იმედაშვილმა** საკონტროლო მატჩები ჩაატარეს.

ამავე მიზეზით არ წერდნენ 18 წლის ქართველ მცველ **ლევან ჯღარკავაზეც**. "ვენტსპილსის" პრესსამსახურმა ოფიციალური ინფორმაცია მხოლოდ გუშინ გამოაქვეყნა: *"ლატვიის ჩემპიონმა კონტრაქტები გააფორმა ალექსანდრ მისიკოვთან და ლევან ჯღარკავასთან. ესენი არიან ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეები, რომელთაც დიდი პერსპექტივა აქვთ. ფეხბურთელები ძირითადში დასამკვიდრებლად ძალასა და ენერგიას არ იშურებენ. მათ მთელი მოსამზადებელი პერიოდი "ვენტსპილსში" გაატარეს და მწვრთნელთა შტაბმა, მათი შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, კონტრაქტების გაფორმება გადაწყვიტა. ლევან ჯღარკავა (სიმაღლე 179 სმ, წონა 73 კგ) 18 წლის 29 მარტს გახდება. ის ფლანგის მოთამაშეა და, ჩინებულ ტექნიკასთან ერთად, დიდი სისწრაფითაც გამოირჩევა".*

რაც შეეხება იმედაშვილს. "ვენტსპილსი" ლამის ერთი თვე ელოდა მის არენდაზე კიევის "დინამოს" თანხმობას. კონკრეტული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ უკრაინელებმა ბოლოს მაინც უარი თქვეს. საერთოდ, ქართველი მოთამაშეებისადმი (სხვათა შორის, არა მარტო ქართველებისადმი) კიევის "დინამოს" დამოკიდებულება გაუაზრებელი პოლიტიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. თავად განსაჯეთ: იმედაშვილი თავიდან "ვენტსპილსში" გაუშვეს, შემდეგ დაიბრუნეს, ერთი კვირის წინ კი ლატვიელთა გენერალური დირექტორის, **სერგეი ბარკოვსკის** მონდომებამ თითქოს შედეგი გამოიღო და უკრაინელები დაითანხმა...

დათომ ევროკავშირის ვიზა მიიღო და რიგაში გასამგზავრებლად კიევის აეროპორტში გაეშურა... და ისევ მოულოდნელი ზარი რეგისტრაციის გავლამდე: კიეველთა ვიცე-პრეზიდენტმა **იოჟეფ საბომ** და გენერალურმა დირექტორმა **ლეონიდ ბურიაკმა** მას გუნდში დაბრუნება მოსთხოვეს. "დინამოს" ხელმძღვანელთა გაუგებარი საქციელით დაბნეული იმედაშვილი იძულებული გახდა, გუნდში დაბრუნებულიყო.

ახლა ის კიეველთა დუბლებში ვარჯიშობს და მორიგი სიურპრიზის მოლოდინშია. კვლავ დუბლებში ითამაშა **კახა აღადაშვილმაც**. მან "ნიკოლაევთან" გასვლით მოგებაში (1:0) წვლილი საგოლე გადაცემით შეიტანა.

აქვე, სხვა "უკრაინელ" ქართველებზეც ვთქვათ. ტრავმის შემდეგ მოედანს **მარცვალაძეც** დაუბრუნდა და "ზარიის" დუბლებთან ითამაშა. თუმცა "ნიკოლაევთან" შეხვედრაში მოედანზე არ გამოჩენილა.

დუბლებში ითამაშა "დნეპრის" თავდამსხმელმა **რეზო ბარაბაძემ**. სიმფეროპოლის "ტავრიის" წინააღმდეგ მან გოლიც გაიტანა. დონეცკის "მეტალურგმა" თანაქალაქელ "შახტართან" 1:2 წაგო. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე "მეტალურგის" ჰოლანდიელ მწვრთნელ **კო ადრიაანსეს გიორგი დემეტრაძის** უთამაშებლობის მიზეზებზე კიდევ ერთხელ ჰკითხეს - შეიძლება თუ არა უახლოეს მატჩებში მოედანზე მის გამოჩენას ველოდოთ და ეს უთამაშებლობა სასამართლო პროცესს ხომ არ უკავშირდებაო? ადრიაანსეს პასუხი ასეთი იყო:

"ეს არანაირად არ უკავშირდება სასამართლო პროცესს. ამ მოთამაშესთან პრობლემები არ მაქვს. დღეს 18-კაციან განაცხადში შევიყვანე და უახლოეს მომავალში მას თამაშის საშუალებაც მიეცემა".

მერაბ მამულაშვილი

19-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

ისევ ორი ბურთით...

გერმანია-საქართველო 2:0

1:0 ოზილი (63), 2:0 შმიდებახი (87)

21 მარტი. ბად ემსი. 3000 მაყურებელი

გერმანია: მენელი (46. ულრაიხი), შვაბი, ებერლაინი, ფალკენბერგი (46. კოტიში), ფაიკი, შინდლერი (63. რუმენიგე), შიუტცი (79. კრუზე), ბენ-ჰატირა (73. შმიდტი), ტრალა, ოზილი (76. ბროზინსკი), ფიშერი (46. შმიდებახი).

მწვრთნელი: ფრანკ ენგელი

საქართველო: თევდორაძე (46. მაკარიძე), სანაია (80. ნიკოლაიშვილი), თომაშვილი, ბენაშვილი, გვაძაბია, მჭედლიშვილი, გოცირიძე (46. თარგამაძე), ხიდეშელი (80. ფანცხავა), ბუალავა, წინამძღვრიშვილი, ყენია.

სათადარიგოები: თოთაძე, ნ. კვასხვაძე, ბლაგიძე.

მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი



გოცირიძე გერმანიასთან მატჩში

ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასულმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპული მოსამზადებელი შეკრება ორშაბათს, 19 მარტს დაიწყო. ქალაქ კობლენცში დაბინავებული გუნდი გუშინ ბად ემსში ჩავიდა და ადგილობრივი დროით 18 საათზე, გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გამართა. გახსოვთ, ალბათ - შარშან, შემოდგომაზე, ბუნდესნაკრებს როსტოკში ჩვენი ეროვნული ნაკრები დაუპირისპირდა. როგორც იმ ამხანაგურ მატჩში, გუშინაც, 2:0 წავაგეთ. ამასთან, როსტოკის შეხვედრის დარად, ჩვენს გუნდს გუშინაც არ დაუტოვებია ცუდი შთაბეჭდილება და, შეიძლება ითქვას, მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებოდა, მაგრამ... შეხვედრას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაციც** ესწრებოდა.

ამ მატჩის შესახებ ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **დავით დათუნაშვილმა** მოგვითხრო, რომელსაც გვიან ღამით დავუკავშირდით. როგორც შევიტყვეთ, პატარა ქალაქ ბად ემსის სტადიონის 3000-იანი ტრიბუნები პირთამდე შეივსო. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდის საქმაგოდ გერმანიაში მცხოვრები რამდენიმე ათეული ქართველი გულშემატკივარი ჩამოვიდა.

თამაში სწარფ ტემპში დაიწყო. მასპინძლებს აშკარად ეტყობოდათ, რომ სწრაფი გოლით უნდოდათ დაწინაურება. ქართველები მეტოქეს მედგრად დაუხვდნენ. უფრო მეტიც, გერმანელებმა სათამაშო უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლეს. ქართველებმა სწრაფი და გააზრებული შეტევებით არაერთი ხიფათი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან. ჩვენი შეტევების მთავარი ორგანიზატორი **ლევან ყენია** გახლდათ. მას კარგად აუბეს მხარი **დავით მჭედლიშვილმა** და **მირზა ბუალავამ** (ეს უკანასკნელი გუნდის კაპიტანი გახლდათ). ჩვენებს ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის კარგი შანსი, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ჯერ იყო და ტაიმის შუაწელს **ბექა გოცირიძემ** დაარტყა ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ მასპინძლეთა მეკარე **მენელმა**, როგორც იტყვიან, მკვდარი ბურთი აუღო. ათიოდე წუთში კი ლევან ყენიას იშვიათი სიზუსტის პასით **რატი წინამძღვრიშვილს** მიეცა გოლის გატანის ჩინებული შესაძლებლობა. თუმცა რატის დარტყმული ბურთი მიზანს ოდნავ ასცდა. გერმანელებიც არ იყვნენ უქმად, მაგრამ ჩვენი გუნდის დაცვა და მეკარე **რევაზ თევდორაძე** საიმედოდ თამაშობდნენ.

შესვენებისას და მეორე ტაიმის მიმდინარეობისას მოწინააღმდეგე გუნდების მწვრთნელებმა რამდენიმე ცვლილება განახორციელეს. თამაშიც სწრაფ ტემპში გაგრძელდა. მასპინძლებმა მეორე ნახევარშიც ცადეს სწრაფი გოლით დაწინაურება. მართალია, ეს უმალ ვერა, მაგრამ მაინც მოახერხეს. "შალკეს" თავდამსხმელმა **ოზილმა** 63-ე წუთზე ანგარიში გახსნა. მიღებულ გოლს ქართველები არ გაუტეხავს. ჰაინც ტოპმიოლერის ბიჭებმა მწვავე შეტევები გააგრძელეს. საერთოდ კი, პირველის დარად, ქართველები მეორე ტაიმშიც არ ჩამოუვარდებოდნენ მეტოქეს, მაგრამ ეს მატჩის საბოლოო ანგარიშში არ ასახულა. ჰაინც ტოპმიოლერმა მოედანზე **დავით თარგამაძისა** და **ვახტანგ ფანცხავას** შეყვანით ჩვენი გუნდის შემტევი პოტენციალი კიდევ უფრო გააძლიერა. 75-ე წუთზე რატი წინამძღვრიშვილის პასით ვახტანგ ფანცხავამ ბურთიც გაიტანა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა მთავარს ანიშნა ფანცხავა თამაშგარე მდგომარეობაშიაო, და გოლიც არ ჩაითვალა.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა მწვავე შეტევები მიიტანეს ქართველთა კართან და ანგარიშიც გაზარდეს. ამჯერად ბერლინის "ჰერტას" ფორვარდ **შმიდებახის** დარტყმა აღმოჩნდა შედეგიანი, 2:0. დარჩენილ სამ წუთში აღარაფერი შეცვლილა და ჩვენი გუნდი ორი შშრალი ბურთით დამარცხდა.

"სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა, თორემ თამაში თანაბრად მიმდინარეობდა და მეტოქეს არაფერში ჩამოვუვარდებოდით. განსხვავება ისაა, რომ მოწინააღმდეგემ თავისი წილი შანსები გამოიყენა, ჩვენ კი - ვერა. გოლები ინდივიდუალური შეცდომების გამო მივიღეთ. რაც შეეხება ფანცხავას მიერ გატანილ და არჩათვლილ გოლს, ჯერჯერობით, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, ვიდეოფირს ვნახავ და მერე შემეძლება დასკვნების გამოტანა. ერთი სიტყვით, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით - არა.

სხვათა შორის, კობლენცში გერმანიის საფეხბურთო კავშირის არაერთი მწვრთნელია ჩამოსული, რომლებმაც თამაში ნახეს. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ არ გაგვიმართლა. მატჩის შემდეგ, მეტოქე გუნდის თავკაც ფრანკ ენგელსაც ვესაუბრე. მანაც იგივე თქვა და აღნიშნა – ქართველები ლამაზ, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობთ. ამ გუნდს დისციპლინა და გერმანელი მწვრთნელის ხელიც ეტყობა. ასე რომ, ამ ორი ფაქტორით ჩინებული კომბინაცია მიიღებაო", - განაცხადა მატჩის შემდეგ ჰაინც ტოპმიოლერმა.

დღეს ჩვენი გუნდი კობლენციდან ბიტბურგში გადაინაცვლებს და ადგილობრივ სპორტულ ბაზაზე განაგრძობს მზადებას. კვირას, 25 მარტს კი ნაკრები გერმანიიდან ლუქსემბურგში გადავა და ქალაქ როსსპორტში, ლუქსემბურგის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე "ვიქტორიასთან" ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

დავით ცაბაძე

ქართული დუელი გადაიდო

ავსტრიის მეორე ბუნდესლიგაში 22-ე ტური არასრული იყო. დიდთოვლობის გამო ორი თამაში ჩაიშალა, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო დაპირისპირება ლუშტენაუს "აუსტრიასა" და ჰარტბერგის "შპარკჰაზეს" შორის. მოგეხსენებათ, იანვრიდან იქ ორი ქართველი გადაბარგდა: **მირზა ბუალავა** "აუსტრიაში", ხოლო **გივი ჩხეტიანი** "შპარკჰაზეში". ექსზესტაფონელთა დაპირისპირება სწორედ უამინდობამ გადადო. 12-გუნდიან ჩემპიონატში "აუსტრია" 32 ქულით მეექვსე ადგილზეა, ხოლო "შპარკჰაზე"18 ქულით ბოლოსწინაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

კვირკველია: სიმბოლურშიც და გმირებშიც

დავით კვირკველია

უკრაინის ჩემპიონატის მე-19 ტურის შემდეგ, იქაურმა "სპორტ-ექსპრესმა" ტურის გმირების გამოვლენა მკითხველებს მიანდო. 466 ადამიანი ჩაერთო ამ პროცესში და ასეთ გმირად კრივოი როგის "კრივბასის" მწვრთნელი **ოლეგ ტარანი** დაასახელა. ტარანის გუნდმა თავი სტუმრად ოდესის "ჩერნომორეცის" დამარცხებით (3:2) გამოიჩინა.

ტურის გმირებში მეხუთე ადგილზე ზაპოროჟიეს "მეტალურგის" კაპიტანი **დავით კვირკველია** (5.2%) გავიდა. მან უდიდესი როლი ითამაშა კიევის "არსენალის" დამარცხებაში - ჯერ, თავად პენალტი გაიტანა, მერე კი თანაგუნდელს საგოლე პასიც გაუკეთა.

"გოლი პლუს პასი" ის საფუძველი აღმოჩნდა, რომელმაც საქართველოს ნაკრების მარცხენა ნახევარმცველი სხვა კუთხითაც გამოაჩინა: "სპორტ-ექსპრესმა" კვირკველია ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელა. აი, რას წერს გაზეთი: *"დათომ ბურთიც გაიტანა და საგოლე გადაცემაც ჩაიწერა აქტივში. დაგვეთანხმებით, მარცხენა ნახევარმცველისთვის ეს ბრწყინვალე მაჩვენებელია. ის მატჩის და საერთოდ, ტურის ერთ-ერთი გმირია".*

იმედია, კვირკველია შოტლანდიაშიც გამოიჩენს თავს.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხეთი VS გერმანია

ლიოვი: ჩეხებს უნდა მოვუგოთ!

ბრიუკნერი ჟურნალისტებმა განარისხეს...

იოახიმ ლიოვი და ლუკას პოდოლსკი

სანაკრებო ბატალიებიც მოახლოვდა... ალბათ დაგვეთანხმებით, რომ შაბათის მატჩებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და გამორჩეული ჩეხეთისა და გერმანიის ნაკრები გუნდების დაპირისპირება იქნება, რომელიც პრაღაში უნდა შედგეს. გერმანიას და ჩეხეთს D ჯგუფში 10-10 ქულა აქვთ და პირველმეორე ადგილებს იყოფენ - ერთი ეგაა, რომ ალემანები ბურთების უკეთესი შეფარდებით იწონებენ თავს. **იოახიმ ლიოვმა** ბუნდესგუნდი გუშინწინ შეკრიბა. შაბათის ნომერში იოგის მიერ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია გაგაცანით და ისიც გაცნობეთ, რომ გერმანიას რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა (**კლოზე, გომესი, ნოივილი, ჰანკე** და ა.შ.). მიუხედავად ამისა, ბუნდესმწვრთნელი და საერთოდ გერმანული შტაბი ოპტიმისტურადაა განწყობილი - ალემანები ღიად აცხადებენ, რომ პრაღაში მოსაგებად მიდიან.

"ჰო, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლია, მაგრამ ჩეხეთში მაინც საუკეთესო შემადგენლობით მივდივართ. მეტოქეს უდიდეს პატივს ვცემთ, მაგრამ ჩვენ მოგება გვინდა. ფრე არ დაგვაკმაყოფილებს," - აცხადებს **ლუკას პოდოლსკი**, რომელსაც მიროსლავ კლოზეს (დისკვალიფიცირებულია), მარიო გომესის და ოლივერ ნოივილის (ტრავმირებულები არიან) არყოფნის გამო, სასტარტო შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. წინდანინვე ცნობილია, რომ პოლდი თავდასხმაში შალკელ **კევინ კურანის** შეუწყვილდება. სამი ქულის მოპოვების იმედი აქვს ლიოვსაც. *"მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, მაინც ოპტიმისტურად ვართ განწყობილები და გვჯერა, რომ პრაღაში გავიმარჯვებთ. ფეხბურთელები თავდაჯერებულები არიან,"* - აცხადებს იოგი, რომლის ხელმძღვანელობითაც გერმანიის ნაკრებმა 7 თამაშიდან 6 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა. *"ჩეხეთი ჩვენთვის ამ ჯგუფის ურთულესი მეტოქე და უმთავრესი კონკურენტია. ამიტომაც, პრაღაში გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს,"* - ეს კი კურანის სიტყვები გახლავთ.

როგორც გითხარით, ძირითადი თავდასხმა თავისთავად დაკომპლექტდა - ჩეხეთთან სასტარტო შემადგენლობაში პოდოლსკი და კურანი ითამაშებენ. ჩვენი გერმანელი კოლეგები თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ლიოვი გულშემატკივრებს სიურპრიზებს არ შესთავაზებდა და ოთხივე ახალწვეულს, **რობერტ ენკეს** (ეს უკანასკნელი ერთხელ უკვე იყო გერმანიის ნაკრების განაცხადში, მაგრამ არ უთამაშია), **გონსალო კასტროს, შტეფან კისლინგსა** და **რობერტო ჰილბერტს** სათადარიგოთა სკამზე დატოვებდა, მაგრამ გუშინ "ბილდმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ დიდი შანსია, კასტრო ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს და დაცვის მარჯვენა ფლანგი ჩაიბაროს. "ბილდი" წერს, იმის გამო, რომ **არნე ფრიდრიხი** ტრავმირებულია, ლიოვი მარჯვენა მცველის პოზიციაზე **ფილიპ ლამს** უპირებდა გამწესებას (ამ შემთხვევაში მარცხნივ **მარსელ იანსენი** ითამაშებდა), მაგრამ ბუნდესმწვრთნელი ახლა სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ ლამი მარცხნივ დააბრუნოს, მარჯვნივ კი 19 წლის კასტრო ათამაშოსო. *"გამორიცხული არაფერია. ამაზე მართლაც ვფიქრობ და იმის ვაჟკაცობას მეყოფა, რომ დებიუტანტი ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ვათამაშო,"* - ამბობს ლიოვი.

ამრიგად, **ბერნდ შნაიდერი** ისევ ნახევარდაცვაში გადაინაცვლებს. მიუხედავად იმისა, რომ **კრისტოფ მეტცელდერს** ტრავმა აწუხებს, დორტმუნდის "ბორუსიის" უკანახაზელი, რომელიც მადრიდის "რეალს" სულ უფრო და უფრო უახლოვდება, გუნდს პრაღაში მაინც გაჰყვა და როგორც ბუნდესნაკრების სამედიცინო შტაბი იტყობინება, ჩეხეთთან აუცილებლად იასპარეზებს. მის მხარდამხარ კი **პერ მერტეზაკერი** ითამაშებს, ანუ, დაცვის ცენტრს მეტცე და მერტე შეადგენენ და მათ აყლაყუდა **იან კოლერის** გაუვნებელყოფაზე ზრუნვა მოუწევთ.

მიხაელ ბალაკი გუნდს მოგვიანებით შეუერთდა, რადგან ორშაბათს მას "ჩელსიში" თამაში ჰქონდა. მცირე ტრავმები აწუხებთ **ტორსტენ ფრინგსსა** და **ბასტიან შვაინშტაიგერს**, მაგრამ წინასწარი ინფორმაციით, შაბათს სრულ მზადყოფნაში იქნებიან.

■ ■ ■

ლიოვისგან განსხვავებით, ჩეხეთის ნაკრების თავკაც **კარელ ბრიუკნერს** საკადრო პრობლემები არ აქვს - ჩეხებს არც ტრავმირებული ჰყავთ ვინმე და არც დისკვალიფიცირებული. ამრიგად, ბრიუკნერმა საუკეთესო შემადგენლობა შეკრიბა. *"გერმანიასთან თამაშს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მიზანი 3 ქულის მოპოვებაა, რაც ძალიან რთული იქნება, მაგრამ მჯერა, რომ წარმატებას მივაღწევთ,"* - აცხადებს ჩეხთა თავკაცი. მან შაბათის მატჩისთვის 21 ფეხბურთელს უხმო, აქედან 15 მუნდიალზე იასპარეზა. ბრიუკნერის გუნდში არცერთი დებიუტანტი არ არის. ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გახლდათ ის, რომ 67 წლის მწვრთნელმა განაცხადს მიღმა დატოვა ჰანოვერელი **ირჟი შტაინერი**, რომელიც დღესდღეობით ძალიან კარგ ფორმაშია.

ბრიუკნერმა თავისი სამწყსო გუშინწინ შეკრიბა. აღსანიშნავია, რომ პირველივე ვარჯიშზე მცირე სკანდალს ჰქონდა ადგილი. ვარჯიში მასმედიისთვის ღია გახლდათ და წესით, ჟურნალისტებს საშუალება უნდა მისცემოდათ, მზადებისთვის თვალ-ყური თავიდან ბოლომდე ედევნებინათ, მაგრამ შუა ვარჯიშის დროს ბრიუკნერმა პრესატაშეს უხმო და ბრძანება გასცა, პრესის წარმომადგენლებს სტადიონი დაატოვებინეთო. როგორც გაირკვა, ჩეხთა თავკაცი იმან გაანაწყენა, რომ გერმანული ტელეკომპანია ARD-ს ოპერატორი მთელ ვარჯიშს იღებდა.

"ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩეხეთის ნაკრების ვარჯიში კომედიაა? გეკითხებით, ეს ცირკია? რაც დღეს გავაკეთეთ, ყველაფერი წყალშია გადაყრილი," - განაცხადა ბრიუკნერმა ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. მოგვიანებით ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ გენერალური მდივანი **პეტრ ფოუზეკი** პოსტიდან გაათავისუფლა, ოფიციალური ვერსიით მიზეზი ისაა, რომ ამ უკანასკნელმა ვარჯიშის ორგანიზება სათანადოდ ვერ უზრუნველყო.

აქვე ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობასაც გაგაცნობთ:

მეკარეები: იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (ჩელსი), მარეკ ჩეხი (ლუჩ ენერგია).

მცველები: ზდენეკ გრიგერა (აიაქსი), მარეკ იანკულოვსკი (მილანი), მარტინ ჟერანეკი, რადოსლავ კოვაჩი (ორიენე სპარტაკი), დავიდ როზენალი (პსჟ), ტომაშ უიფალუში (ფიორენტინა).

ნახევარმცველები: ტომაშ გალაშეკი (ნიურნბერგი), მარეკ მატეჟოვსკი (მლადა), იან პოლაკი (ნიურნბერგი), დანიელ პუდილი (ლიბერეცი), იაროსლავ პლასილი (მონაკო), ტომაშ როსიცკი (არსენალი), ლიბორ სიმონკო (რეინჯერსი), დავიდ იაროლიმი (ჰამბურგი).

თავდამსხმელები: მილან ბაროში (ლიონი), იან კოლერი (მონაკო), მარეკ კულიჩი (სპარტა), დავიდ ლაფატა (აუსტრია).

გოტფრიდ ლენცი

თავიდან უნდა მოშარდო, ოლი!

უეფამ ვან ბომელს მილანთან საპასუხო მატჩში მონაწილეობის ნება დართო. სამაგიეროდ, ახლა კანს ემუქრება დისკვალიფიკაცია...

ოლივერ კანს ექიმებმა ნერვები აუშალეს

გუშინ "ბაიერნის" ქომაგებმა კარგი ამბავი შეიტყვეს: უეფას სადისციპლინო კომისიამ **მარკ ვან ბომელს** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ერთ მატჩამდე შეუმცირა, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, "მილანთან" მხოლოდ პირველ თამაშს გამოტოვებს, საპასუხოში კი იასპარეზებს.

როგორც იცით, ვან ბომელი მერვედფინალში, "რეალთან" მეორე შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს, რადგან ეს უკანასკნელი შეხვედრის მიწურულს მადრიდელ **მაჰამადუ დიარასთან** წაკინკლავდა. ამის შემდეგ უეფამ ვან ბომელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რადგან მარკი "სამეფო გუნდთან" პირველ მატჩშიც გამოირჩა არასპორტული საქციელით, როცა გატანილი გოლის შემდეგ "სანტიაგო ბერნაბეუს" პუბლიკას უხამსი ჟესტი უჩვენა. მიუნხენური კლუბის ბოსები ამის გამო განრისხდნენ და უეფაში აპელაცია შეიტანეს - მათ ვან ბომელისთვის სასჯელის შემსუბუქება მოითხოვეს, რამაც შედეგი გამოიღო. *"სიმართლე გითხრათ, ამას ველოდი კიდეც, რადგან პირველი გადაწყვეტილება ძალიან უსამართლო იყო,"* - აცხადებს ვან ბომელი.

კანი: ექიმს ბოდიშს ვუხდი!

ამასობაში **ოლივერ კანმა** ოფიციალური ბოდიში მოიხადა იმის გამო, რაც "რეალთან" საპასუხო მატჩის შემდეგ ჩაიდინა. ამის შესახებ დღემდე არაფერი დაგვიწერია, რადგან ეს ამბავი ძალიან გვიან, ორიოდ დღის წინ გასკდა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ გასახდელში დაბრუნებული ოლი, **ლუსიოსთან** ერთად ექიმებმა დოპინგტესტზე გამოიძახეს. "ბაიერნის" კაპიტანმა დიდი რაოდენობით სითხე მიიღო და მხოლოდ ორი საათის შემდეგ შეძლო მოშარდვა, რის შემდეგაც შარდი ექიმს მიუტანა, მაგრამ ამ უკანასკნელმა უთხრა, არ მინახავს, მართლა მოშარდე თუ არაო და ყველაფრის თავიდან გაკეთება უბრძანა. არცაა გასაკვირი, ოლი წყობიდან რომ გამოვიდა. როგორც ირკვევა, მან ექიმს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

"ექიმს ბოდიშს ვუხდი. ვალიარებ, რომ არასწორად მოვიქეცი. გპირდებით, ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება," - განაცხადა კანმა პრესკონფერენციაზე და იქვე დასძინა, - *"ძალიან დაღლილი, ანერვიულებული და გაბრაზებული ვიყავი. ნერვები ველარ მოვთოკე, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვიხდი ბოდიშს."* ამის შემდეგ ოლიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაწვრილებით უამბო, თუ რა მოხდა "რეალთან" მატჩის შემდეგ.

"ძალიან სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. თავდაპირველად მინდა ვთქვა, რომ ძალიან გამიკვირდა, როცა დოპინგკონტროლზე მიხმეს. გამიკვირდა იმიტომ, რომ ეს უკვე ზედიზედ მეოთხე შემთხვევაა, როცა ჩემპიონთა ლიგის თამაშის შემდეგ შემამოწმეს. საინტერესოა, რატომ ვერ დარწმუნდნენ ამდენ ხანს, რომ სუფთა ვარ? წარმოიდგინეთ, ზედიზედ მეოთხედ მოხდა ისე, რომ 18 ფეხბურთელიდან მე ამომარჩიეს. ნერვები მომეშალა, პირველ რიგში იმის გამო, რომ ოჯახი სტადიონზე მელოდებოდა. ჩემთვის დოპინგკონტროლი რთული პროცესია. იმისათვის, რომ მოვშარდო, თამაშის შემდეგ 2-3 საათი მაინც მჭირდება ხოლმე. წარმოიდგინეთ, მთელი გუნდი "რეალთან" გამარჯვებას ზეიმობდა, ყველანი ბედნიერები იყვნენ, მე კი ექიმის კაბინეტში გახლდით და იმაზე ვფიქრობდი, როდის მომინდებოდა მოშარდვა. დიდი რაოდენობით წყალი დავლიე, ვისხამდი და ვისხამდი სითხეს. ბოლოს და ბოლოს, ორი საათის შემდეგ მოვშარდე და მეგონა, ყველაფერი დასრულდა. შარდი ექიმს მივუტანე, ის კი მეუბნება, არაფერი დამინახავს და რა ვიცი, იქნებ შენი შარდი არცაა, ამიტომაც თავიდან უნდა ქნაო. აი, მაშინ კი წყობიდან გამოვედი," - ჰყვება კანი.

თუ რა ჩაიდინა ოლიმ ამის შემდეგ, ამაზე საუბარს არ აპირებს. "ტიტანი" ამბობს, რომ უეფას უკვე გაუგზავნა ოფიციალური ბოდიში, სადაც დაწვრილებით აღწერა მომხდარი ფაქტი. მიუხედავად საბოდიშო წერილისა, მას მაინც ემუქრება ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და თუ მიუსჯიან, "მილანთან" პირველ მატჩში ვერ იასპარეზებს. მაგრამ კანი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ფიქრობს, რომ დაინდობენ. *"ცუდად მოვიქეცი, მაგრამ უეფამ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ასეთი რამ პირველად შემემთხვა. ჩემპიონთა ლიგაში 100-ზე მეტი შეხვედრა მაქვს ჩატარებული და დღემდე პრობლემები არასდროს შემქმნია, არასპორტულად არასდროს მოვქცეულვარ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ დისკვალიფიკაციას არ მომისჯიან,"* - აცხადებს რეკორდმაისტერის 37 წლის მეკარე. აპატიებს თუ არა უეფა კანს, ეს დღეს გაირკვევა...

გოტფრიდ ლენცი

ვესტ ჰემს სასჯელი ელის

"ნიუს ოფ ზე უორლდმა" სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. მიმომხილველებმა ერთ-ერთ შვეიცარიულ ბანკში საიდუმლო ანგარიშს მიაკვლიეს. 31 აგვისტოს "ვესტ ჰემმა" ამ ანგარიშზე 339 ათასი გირვანქა ჩარიცხა, ასოციაციისათვის კი არაფერი უცნობებია. საუბარი, რა თქმა უნდა, **კარლოს ტევესისა** და **ხავიერ მასკერანოს** ტრანსფერებს ეხება. კანონმდებლობა კლუბებისაგან ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობას ითხოვს. ყველა სხვა ქმედება კანონდარღვევად ფასდება და უმკაცრეს სასჯელს ითვალისწინებს. საფეხბურთო ასოციაცია "ნიუს ოფ ზე უორლდის" გამოძიებით დაინტერესდა. მან გამოცემას დოკუმენტების მიწოდება სთხოვა. ინგლისური ფეხბურთის ბოსები ფაქტებს გადაამოწმებენ და შესაბამის ზომებს მიიღებენ. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, "ვესტ ჰემს" სოლიდური ჯარიმა და ქულების დაკლება ელოდება.

ფული გარდაცვლილის სანაცვლოდ

პორტუგალიის სასამართლომ "ბენფიკას" "პორტუსთვის" 600 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. საქმე ეხება 2004 წელს გარდაცვლილი უნგრელი ფეხბურთელის, **მიკლოშ ფეჰერის** ტრანსფერს. ფეჰერი "ბენფიკაში" 2002 წელს, "პორტუდან" გადავიდა. სადაც იქამდე ოთხი სეზონი ჰქონდა გატარებული. ლისაბონელებს სატრანსფერო თანხა ბოლომდე არ ჰქონდათ გადახდილი. "პორტუს" საკუთარი ინტერესების დაცვა სასამართლოს გზით მოუხდა.

გაზაევი, რუსეთის რეკორდსმენი

გასულ უქმეებზე რუსეთის ჩემპიონატში ერთი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. "დინამო"-ცსკა-ს მატჩისას (1:1) არმიელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ვაგნერ ლავმა** ერთი შეხედვით ჩვეულებრივი გოლი შეაგდო. ამ გოლმა მისი მწვრთნელი **ვალერი გაზაევი** ისტორიაში შეიყვანა. საქმე ის გახლავთ, რომ გაზაევის გუნდებმა რუსეთის პირველობაზე 696-ჯერ გამოჩინეს თავი. წინა რეკორდი, 695 გოლი, მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილ დამრიგებელ **ოლეგ რომანცევს** ეკუთვნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტო დონადონის პრესკონფერენცია

ტოტი? აღარ მკითხოთ!

რობერტო დონადონი შოტლანდიასთან მატჩისთვის ემზადება

თითქმის ოთხთვიანი პაუზის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონები ისევ ერთად არიან. წესით, თებერვალში უნდა შეკრებილიყვნენ რუმინელებთან ამხანაგურად გასაჯიბრებლად, მაგრამ კატანიაში სტადიონზე მომხდარი ტრაგედიის გამო, ფედერკალჩომ თამაშზე უარი თქვა და შეხვედრაც გაუქმდა. "სკუარდა აძურა" 28 მარტს ბარიში შოტლანდიის ნაკრებს ევროპის შესარჩევ მატჩში უმასპინძლებს. ამ შეხვედრისთვის მზადება იტალიამ სამშაბათს კოვერჩანოს ბაზაზე დაიწყო. წვიმის გამო, პირველი ვარჯიში გუნდმა დარბაზში გამართა. ამის შემდეგ რობერტო დონადონიმ პრესკონფერენცია მოაწყო. მწვრთნელი მომდევნო მეტოქესა და მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელების კონდიციებზე საუბარს ისურვებდა, მაგრამ ვინ აცალა. შოტლადიამდე ჯერ მთელი კვირააო და იტალიელმა ჟურნალისტებმაც დრო იხელთეს, რომ დონადონისთვის პოლემიკური შეკითხვები დაეყარათ – ტოტი, რომელიც ნაკრებში ჯერ არ ბრუნდება და დელ პიერო, რომელმაც თავისი უკმაყოფილება აშკარად გამოხატა, მას შემდეგ, რაც თბილისში თამაშს ტრიბუნიდან უყურა. ცოტა ხნის წინათ ფედერაციამ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, სადაც გადაჭრით წერდა, რომ ტოტი ნაკრებს სექტემბერში დაუბრუნდება. მაგრამ მედიას ამ განცხადებამ შეკითხვები მაინც ვერ გაუქრო.

- დონადონი, ტოტისთან დაკავშირებით, რა მდგომარეობაა?

- ამ დღეებში ცოტა ორაზროვანი განცხადებები მესმის და მინდა, სიცხადე შევიტანო: საქმე ის კი არაა, თითქოს ტოტიმ სექტემბერში რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა ითამაშოს. არა, ისიც ისე, როგორც ყველა სხვა, მწვრთნელის განკარგულებაში იქნება და ამის შემდეგ გადავწყვეტ, გამოვიძახო ნაკრებში თუ არა. მანამდე ფორმა ბოლომდე უნდა აღიდგინოს.

- ფორმა უნდა აღიდგინოს? ტოტი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია...

- კი, ვიცი, მაგრამ ოპერაციის შემდეგ პლასტმასის ფირფიტა ფეხიდან ჯერ არ ამოუღია. და ეს თემა ამით ამოვწუროთ. აღარ მინდა ამ საკითხზე ლაპარაკი. ვილაპარაკოთ იმ ფეხბურთელებზე, ვინც აქ არიან. ტოტი მე აქ თვალით არ მინახავს.

- თქვენი გუნდის წევრად არ განიხილავთ?

- ეს იმ წუთიდან მოხდება, როცა ჩემს განაკრგულებაში იქნება.

- გაღიზიანებთ ტოტიზე საუბარი?

- მაღიზიანებს ერთი და იგივე შეკითხვების გაუთავებლად მოსმენა.

- ფედერაციაში, ვინ გადაწყვიტა ოფიციალური განცხადების გავრცელება (სექტემბერში ტოტის დაბრუნების შესახებ)?

- ერთად გადავწყვიტეთ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი თავიდან აგვეცილებინა. მაგრამ თქვენი შეკითხვების გათვალისწინებით, ეტყობა, რომ მიზანს ვერ მივაღწიეთ.

- დელ პიეროსთან დაკავშირებით, რა სიტუაციაა?

- ახლა დელ პიეროზეც უნდა ვიკამათოთ? რაკი გამოვიძახე, ესე იგი, მინდოდა, რომ აქ ყოფილიყო. დელ პიეროს იმედი რომ არ მქონდეს, არ გამოვიძახებდი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფეხბურთელებს თავს ვუყრი, ყველას ერთი და იმავე კრიტერიუმით ვაფასებ, მათ შორის დელ პიეროსაც. ისიც ისეთივე პირობებში იქნება, როგორც ნებისმიერი დებიუტანტი. შეფასებისას მაქსიმალურად კორექტული ვარ, თუმცა ზოგიერთები ყოველთვის პოულობენ რაღაც მიზეზს, რომ სიტუაცია მუქ ფერებში დახატოს.

- საქართველოში ტრიბუნაზე გამწესების შემდეგ, დელ პიერომ თქვა, დონადონის პირისპირ უნდა დაველაპარაკო.

- მე ყველასთან სალაპარაკოდ ვარ მზად. და ეს მანამდე უნდა გავაკეთოთ, სანამ ერთად ვართ, თორემ ნაკრები ის ადგილი არაა, სადაც მწვრთნელი ფეხბურთელებს ყოველდღიურად ხვდება. ასეა თუ ისე, საქართველოსთან თამაშში გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა.

- თქვენი აზრით, სერია B-ში თამაში ფეხბურთელს მოტივაციას ართმევს?

- წარსული დელ პიეროს სასარგებლოდ მეტყველებს. ის, ვისაც თავისი საქმე უყვარს, სერია C-შიც რომ თამაშობდეს, მაინც მაქსიმუმს გაიღებს და ამით დაამტკიცებს, რომ A-ში თამაშს იმსახურებს.

- კასანოც სახლში დატოვეთ. თქვენს ნაკრებთან ერთად კარგად დაიწყო, მაგრამ მერე...

- აქ ის ფეხბურთელები არიან, ვინც ჩემპიონატში თავი კარგად წარმოაჩინა. კასანო ნელ-ნელა იწყებს იმ მცირეოდენი შანსების გამოყენებას, რომელსაც კაპელო აძლევს. თუკი სტაბილურად ითამაშებს... მაგრამ მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

- ჩემპიონატს რაც შეეხება, როგორ ფიქრობთ, წელს იტალიაში დაბალი დონის ჩემპიონატი გვაქვს?

- არა, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულის სკანდალს გარკვეული ანომალიები მოჰყვა და გამოგვაკლდა "იუვენტუსი". გარდა ამისა, დომინირებს "ინტერი", რომელიც, თუ ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობს, მოედანზე მხოლოდ ორი იტალიელი გაჰყავს. ასეთ დროს მე რა უნდა ვქნა? სასურველი ფეხბურთელები სხვაგან უნდა ვეძიო.

- ბევრი თავდამსხმელი გყავთ ისეთი, ვინც ბრწყინვალე ფორმაშია. შესაძლებელია, რომ შოტლანდიასთან სამფორვარდიანი სქემით ითამაშოთ?

- მე დაბალანსებული და გაწონასწორებული სქემა მჭირდება. თუ ამ სამ ფორვარდს ჩაშლაც შეეძლება, მაშინ პრობლემა არ არის.

- შოტლანდიასთან შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ "რომა"-"მილანია". ხომ არ შიშობთ, რომ "გეოპოლიტიკური" პოლემიკა დაიწყება (იგულისხმება შემთხვევა, რომ დონადონიმ ერთი გუნდის ფეხბურთელები ათამაშოს და დაღალოს, მეორისა კი დაასვენოს)?

- დიდია ალბათობა, რომ შოტლანდია ჩვენთან უკვე 12 ქულით ჩამოვიდეს (ანუ საქართველოს მოუგოს). ასე რომ, მსგავს თეორიებზე ფიქრის ფუფუნება ნამდვილად არ მაქვს.

გოგა ახალაძე



სტივ მაკლარენი

ინგლისის ნაკრები

მაკლარენისგან მინიმუმ ოთხ ქულას ითხოვენ

ლამპარდი ყველა მატჩში გამარჯვებისთვის აპირებს ბრძოლას, ისრაელი ინგლისს გაფიცვით შეხვდა...

შაბათს ინგლისი ისრაელს ეთამაშება. ოთხი დღის შემდეგ ბრიტანელებს ანდორასთან მატჩი უწევთ. თუ ამ შეხვედრებში **სტივ მაკლარენის** შეგირდები მინიმუმ ოთხ ქულას არ დააგროვებენ, მწვრთნელის პოზიციები საგრძნობლად შეირყევა. მაკლარენი წნეხის ქვეშაა, მაგრამ საჯარო განცხადებებში ოპტიმიზმის ნაკლებობას არ უჩივის: *"გუნდში ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც ნებისმიერ წუთს შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა. დადგა დრო, ლიდერებმა საკუთარი კოზირები გამოიყენონ."*

მაკლარენი ნაკრებში შარშანდელი მუნდიალის შემდეგ დაინიშნა. მას იდეალური სტარტი ჰქონდა. აგვისტოში ინგლისმა ევროპის ჩემპიონ საბერძნეთს ამხანაგურ მატჩში 4:0 მოუგო. შემდეგ შესარჩევის პირველ შეხვედრებში 5:0 გაანადგურა ანდორა და 1:0 სძლია მაკედონიას. სამი გამარჯვების შემდეგ ინგლისელებმა იმავე მაკედონიასთან შინ ვერაფერი გაანწყვეს, 0:0, ხორვატიასთან კი ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე უსახური თამაში ჩაატარეს და 0:2 დამარცხდნენ. ოთხი საკვალიფიკაციო შეხვედრის შემდეგ, ინგლისს E ჯგუფში მესამე ადგილი უკავია. ის სამი ქულით ჩამორჩება ხორვატიას და ერთით - რუსეთს. მაკლარენის ფეხბურთელებს ქულების განაავების უფლება აღარ აქვთ.

მისტერ სტივს შეკრების დაწყება ორშაბათს სურდა, მაგრამ იმ დღეს ასოციაციის თასის ორი გადათამაშება გაიმართა. "მანჩესტერი"-"მიდლსბროსა" (1:0) და "ტოტენჰემი"-"ჩელსის" (1:2) მატჩებში მისი გუნდის 14 ფეხბურთელი იყო დაკავებული. მართალია, არავინ დაშავებულა, მაგრამ ნაკრების მწვრთნელს ტაქტიკაზე სამუშაოდ ნაკლები დრო დარჩა. გადატვირთული ორშაბათის გამო, წამყვანმა ფეხბურთელებმა სამშაბათს მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშეს. "მანჩესტერ სიტისა" და "მიდლსბროს" მცველებს, **მიკა რიჩარდსსა** და **ჯონათან ვუდგეიტს** კი, სულაც, დასვენების დღე ჰქონდათ. ექიმებმა მათ ვარჯიში აუკრძალეს.

მაკლარენს დაცვაში პრობლემები აქვს. არ იქნებიან წამყვანი მარჯვენა მცველი **გარი ნევილი** და მარცხენა მცველები - **ეშლი კოული** და **უეინ ბრიჯი**. ინგლისელთა თავკაცმა ასტონვილელი **გარეთ ბერი** გამოიძახა, რომელსაც მარცხენა ფლანგზე ნახევარდაცვაშიც შეუძლია თამაში და დაცვაშიც. განაცხადშია ცენტრალური მცველი **ჯეიმი კარაგერი**, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ფლანგზე გადაისვრიან. რიჩარდსისა და ვუდგეიტის ტრავმები მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს.

ისრაელში გამგზავრების წინ საინტერესო კომენტარი გაკეთა **ფრენკ ლემპარდმა**. "ჩელსის" ნახევარმცველმა გულშემატკივრები დაარწმუნა, რომ ხორვატიაში დაშვებული შეცდომები აღარ გამეორდება: *"ხორვატებმა კარგი გაკვეთილი ჩაგვიტარეს. ის თამაში დიდხანს არ დაგვავიწყდება. მართალია, თელ ავივის სტადიონზე მტრული ატმოსფერო დაგვხვდება, მაგრამ ჩვენ გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს და მსგავს ატმოსფეროშიც არაერთხელ გვითამაშია. ქულების დაკარგვის შემთხვევაში, ეს ფაქტორი გასასამართლებელ საბუთად არ გამოგვადგება."*

ლემპარდის აზრით, თუ ინგლისელებს ევროპის ჩემპიონატზე თამაში სურთ, ისრაელთან მოსაგებად უნდა ითამაშონ: *"მეტოქეს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს. ის უთუოდ იმსახურებს პატივისცემას, მაგრამ მინდორზე გასვლისას ყველამ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ. უკლებლივ ყველა შეხვედრაში მაქსიმალური შედეგისთვის გვმართებს ბრძოლა. მართალია, ქულები დავკარგეთ, მაგრამ წინ ბევრი მატჩია. მდგომარეობის გამოსწორება ადვილად შეიძლება."*

ისრაელში გამგზავრებას აპირებენ ინგლისელი ფანები, მაგრამ მათ გეგმებს ჩაშლა ემუქრება. საქმე ისაა, რომ გუშინ და დღეს ისრაელში საყოველთაო გაფიცვა ეწყობა. სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები ხელფასების დაგვიანებას აპროტესტებენ. აქცია გავლენიანი პროფკავშირების მიერაა მოწყობილი. ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ინგლისის ნაკრების თვითმფრინავს უპრობლემოდ დართავენ თელ ავივში დაფრენის უფლებას, სხვა რეისების მომსახურებას კი არ აპირებენ.

მიროსლავ კლოზე

ვერდერი

ახალი წინადადება კლოზეს

კონტრაქტი 2010 წლამდე, ხელფასი 4.2 მილიონი ევრო!

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ბრემენის "ვერდერი" **მიროსლავ კლოზეს** შენარჩუნებისთვის იბრძვის. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს (28 წლის მირომ მუნდიალზე 5 გოლი გაიტანა) ბრემენულ კლუბთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ "მუსიკოსები" თავიანთ ლიდერს ან ახლავე უნდა შეელიონ, ან არა და, კლოზე "ვერდერს" გაისად უფასოდ დატოვებს. სწორედ ამიტომ, ბრემენელთა გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მირო ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე დაიყოლიოს. ადრეც ვწერდით, რომ კლოზე "იუვენტუსს" სურს, თუმცა ბოლო დროს გერმანულ პრესაში ამ თემაზე აღარაფერი დაწერილა. ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის თაობაზეც, რომ გერმანიის ნაკრების გოლეადორის გადაბირება "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ბარსელონასაც" უნდოდათ, მაგრამ ფაქტი ის გახლავთ, რომ "ვერდერის" ბოსებისთვის კონკრეტული წინადადებით ხსენებული გრანდებიდან არცერთს არ მიუმართავს.

გუშინ გერმანული პრესა იუწყებოდა, რომ კლოზეს "ვერდერში" დარჩენა თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. საქმე ის გახლავთ, რომ ბრემენული კლუბის ხელმძღვანელობამ მიროს ახალი, კიდევ უფრო გაუმჯობესებული წინადადებით მიმართა. 28 წლის თავდამსხმელის ხელფასი დღეისთვის წელიწადში 2.8 მილიონ ევროს შეადგენს. ალოფსმა მას პირველად ჯამაგირის 3.8 მილიონამდე გაზრდა შესთავაზა. მაშინ კლოზემ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა, მაგრამ ფიქრი გაუგრძელდა და ბოსებმაც გადაწყვიტეს, ფეხბურთელისთვის ახალი წინადადებით მიემართათ. "ბილდის" ცნობით, "ვერდერი" კლოზეს სამწლიან კონტრაქტსა და წელიწადში 4.2 მილიონს სთავაზობს. თუკი მირო ამ წინადადებას დაყაბულდება, ის "ვერდერის" ყველა დროის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშე გახდება. ახალ ხელშეკრულებაში ჩადებული იქნება ერთი მეტად საინტერესო პუნქტიც: "ვერდერი" ნებისმიერ დროს მზად იქნება, მოლაპარაკებები წამოიწყოს რომელიმე სუპერგრანდთან, თუკი კლოზეთი ვინმე სერიოზულად დაინტერესდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მიროს შეეძლება, ნებისმიერ დროს დატოვოს ბრემენული გუნდი, განსხვავება კი ისაა, რომ "ვერდერს" კლოზეს უფასოდ გაშვების საფრთხე აღარ დაემუქრება.

მოკლედ, მოლაპარაკებები გადამწყვეტ ფაზაშია შესული და ალოფსი მიროს საბოლოო პასუხს დღე-დღეზე ელოდება. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი დარწმუნებულია, რომ კლოზე ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერს და ბრემენში დარჩება. ისე, "ვერდერს" ერთი კოზირი ნამდვილად უკავია: აშკარაა, რომ "მანჩესტერმა" და "იუვენტუსმა" კლოზესთან მიმართებაში უკან დაიხიეს, რაც იმის ბრალია, რომ მიროს ბოლო დროს გოლები ვეღარ გააქვს. თავად განსაჯეთ, ბუნდესლიგაში მას 615-წუთიანი მშრალი სერია აქვს, ევროტურნირებზე კი სულაც 2005 წლის 7 დეკემბრის შემდეგ აღარ უხეირია. კლოზეს კრიზისი ახალი კონტრაქტის გაფორმების თვალსაზრისით, შესაძლოა გადამწყვეტიც იყოს.

მილანში ძამბროტასაც ელოდებიან

მილანი და ბარსელონა დიდი გადაადგილებების მოლოდინში

რონალდინიოსთან ერთად ძამბროტაც

"მილანი" ცხელი სატრანსფერო ზაფხულისთვის მზადებას უკვე შეუდგა. იხაზება კონტურები მომავალი სეზონისთვის, რომლის საკვანძო ნაწილი ამ ზამთარს **რონალდოს** შეძენა იყო. ჯერჯერობით, ის "როსონერის" სრულფასოვნად ვერ ეხმარება, რაკი ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს. 2007/08 წლების სეზონისთვის უკვე სხვაგვარად იქნება, მით უმეტეს, **სილვიო ბერლუსკონი** და **ადრიანო გალიანი** ამაზე გაჩერებას არ აპირებენ. მიზანი ცალსახაა: "მილანმა" სუპერგრანდობის ხარისხი უნდა გაზარდოს, დაიბრუნოს სკუდეტო და მოიგოს ჩემპიონთა ლიგა. აბა, როგორ?! მნიშვნელოვანია, რომ ბერლუსკონისა და გალიანის შორის სრული თანხმობაა პრიორიტეტულ მოთამაშეთა თაობაზე. ასეთ მოთამაშედ კი, პირველ რიგში, **რონალდინიო** ითვლება.

"გაუჩო" ბერლუსკონის დიდი ხნის ოცნებაა. ბოლო პერიოდში ის უკვე აღარ ერიდებოდა ამის ხმამაღლა გაცხადებას, გალიანი კი უკვე ესაუბრა კიდეც რონალდინიოს ძმასა და ამავდროულად, აგენტს. მხარეებმა მნიშვნელოვან შეთანხმებას მიაღწიეს იმაზე, რომ კატალონიიდან აბარგების შემდეგ, "ბარსამ" და რონალდინიომ, პირველ რიგში, "მილანის" შეთავაზება უნდა განიხილონ. ზოგიერთი მიმომხილველი უფრო შორსაც მიდის და გადაჭრით აცხადებს - სიტყვიერი თანხმობა კი არა, უკვე წინასწარი კონტრაქტია გაფორმებული და ამ ზაფხულს რონალდინიო ნამდვილად "მილანის" მაისურას მოირგებსო.

ცხადია, გალიანის კომენტარები თავშეკავებული. ის ცდილობს, ზედმეტად არ გააღიზიანოს "ბარსელონა", სადაც ახლა ყველაფერი რიგზე ვერრაა. დასამალი აღარ არის, რომ უთანხმოებაა პრეზიდენტ **ხუან ლაპორტასა** და **ფრანკ რიიკაარდს** შორის, ამ უკანასკნელმა კი პატარ-პატარა კონფლიქტები გადაიტანა რონალდინიოსა და **ეტო'ოსთან**, მერე ამათ შორისაც იყო სერიოზული დაპირისპირება, მაგრამ დღესდღეობით, თითქოს, ყველაფერი მოგვარებულია. მაგრამ საქმეში ჩახედული ხალხი გვარწმუნებს, რომ სწორედაც "თითქოს" - კატალონიურ გრანდს ჩუმი კონფლიქტები ჯერ ისევ ღრღნის და სეზონის ბოლოს, შეიძლება, ეს ყველაფერი რადიკალურ ცვლილებებში გადაიზარდოსო.

პირველი, ვინც წავა, რიიკაარდი იქნება, - გვარწმუნებენ ჩვენი ესპანელი კოლეგები. ჰოლანდიელს კი, გამორიცხული არაა, ორი-სამი მოთამაშეც მიჰყვეს. ერთ-ერთი, მაგრამ ნაკლებად სარწმუნო ვერსიით, მომავალი სეზონიდან რიიკაარდი, შეიძლება, "მილანის" სამწვრთნელო სკამზე ვიხილოთ. მაგრამ უფრო რონალდინიო წავა იტალიაში, ვიდრე რიიკაარდი, რადგან იტალიურმა წყაროებმა უკვე გაახმაურეს **მარჩელო ლიპისა** და "მილანს" შორის მიღწეული შეთანხმება, რომელსაც წერტილი აღდგომის შემდეგ დაესმება. საგულისხმოა, რომ აქამდე, ლიპი მასზე გავრცელებულ ყველა ინფორმაციას უარყოფდა, ახლა კი კრინტი არ დაუძრავს...

ერთი სიტყვით, რონალდინიოს "მილანში" გადასვლა 90 პროცენტით გადაწყვეტილ საქმედ ითვლება. გუშინ, "გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა მორიგი ინფორმაცია, რომელიც კიდევ ერთ ბარსელონელს, ამჯერად **ჯანლუკა ძამბროტას** ეხება - თითქოსდა, ახალი სეზონიდან მსოფლიო ჩემპიონი "როსონერის" სახელით ითამაშებს. "მილან ბიზნეს ფორუმმა" უმალ კომენტარი სთხოვა. გალიანის, რომელმაც, ეტყობა, შეგნებულად აუარა გვერდი ძამბროტას თემას - ალბათ, ჩათვალა, რომ მის ბაგეთაგან კიდევ ერთი ბარსელონელის ხსენება მეტად არადიპლომატიური ნაბიჯი იქნებოდა. აი, მისი კომენტარიც:

"არა მგონია, "ბარსელონამ" რონალდინიო გაუშვას, რადგან ის ფუნდამენტალური მოთამაშეა. მაგრამ ყველამ იცის, რომ თუ რონალდინიოს ტრანსფერზე დააყენებენ, ის აუცილებლად "მილანში" გადმოვა. ეს უპირატესობა ჩვენ უკვე გვაქვს და მის ხელიდან გაშვებას არ ვაპირებთ. ასეთია პრეზიდენტ ბერლუსკონის პოზიციაც".

თავად ძამბროტას რაც შეეხება, ის არ უარყოფს, რომ კარიერის დასრულება აპენინებზე სურს, მაგრამ აი, რას ამბობს "მილანზე": *"ჩემი ოცნებაა, ფეხბურთის თამაში სამშობლოში დავასრულო. "ბარსელონაში" თავს მშვენივრად ვგრძნობ, ის თავიდანვე ჩემი ფავორიტი უცხოური კლუბი იყო და ასეა ახლაც, მაგრამ არ დავმალავ, რომ იტალიაში ყველაზე მეტად "მილანი" მიზიდავს. იმასაც გეტყვით, რომ გასულ ზაფხულს ძალიან ახლოს ვიყავი "როსონერიში" გადასვლასთან... უკვე 30 წლის ვარ და ფეხბურთის სათამაშოდ ბევრი დრო აღარ დამრჩა. არ ვიცი, დავტოვებ თუ არა "ბარსელონას" სეზონის ბოლოს, ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება".*

...დიახ, ყველაფერი ხდება. და ისიც ბუნებრივია, რომ "იუვენტუსი" ძველი გვარდიის დაბრუნებას ცდილობს და ამ სიაში, **ფაბიო კანავაროსთან** ერთად, ძამბროტაცაა...

ინტერვიუ დელიო როსისთან

სუპერდელიოს სუპერლაციო

ისტორიით გატაცებული მწვრთნელი რომაულ გუნდში ახალ ისტორიას წერს

დელიო როსის "ლაციო" დიდი ნაბიჯებით, უკანმოუხედავად მიიწევს ჩემპიონთა ლიგისკენ. კვირას, ტურის ბოლო შეხვედრაში "ბიანკოჩელესტემ" უშუალო კონკურენტ "ემპოლის" კარში გატანილი სამი ლამაზი გოლით ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვა და ცხრილის მესამე საფეხურზე მყარად დამკვიდრდა. ფეხბურთელები და ტიფოზები მეცხრე ცაზე არიან და მწვრთნელს ახლა ახალი თავსატეხი გაუჩნდა – როგორ დააცხროს გუნდში ეიფორია. არადა, სეზონს ისეთი მოვლენები უსწრებდა წინ (სასამართლოები, პრეზიდენტის დისკვალიფიკაცია, დაკლებული 11 ქულა, რომელიც შემდეგომაზე 3-მდე შემცირდა), რომ მწვრთნელი და ხელმძღვანლობა მიზნად სერია A-ში დარჩენას ისახავდნენ. ამის გათვალისწინებით, რომაული გაზეთები "ლაციოს" მიღწევას "პატარა სასნაულს" უწოდებენ და მწვრთნელს მადლობასაც კი უხდიან იმისთვის, რომ "პალერმოს" უკან ჩამოტოვებით, ამ მოსანყენ და ყოველმხრივ გადანყვეტილ ჩემპიონატში რაღაც სიახლე შეიტანა და მცირედი ინტრიგა მაინც დააბრუნა. "სიტყვა "სასნაული" ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება, – უთხრა 47 ნლის დელიო როსიმ რომაულ "ილ მესაჯეროს" – მაგრამ ის კი აშკარაა, რომ რაღაც მოულოდნელი და წარმოუდგენელი გავაკეთეთ იმასთან შედარებით, რაც სეზონის დასაწყისში იყო".

- ასეთი შედეგი თქვენთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა?

- არა, რადგან ვიცოდი, რომ შარშანდელთან შედარებით უფრო ძლიერი, უფრო სრულყოფილი გუნდი მყავდა. იმედი მქონდა, რომ მივიდოდით იქ, სადაც ახლა ვართ, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არასდროს ვლაპარაკობდი.

- სეზონის დასაწყისში ამბობდით, ეს არანორმალური სეზონია, ჩემს ფეხბურთელებს თავის გამეტება და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა მოუნევთ, გუნდი გავარდნისგან რომ ვიხსნათო...

- ჩემპიონატი მინუს 11 ქულით დავიწყეთ, გარდა ამისა, უეფას თასზე მონაწილეობის უფლებაც ჩამოგვართვეს, რის გამოც მორალურად განადგურებულები ვიყავით. ამასთან, შევიძინეთ ბევრი ახალი ფეხბურთელი, ვისაც ადაპტაციის პრობლემები შეიძლებოდა, ჰქონოდათ.

- რატომ გააკეთეთ ასეთი დიდი აქცენტი ლედესმაზე?

- ეს ფეხბურთელი "ლეჩეში" მუშაობის დროსაც მყავდა, დებიუტი სერია A-ში ჩემს ხელში ჰქონდა, ასე რომ, მას კარგად ვიცნობდი. ამ ბიჭს ძლიერი ხასიათი აქვს, ცოტას ლაპარაკობს და ბევრს მუშაობს. შეიძლება, ხანდახან არაზუსტი პასები გააკეთოს ან სულაც მთელი ტაიმი ჩააგდოს, მაგრამ თამაშიდან ამოვარდნილი არასდროს არის, მაშინაც, როცა მისი საქმე კარგად არ ეწყობა.

- როგორ მოახერხეთ, რომ პანდევმა თქვენს ხელში სირბილი დაიწყო? ამ ფეხბურთელს სისწრაფეც არ ჰქონდა და სირბილიც ყოველთვის ეზარებოდა.

- მე კი გიპასუხებთ, რომ ჯერაც არ დარბის ისე, როგორც მე მინდა... ავუხსენი და გავაგებინე, რომ თანამედროვე ფეხბურთში, თუ თავდამსხმელი ბევრს არ მოძრაობს, მეტოქეებისთვის იოლად გასაჩერებელი ხდება. იმაშიც დავარწმუნე, რომ თუ თავის შესაძლებლობებს გუნდს მოახმარდა, თავადაც მოიგებდა და გუნდიც.

- აქვს კი პანდევს იმის პოტენციალი, რომ მსოფლიო დონის ფორვარდად იქცეს?

- კლასი, ტექნიკა და არასტანდარტული ნომრები უხვად აქვს, მაგრამ კიდევ ერთი ნახტომი უნდა გააკეთოს, რაც უკვე მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

- "ლაციომ" კაპიტანი ოდო გაყიდა და მას შემდეგ სულ იგებს, თან გოლებსაც ძალიან იშვიათად უშვებს...

- მასიმოსთან ერთადაც ძლიერები ვიყავით. სულელი და არაკორექტული ვიქნები, საწინააღმდეგო რომ ვთქვა.

- თქვენ მის გაშვებას არ შეწინააღმდეგებიხართ. რატომ?

- ვიცოდი, რომ ოდოს გარეშეც შეგვეძლო კარგად თამაში, რადგან ბეჰრამის შესაფერისი თვისებები აქვს, მარჯვენა მცველის პოზიციაზე წარმატებით რომ ითამაშოს – სისწრაფე, სისხარტე, კარგი ფიზიკური მომზადება.

- "ლაციოს" ტიფოზებში დღეს ისეთი ენთუზიაზმია, რომ უკვე ყველა დიდ და სერიოზულ წარმატებზე ოცნებობს? როგორ ფიქრობთ, შეუძლია ამ გუნდს გულშემატკივრის ოცნებების ახდენა?

- ამაში დარწმუნებული ვარ. "ლაციო" ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია და ყველა რესურსი აქვს იმისთვის, რომ ზრდა განაგრძოს.

- მართალია, რომ თამაშის წინ და თამაშის შემდეგ დაძინებას ვერ ახერხებთ?

- ძალიან ცოტა ხანი მძინავს, თამაშის წინ ჩემთან დალაპარაკება და მით უმეტეს, მოლაპარაკება შეუძლებელია, ამიტომ ოთახში ადრე ვიკეტები. ჩემნაირ ადამიანთან კარგ ურთიერთობას ვერ ავაწყობდი... მაგრამ ყველას პატივისცემით ვეპყრობი.

- "სასწაულს" რომ დავუბრუნდეთ, ჩემპიონთა ლიგა მართლაც ძალიან ახლოსაა.

- დღევანდელი რეალობა ძალიან ლამაზია, მაგრამ ამ მიზნისთვის ჯერ ისევ არ მიგვიღწევია. ნამდვილი ტრაგედია იქნება, რომ მოვდუნდეთ, თუნდაც მცირედი რომ დავთმოთ.

დელიო როსის შეგირდებმა ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგეს

- ტიფოზები კი უკვე ეიფორიაში არიან.

- სნორად და ნორმალურად მეჩვენება, რომ გუნდის წარმატებებით ხარობენ. ოცნება მშვენიერია და უკეთ ცხოვრებაში გეხმარება...

- დერბიში გამარჯვების (3:0) შემდეგ, ქუჩაში გახვედით და შადრევანში იბანავეთ, რასაც საკმაოდ დიდი პოლემიკა მოჰყვა.

- უკან რომ დამაბრუნონ, იგივეს გავაკეთებდი, რადგან სანაძლეო მქონდა დადებული ერთ მონაზონთან. ესეც არ იყოს, არა მგონია, რომ ამ ჟესტით ვინმესთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა.

- მოგებული დერბის შემდეგ "ჯანიკოლოს" შადრევანში გადახტით, ახლა "რომას" ცხრილშიც რომ გადაასწროთ, "მილავიოს" ხიდიდან მდინარეში თუ გადახტებით?

- ის კი ვიცი, რომ სადღაც ნამდვილად გადავხტები. მაგრამ სად, ამაზე მერე ვიფიქრებ.

- ისე გჯერათ, რომ "ლაციოს" მეორე ადგილზე გასვლა შეუძლია?

- დღევანდელი დღით უნდა ვიცხოვროთ, რეალობის შეგრძნება არ უნდა დავკარგოთ. სწორედ ეს უნდა იყოს ჩვენი ძალა იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც ჩვენგან ტიფოზები ითხოვენ.

- რა დატვირთვა ექნება ჩემპიონთა ლიგაში გასვლას?

- ნახევარი სკუდეტოს ტოლფასი იქნება, პირველ რიგში კი, იქნება საკადრისი პასუხი იმაზე, რაც გასულ ზაფხულს მოხდა. წარმოიდგინეთ, არ უნდოდათ, რომ "ლაციოს" წინასასეზონო შეკრება იტალიაში გაევლო, გვაიძულეს, რომ ავსტრალიაში წავსულიყავით, ისე გვიყურებდნენ, როგორც ქურდებს და ეს მას შემდეგ, რაც ქულები აქეთ წაგვართვეს. შეუძლებელია იმ მძიმე მომენტების დავიწყება, რომელიც გასულ წელს გამოვიარეთ.

- რატომ მოხდა, რომ დელიო როსი დიდ ფეხბურთში მხოლოდ ახლა გამოჩნდა?

- არ ვთვლი, რომ დავაგვიანე, ფეხბურთისგან ბევრი მივიღე მაშინაც, როცა ბავშვებს ვწვრთნიდი. ამბიციები მეც მაქვს, და საკმაოდ დიდიც, მაგრამ როცა გუნდს ვწვრთვნი, მხოლოდ ამ გუნდზე ვფიქრობ და არა ამბიციებზე. თუ რაღაც უფრო მეტს მივაღწევ, მით უკეთესი, თუ არა და, ასეც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

- როგორ მოგწონთ რომში ცხოვრება?

- სამწუხაროდ, დრო არ მრჩება, რომ ქალაქს ისე გავეცნო, როგორც თავად ვისურვებდი, ვერ ვახერხებ, რომ რომის მთელი მშვენიერება და სიდიადე სათანადოდ აღვიქვა და ამის გამო, გული ძალიან მწყდება. ჩემს თავს ვუსურვებ, რომ რომში დიდხანს დავრჩე და ისე გავიცნო, როგორც ეს ქალაქი იმსახურებს.

- ამბობენ, რომ ისტორიით ხართ გატაცებული.

- დიახ, ისტორია ჩემი გატაცებაა.

- ისტორიული პერსონაჟებიდან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?

- განდი და ალექსანდრე მაკედონელი.

- რომელ ეპოქაში ისურვებდით ცხოვრებას?

- ძველ ეგვიპტეში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ცივილიზაციის შესახებ ცოტა ვიცით.

- ფეხბურთში რომელმა მწვრთნელებმა შექმნეს ისტორია?

- მიხელსმა ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად, იტალიაში კი საკიმ "მილანთან" ერთად.

გოგა ახალაძე



დეკუ, მორიგი გაჩერება ინტერი?

ანდერსონ ლუიშ დე სოუზა, ან უბრალოდ **დეკუ**. "ინტერის" გეგმის მიხედვით, ამ ფეხბურთელმა უნდა შეცვალოს **ლუიშ ფიგუ**, რომელიც სეზონის ბოლოს არაბეთის გზას გაუდგება და კარიერას "ალ-იტიჰადში" გააგრძელებს. მართალია, **მასიმო მორატის** უპირველესი ოცნება **ლეო მესის** ხელში ჩაგდებაა, მაგრამ იტალიური პრესის ბოლო ინფორმაციით, დეკუს შეძენა მილანელებისთვის არა მხოლოდ მესიზე, არამედ ყველას სხვა სასურველ ვარსკვლავზე უფრო ადვილი იქნება. სამშაბათს, ჟურანლისტის შეკითხვაზე, "ბარსელონის" ფეხბურთელებზე ასეთი ტაციაობა რატომ არის და მართალია თუ არა, რომ **კრისტიანო რონალდო** მოგყავთო, კატალონიელთა სპორტულ დირექტორ **ჩიკი ბეგირისტაინს** ასეთი რამ უთქვამს: *"უშუალოდ ჩვენ არცერთი კლუბი არ დაგვკავშირებია. აგენტები ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ მათ განცხადებებს ჩვენ ყოველთვის ვპასუხობთ, რომ არცერთი ფეხბურთელის გაშვებას არ ვაპირებთ. ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ თუ ამ ვარსკვლავებიდან არავინ წავა, მაშინ ვერც კრისტიანო რონალდო ჩამოვა". ამ განცხადებიდან იტალიური "გაძეტა დელო სპორტი" ასეთ დასკვნას აკეთებს: "ერთის მხრივ, ბეგირისტაინი თავისი ვარსკვლავების სახელს იცავს, მაგრამ მეორეს მხრივ იმასაც ამბობს, რომ კრისტიანო რონალდო მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავა ბარსელონაში, თუ ერთი მათგანი წავა. თუ ერთზე მეტი? იერარქია ცნობილია: თუ მესი, ეტოო და ინიესტა ხელშეუხებლები არიან, მაშინ წასვლის კანდიდატი რონალდინიო ან დეკუა, ან ორივე ერთად. ასეთი სცენარი კი სათავეს აძლევს მილანური დერბის დაწყებას ბაზარზე – რონალდინიო "მილანში", დეკუ "ინტერში". ასე რომ, დიდი ჯახი უკვე შეკვეთილია, იმის იმედით, რომ მომავალ სეზონში ეს ორი მილანური დერბის მთავარი გმირი იქნება... დეკუს "ბარსელონასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აქვს გაფორმებული, მისი გამოსასყიდი თანხა ხელშეკრულების მიხედვით 75 მილიონი ევროა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ბოლოს პორტუგალიელი ნახევარმცველი 30 წლის ხდება. შესაბამისად, მისი სატრანსფერო ფასი საგრძნობლად დაეცა. 2004 წელს "ბარსელონამ" მის სანაცვლოდ "პორტუს" 20 მილიონი ევრო გადაუხადა, მაგრამ სადღეისოდ დეკუს საბაზრო ღირებულება რეალისტური გათვლებით 12 მილიონ ევროს არ უნდა აჭარბებდეს. "ინტერს" კი ასეთი პერსპექტივის ძალიან ეიმედება".*

ფიგუს შემცვლელის ძიებისას, "ნერაძური" ცოტა ხნის წინათ პორტუელი **რიკარდო კუარეშმას** გადაბირებაზე ფიქრობდა, მაგრამ პორტუგალიურ კლუბს ის 20 მილიონ ევროზე ნაკლებად არ ეთმობა. დეკუ კი ბევრად უფრო უკეთესი ვარიანტია ფიგუს მემკვიდრის პოვნის საქმეში – სატრანსფერო ფასით და ასევე უმაღლეს დონეზე თამაშის გამოცდილებით. გაპორტუგალიელებული ბრაზილიელის სანაცვლოდ "ინტერმა" "ბარსელონას" შეიძლება, გაცვლაც შესთავაზოს. მილანელებს საამისოდ **ადრიანო** და **ვალტერ სამუელი** ჰყავთ – ორი ფეხბურთელი, რომლებიც კატალონიაში ძალიან მოსწონთ. თუმცა, არა მხოლოდ კატალონიაში, რადგან ბოლო ინფორმაციის თანახმად, ბრაზილიელი ფორვარდი მადრიდის "რეალის" სამიზნეშიც მოხვდა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ინჭერი დეკუს უმიზნებს

ბარსა პორტუგალიელს 12 მილიონად დათმობს და თანხას კრისტიანო რონალდოს ტრანსფერს მოახმარსო; ამასობაში, რეალი ადრიანოთი დაინტერესდა...

ეროვნული
ინფორმაცია

დაპირისპირება

საფეხბურთო კავშირი ადიდასის წინააღმდეგ

მხარეები უთანხმოებას სასამართლოში გაარჩევენ...

"ადიდასი" გერმანიის საფეხბურთო კავშირს სასამართლოთი ემუქრება. უცნაურია, მაგრამ მხარეები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ როდის იწურება მათი კონტრაქტი. საფეხბურთო კავშირის მტკიცებით, შეთანხმება 2011 წლამდე მოქმედებს. "ადიდასი" კი ირწმუნება, რომ ის 2014 წლამდეა გაგრძელებული. "ადიდასის" წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ სასამართლო დროულად გამოიტანს ობიექტურ განაჩენს.

მთელი ეს აურზაური "ნაიკის" საარაკო შეთავაზებას მოჰყვა. ამერიკულმა კომპანიამ თავისი უმთავრესი კონკურენტის დაკნინება გადაწყვიტა. მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას რვაწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ გერმანელებისთვის შეთავაზებული 660 მილიონი დოლარი. ბუნდესნაკრები და "ადიდასი" განუყოფელი ცნებები არიან, მაგრამ ფინანსურმა ამბიციებმა შეიძლება ამ სახელოვან ისტორიასაც დაუსვას წერტილი.

"ნაიკის" გააქტიურებისთანავე, "ადიდასმა" გერმანელებს აუწყა, რომ მზადაა, ახალი ხელშეკრულებით, დღევანდელზე ორჯერ მეტი თანხა, წლიურად 29 მილიონი დოლარი გადაიხადოს. მაგრამ ეს სოლიდური პირობაც კი არაფერია "ნაიკის" პირობასთან შედარებით. ის ზემოთხსენებული 660 მილიონი დოლარის გარდა, რვა წლის განმავლობაში, პრემიების სახით, კიდევ 132 მილიონს ითვალისწინებს.



დანიელე არიგონი

"ლივორნომ" **დანიელე არიგონი** პოსტიდან დაითხოვა, უკვე მეორედ ამ სეზონში, მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში პრეზიდენტმა **ალდო სპინელიმ** მოთამაშეების თხოვნა გაითვალისწინა და მწვრთნელი უკან დაუბრუნა, ახლა გადაწყვეტილება საბოლოოა. "უდინეზესთან" მარცხის (0:4) შემდეგ, არიგონის შანსი აღარ დარჩა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სპინელი ბოლო მომენტამდე იკავებდა თავს. ის ფიქრობდა, რომ სეზონის მიწურულს რადიკალური ცვლილება უკეთესობის მომტანი არ იქნებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, სწორედ ახალი სისხლი შეიძლება იყოს ის ერთადერთი გამოსავალი, რამაც ტოსკანური კლუბი სერია B-ში გავარდნისგან შეიძლება იხსნას. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის სტარტზე "ლივორნოს" ევროამბიციები ჰქონდა, ამ მომენტისთვის მე-13 ადგილზეა და სულ რაღაც 3 ქულა აშორებს ავბედით ზონას. ნოემბრის შემდეგ, გუნდმა ერთადერთი თამაში მოიგო...

"რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილებას ველოდი, - თქვა არიგონიმ ადგილობრივ გაზეთ "ილ ტირენოსთან" კომენტარში, - ძალიან გაწბილებული და იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ პრეზიდენტი სპინელი ცამდე მართალია. ის დარწმუნებულია, რომ კლუბისთვის ეს ერთადერთი სწორი არჩევანია".

არიგონის შემცვლელად თავიდან **გაეტანო სალვემინი** სახელდებოდა. 65 წლის სპეციალისტმა ოფიციალური შეთავაზებაც მიიღო, მაგრამ ბოლო მომენტში სპინელის უარი უთხრა. ამან კი ავტომატურად გაუღო კარი სათადარიგო კანდიდატ **ფერნანდო ორსის**, "ლაციოს" ყოფილ მეკარესა და **რობერტო მანჩინის** ექსთანაშემწეს, იმავე "ლაციოსა" და "ინტერში" მოღვაწეობის (პირველ წელს) პერიოდში. "ლივორნოს" პრესსამსახურმა ორსის დანიშვნა ოფიციალურ ვებ-გვერდზე ბანალური განცხადებით გაახმაურა:

"მიღწეულია შეთანხმება კლუბსა და ფერნანდო ორსის შორის. ის პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება. "ლივორნო" მიესალმება ახალ დამრიგებელს და მადლობას უხდის დანიელე არიგონის, აქამდე გაწეული მუშაობისთვის".

ორსი 46 წლისაა. მის ასისტენტად **ლუჩანო სპინოზი** იმუშავებს. სანაკრებო პაუზის გამო, ახალ მწვრთნელს გუნდის გასაცნობად და მოსამზადებლად მთელი ერთი კვირა აქვს. ორსის დებიუტი 1 აპრილს, "კატანიასთან" საშინაო მატჩში შედგება.

ლივორნო

წავიდა და აღარ დაბრუნდება

არიგონი გაუშვეს, ორსი უკვე დაინიშნა



ხავიერ სავიოლა

მოსალოდნელი გარიგება

სავიოლა: სპარტაკი თუ ვილიარეალი?

მოსკოვის "სპარტაკს" **ხავიერ სავიოლას** გადაბირება სურს. რუსული სააგენტოების მტკიცებით, თავდამსხმელს წლიური გასამრჯელოს სახით 3 მილიონ ევროს შესთავაზებენ. სავიოლა შეთავაზებით დაინტერესდა. მისმა წარმომადგენლებმა მოსკოველებს აუწყეს, რომ პასუხს აპრილის ბოლომდე შეატყობინებენ. "სპარტაკის" ხელგაშლილობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სავიოლას ბარსელონური კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ის თავისუფალი აგენტი ხდება და ფეხბურთელის შესაძენად ერთი ცენტიც კი არ იქნება საჭირო. "სპარტაკი" ხავიერს იანვრის ტრანსფერების დროსაც ეპატიჟებოდა. მან "ბარსას" 10 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ ცივი უარი მიიღო. იმ დროს კატალონიელებს **სამუელ ეტოო** ჰყავდათ დაშავებული და სავიოლა ძალიან სჭირდებოდათ.

არგენტინელ ვარსკვლავს სხვა მსურველებიც ჰყავს. "ვილიარეალის" პრეზიდენტი **ფერნანდო როიგი** მზადაა, სავიოლას წინასწარი კონტრაქტი დღესვე გაუფორმოს. როიგმა ანალოგიური ხელშეკრულებები "ვალენსიისა" და "დეპორტივოს" ვეტერან მცველებს **რობერტო აიალასა** და **ხუან კაპდევილას** გაუფორმა. ხავიერის მსგავსად, ეს ფეხბურთელებიც თავისუფალი აგენტები ხდებიან. აქვე გეტყვით, რომ სენიორ როიგი კიდევ ერთ უფასო მოთამაშეს უმიზნებს. საუბარია "დეპორტივოს" ნახევარმცველ **ალდო დუშერზე**.

კუპე ლიონს ტოვებს?

"ლიონის" მეკარე **გრეგორი კუპე** კლუბიდან წასვლაზე ალაპარაკდა. მას დარჩენა სურს, მაგრამ ლიონელები ხანგრძლივ კონტრაქტს არ სთავაზობენ. კუპე 36 წლისაა. მეკარე ამბობს, რომ კარიერას იქ გააგრძელებს, სადაც გამოცდილ გოლკიპერებს უფრო მეტი პატივისცემით ეპყრობიან: *"ჩემი საკითხი, ჯერჯერობით, ჰაერშია გამოკიდებული. გადაწყვეტილებას პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა მიიღებს. ის უთვალავი პროექტის განხორციელებას აპირებს. "ლიონი" გაისადაც უმაღლესი მიზნებისათვის იბრძოლებს, მაგრამ მე უკვე 36 წლის ვარ, საფრანგეთში კი ამ ასაკის ფეხბურთელებს ეჭვით უყურებენ. "ლიონში" თამაში დიდი სიამოვნებაა, მაგრამ ჩემი დარჩენის საკითხს პრეზიდენტი გადაწყვეტს."*

ნოვილი გლადბახს უერთგულებს

მიონხენგლადბახის "ბორუსიისა" და გერმანიის ნაკრების ვეტერანმა თავდამსხმელმა **ოლივერ ნოვილმა** განაცხადა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ "გლადბახი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება, გუნდს არ დატოვებს. *"90 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ვრჩები. მნიშვნელობა არა აქვს, შევინარჩუნებთ თუ არა ადგილს ელიტაში, რომც გავვარდეთ, მაინც დავრჩები. შესათანხმებელი რჩება მხოლოდ ბოლო დეტალები. ყველაფერი მომავალი ტურის შემდეგ გაირკვევა,"* - განუცხადა 33 წლის ფორვარდმა "კიოლნერ ექსპრესს" და იქვე დასძინა, - *"თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნდესლიგაში დარჩენისა არ მეჯერა. პირიქით, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მიმაჩნია, რომ მომდევნო სეზონშიც საუკეთესოთა შორის ვიქნებით."* შეგახსენებთ, რომ მიონხენგლადბახურ კლუბს 26 მატჩში მხოლოდ 24 ქულა აქვს მოპოვებული და სატურნირო ცხრილში ჯერჯერობით ბოლო ადგილზეა. თუმცა "გლადბახი" სამშვიდობოს და ყველაზე ახლოს მყოფ დორტმუნდის "ბორუსიას" მხოლოდ 5 ქულით ჩამორჩება.

კლოპმა მსაჯს იდიოტი უწოდა

გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისია "მაინცის" მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** საქმეს განიხილავს. ამ უკანასკნელმა გასულ უქმეებზე მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დიდი შანსია, რომ ამის გამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯონ. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, "ვერდერთან" შეხვედრის ერთ-ერთ მომენტში, როცა არბიტრმა ბრემენული კლუბის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება, კლოპმა მას იდიოტი უწოდა. გარდა ამისა, 39 წლის სპეციალისტი მთელი 90 წუთის განმავლობაში ყვიროდა და დახტოდა. თუმცა ამ ყველაფერმა შედეგი მაინც არ გამოიღო - "მაინცი" ბრემენში 0:2 დამარცხდა. კლოპს განაჩენს ორშაბათს გამოუტანენ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბერბატოვი მანჩესტერში?

გარიგების სავარაუდო ღირებულება 25 მილიონია...

"ნიუს ოფ ზე უორლდის" მტკიცებით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" **დიმიტარ ბერბატოვს** დაადგა თვალი. 26 წლის ბულგარელი ინგლისში პირველ სეზონს ატარებს. ის "ტოტენჰემის" საკუთრებაა. გასულ ზაფხულს ბერბატოვმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კვირაში 22 ათას გირვანქას იღებს. დიმიტარი "მამლების" ლიდერად იქცა. ჰოლანდიელმა თავკაცმა **მარტინ იოლმა** ის **იოჰან კრუიფსაც** კი შეადარა და მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება ითხოვა. ფეხბურთელმა ხელფასის გაორმაგება მოსურვა. "ტოტენჰემი" კი ამ პირობის დაკმაყოფილებას არ ჩქარობს.

"იუნაიტედს" კვირაში 40 ათასი გირვანქის გადახდა არ გაუჭირდებოდა. სხვა საკითხია, რომ თავდამსხმელის ხელში ჩასაგდებად 25 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. მამლები მის სანაცვლოდ სწორედ ამდენს ითხოვენ, არადა, გასულ ზაფხულს "ლევერკუზენს" მხოლოდ 11 მილიონი მიუთვალეს. "ინდეპენდენტის" ცნობით, ბერბატოვზე "ლივერპულიც" აცხადებს პრეტენზიას. მერსისაიდელები ლონდონელებს **პიტერ კრაუჩს** სთავაზობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ პოლ სქოულზთან

უფრო მეტის იმედი მაქვს

ნუთუ ასე განსხვავდება მაიკლ ქერიკი როი კინისგან?

პოლ სქოულზთან გასაუბრება ძალიან ძნელია, ამიტომ, მისგან აღებული ინტერვიუ ერთგვარ რარიტეტს წარმოადგენს. ამჯერად, "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი გუნდის საამსეზონო პრიორიტეტებზე მსჯელობს, აქებს მაიკლ ქერიკს, საუბრობს საკუთარ აწმყოსა და მომავალზე... და ამ საუბარში მისი მორიდებული ხასიათი და სიმტკიცე ჩანს. სქოულზს "მანჩესტერ იუნაიტედის" საკლუბო ჟურნალის კორესპონდენტი შეხვდა...

- "იუნაიტედი" ჩემპიონის ტიტულისკენ მიიწევს. ფეხბურთელებმა ან მწვრთნელმა დაითვალეს ამ მიზნისთვის რამდენი ქულაა საჭირო?

- ვერასდროს გამოიცნობ პრემიერ ლიგაში გამარჯვებისთვის რამდენი ქულა დაგჭირდება, ამიტომ ამას არავითარი აზრი არ აქვს. არ ვიცით, როგორ ითამაშებს "ჩელსი" ან სხვა გუნდები. შეიძლება ბანალურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ყველა მატჩს ცალ-ცალკე განვიხილავთ. სხვანაირად არ შეიძლება. ჩვენ კლუბში საქმისადმი ყოველთვის ამგვარი დამოკიდებულება იყო - ყოველ მატჩში გამარჯვების მოპოვებას უნდა ცდილობდე და ამასთან საინტერესო, შემტევი ფეხბურთი უნდა ითამაშო, თანაც რაც შეიძლება მეტი გოლი უნდა გაიტანო. მეც ყოველთვის ასე ვფიქრობდი. ვეჭვობ, რომ რეალურად შეიძლებოდეს ქულათა გარკვეული რაოდენობის მოპოვება. ახლა ამბობენ, რომ 90-ზე მეტი ქულის მოპოვება გვჭირდება. შეიძლება ასეც იყოს, თუმცა ვფიქრობ, სასურველი შედეგის მისაღწევად მთავარია წინსვლა ნელ-ნელა, ყოველი კონკრეტული მეტოქის დამარცხებით.

- მწვრთნელი ხშირად მიმართავს შემადგენლობის როტაციას. რა შედეგი ექნება მას სეზონის ბოლოს?

- ეს მართლაც მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ ყოველი მოთამაშე ინარჩუნებდეს ფორმას, შესვენების შემდეგ განსხვავება ყოველთვის საგრძნობია. რა თქმა უნდა, ყოველ მატჩში თამაში გსურს, მაგრამ შესვენება, შემადგენლობაში დაბრუნებისას დონის ამაღლებაში გეხმარება. მოთამაშეებს, რომლებიც იშვიათად გამოდიან მოედანზე, სათამაშო პრაქტიკა სჭირდებათ ტრავმისა და დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, თუმცა მწყობრში ჩადგომის შემდეგ მზად უნდა იყვნენ, გუნდს პასუხსაგებ მატჩებში დაეხმარონ. ძალზე მნიშვნელოვანია შემადგენლობაში გყავდეს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ყოველთვის მზადაა თამაშისთვის. ვფიქრობ, ჩვენთან ასეთები არიან.

- თქვენთვის ჩემპიონატი პრიორიტეტია?

- ახლა, ეს მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირია.რამდენიმე არც ისე წარმატებული სეზონის შემდეგ, პრემიერლიგაში, ჩვენ, როგორც არასდროს, ისე გვწყურია ამ გამარჯვების მოპოვება. ჩემპიონატი - უმთავრესი მიზანია და ცხოვრებისეული აუცილებლობაც. ოთხი წლის მანძილზე ლიგა არ მოგვიგია. ეს ძალიან ბევრია და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ტიტული უნდა დავიბრუნოთ. დანარჩენი შეჯიბრებები ბონუსის სახით მოგვევლინება თუ იქ წარმატებით გამოვალთ. სამივე ტურნირის მოგება ძალიან კარგი იქნება, თუმცა მე ჩემპიონატს ავირჩევდი. ვიმედოვნებ, ბევრი ჩვენი ფეხბურთელი ასე ფიქრობს.

- ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ წლევანდელ სეზონში ლიგის მოგება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია?

- ასე არ ფიქრობ. ეს ფანტასტიკური მიღწევაა - მიუხედავად იმისა, როდის მოხდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად გამარჯვების მოპოვება გაძნელდა. "არსენალი" და "ჩელსი" ბოლო სამ სეზონს უმაღლეს დონეზე ატარებენ, ამიტომ ჩვენ უფრო დიდი ძალისხმევა გვმართებს. თუმცა ლიგის მოგება ყოველთვის სასიამოვნოა, რადგან მთელი სეზონის განმავლობაში გაწეული შრომის კვინტესენციაა.

- რით განსხვავდება ამჟამინდელი "მანჩესტერ იუნაიტედი" იმ გუნდებისგან, სადაც გითამაშიათ?

- ჩემპიონატში ჩვენი მაჩვენებლები ყველაფრისმთქმელია. თუ გადახედავთ მოპოვებული ქულების რაოდენობასა და ბურთების სხვაობას, მიხვდებით, რომ ეს შესანიშნავი შემტევი გუნდია, რომელსაც საკუთარი პოზიციების დაცვაც ძალუძს. ჩვენი კარის მისადგომებს საიმედოდ ვკეტავდით და ბევრი გოლიც გაგვქონდა. ვფიქრობ, მართლაც კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავს. სწორედ ესაა წარმატებისთვის საჭირო, ამიტომ ის "იუნაიტედის" იმ საუკეთესო შემადგენლობებს წაგავს, სადაც ოდესმე მითამაშია. ახლა სხვა გუნდი გვყავს, მაგრამ სტილი იგივე დარჩა - შეტევისთვის გამიზნული და ყურადღებიანი დაცვაში. ყველაზე წარმატებულ ვარიანტში აქცენტი ყოველთვის გოლის გატანაზე გვქონდა და თუ შევხედავთ ისეთ ფეხბურთელებს, როგორიცაა კრიშტიანუ რონალდუ, უეინ რუნი, ლუი საა, რაიან გიგზი, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, იგივე. მცველებსაც კი ბევრი გოლი გააქვთ ჩვენთან.

- "ჩელსისთან" თამაში, ალბათ, გადაიდება. ძალების მოკრება სეზონის ბოლოსთვის დაგჭირდებათ, თუ ჩემპიონობის იმედი მანამდე გაქვთ?

- (ღიმის) თქვენ ფიქრობთ ასე, არა? ჩვენ გაგაზრებული გვაქვს, რომ გამარჯვებისთვის დიდი გზაა გასავლელი და ბევრი სამუშაო. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, როდის ვეთამაშებით "ჩელსის". რომელ პოზიციაზეც არ უნდა ვიმყოფებოდეთ, ლონდონში ვეცდებით, კარგად ვითამაშოთ. "სტემფორდ ბრიჯზე" იოლად არაფერს დავთმობთ. ამ მატჩში გამარჯვება დაადასტურებს იმას, რომ დაკავებულ ადგილს ვიმსახურებთ. ფრეზე არ ვითამაშებთ, რადგან ამას არასდროს ვაკეთებთ, ყოველთვის გამარჯვება გვსურს. ბოლო წლების მანძილზე "სტემფორდ ბრიჯზე" ისინი გვამარცხებდნენ, ამიტომ წელს გამარჯვება ჩვენთვის დიდად ფასობს.

- რას ფიქრობთ ამ სეზონში მაიკლ ქერიკის თამაშზე?

- ფანტასტიკურად თამაშობს. საუცხოო შენაძენია და მიმაჩნია, რომ მართლაც დაგვეხმარა იმ ადგილზე დამკვიდრებაში, სადაც ამჟამად ვართ. შესანიშნავი გადაცემები აქვს, ეს ნათლად ჩანს. ამასთან, ის გუნდისთვის ბევრს შრომობს.

- მასთან ერთად თამაში მოგწონთ?

- დიახ, რა თქმა უნდა. ის საოცრად მშვიდი და ცივსისხლიანია ბურთთან შეხებისას. მასთან ერთად თამაში ძნელი არაა და ერთმანეთის კარგად გვესმის. იმედია, მომავალში ეს პროცესი გაგრძელდება.

- რით განსხვავდება ის შუა ხაზში მოთამაშე ყოფილი პარტნიორებისგან? ის ხომ სულ სხვა მოთამაშეა, როი კინს თუ შევადარებთ...

- ნუთუ, ასე ძალიან განსხვავდება ის როისგან? ისინი მოედანზე ერთნაირ ფუნქციებს ასრულებენ. ძალიან ძნელია სხვა მოთამაშეებთან მისი შედარება. არ მიფიქრია ამაზე. დარწმუნებული ვარ, რომ მაიკლთან ერთად თამაში არ გამიჭირდება და კომფორტულად ვგრძნობ თავს მასთან გუნდში. მას დიდი ფეხბურთელის თვისებები გააჩნია და სწორედ ეს სჭირდება ჩვენ გუნდს.

- მისი მოსვლით მოედანზე თქვენი როლი შეიცვალა?

- არა, ასე არ ვფიქრობ. ჩვენი დავალებები ერთმანეთს ემთხვევა და ასე იყო ნახევარდაცვაში ყველა ჩემი სხვა პარტნიორის შემთხვევაშიც. ჩვენ დასარტყმელ პოზიციაზე უნდა გავიყვანოთ ყველაზე სახიფათო მოთამაშეები. თუ ჩვენ ამას ვაკეთებთ, გუნდს გამარჯვების მოპოვების შანსი უჩნდება, რადგან უმაღლესი დონის თავდამხსმელები გვყავს. ვფიქრობ, კერიკი ხელ-ფეხს მიხსნის შეტევაში უფრო აქტიურად გადასვლისთვის. ის ხშირად არ მიინევს წინ, მაგრამ ეს შეუძლია და გოლის გატანაც ძალუძს. თუმცა ის უფრო მოედნის შუაგულში მოქმედი ნახევარმცველია, მე კი ხშირად გადავალ წინ.

- ამ სეზონში თქვენი ფიზიკური ფორმით კმაყოფილი ხართ?

- (მხრებს იჩეჩავს) მგონი, უკეთესად თამაში შემიძლია. უფრო ხშირად გოლის გატანა და გუნდისთვის თამაში მსურს. იმედია, სეზონის ბოლო თვეებში უფრო გამოსადეგი ვიქნები.

- პირად მიღწევებზე "ჩაციკლული" ხომ არასდროს ყოფილხართ?

- უბრალოდ ვფიქრობ, რომ ადრე უკეთესად ვთამაშობდი. მიმაჩნია, რომ შემიძლია იმ დონეს დავუბრუნდე და მჯერა, რომ უკეთესად ვითამაშებ, ვიდრე წლევანდელ სეზონში.

- ასაკის გამო, თქვენი სანვრთნელი რეჟიმი შეიცვალა?

- ფეხბურთი ერთ ადგილას არ დგას, მაგრამ არ მგონია, რომ წვრთნისას ბევრი რამ შეიცვალა. კვების რეჟიმი თითქმს იგივე დარჩა. ვალტერ დი სალვოსთან ("იუნაიტედის" ფიზმომზადების მწვრთნელი) მეცადინეობის პროგრამა ცოტათი შეიცვალა. უფრო მეტ დროს ვატარებთ სატრენაჟორო დარბაზში. დღემდე მიყვარს ბურთთან მუშაობა და ფეხბურთის თამაში. წვრთნასთან დამოკიდებულება არ შეცვლილა. ბოლომდე უნდა დაიხარჯო, რომ თამაშში შემდეგ უპრატესობა მიიღო. იმედი მაქვს, ასე იქნება ახლაც.

- ვარჯიში კვლავაც გსიამოვნებთ?

- დიახ, ვაღმერთებ სუფთა ჰაერზე ყოველდღიურ ვარჯიშს. არც ისე მიყვარს დარბაზში ვარჯიში. მაგრამ ეს აუცილებელია და უნდა შეეგუო.

- რამდენს მუშაობთ ისეთ ელემენტებზე, როგორიცაა დარტყმა და პასი?

- ყველა კომპონენტზე მუშაობას ვცდილობ, განსაკუთრებით დარტყმაზე. არ ვცდილობ დარტყმის სხვადასხვა მეთოდის შესწავლას, უბრალოდ, ძველებს ვხვეწ. თუ ამას არ აკეთებ, ვარჯიშს შედეგი არ ექნება.

- "ასტონ ვილასთან" თქვენ მიერ შესრულებული შეუჩერებელი დარტყმა თვის გოლად აღიარეს და ის ძალიან ჰგავდა "ბრედფორდის" კარში გატანილს. ვარჯიშზე მსგავს რამეს ამუშავებთ?

- ამაზე ბევრს არ ვმუშაობთ. უბრალოდ ვიცი, რომ კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ, ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან ხშირად ჩნდება. მომწონს იქვე დგომა, რადგან ყოველთვის იმედი მაქვს, რომ ბურთი სწორედ იქ მოვა, სადაც დგახარ და მას კარისკენ გაგზავნი. უეინიც ასე ფიქრობს, მას მოსწონს დარტყმის შესრულება, ამიტომ ისიც იმავე ზონაში იმყოფება. ორივეს იმედი გვაქვს, რომ ბურთი სწორედ ჩვენ მოგვივა თუ მანამდე კარში არ აღმოჩნდა - რიო ფერდინანდი და ვიდიჩი სტანდარტულ სიტუაციებში უძლიერესები არიან.

- საჯარიმოებს რატომ არ ასრულებთ, როცა ასეთი უძლიერესი დარტყმა გაქვთ?

- სტანდარტულ სიტუაციებში მოვისუსტებ. შეიძლება ითქვას, რომ ეს საერთოდ არ ვიცი. მირჩევნია გაგორებულ ბურთს დავარტყა ან შეუჩერებლივ გავგზავნო კარისკენ. საჯარიმოების უფრო კარგი შემსრულებლები გვყავს, ისეთები, როგორიცაა რონალდუ და რაიანი. არ მგონია, რომ სტატიკური ბურთის დარტყმის ბევრი ოსტატი არსებობდეს. ასე რომ, მათ ოსტატობის გამოვლენის შანსს მივცემ.

- ასაკის გამო, ფეხბურთელებს თამაშის კორექტირება უხდებათ. თქვენი თამაშის სტილი შეიცვალა?

- სპეციალურად არაფერს ვცვლი. შესაძლოა, ახლა წინ იშვიათად მივდივარ. როცა წინ აღმოჩნდები, უკან დაბრუნება დიდხანს გიწევს! ასე რომ, ხშირად ვრჩები საკუთარ პოზიციაზე (იცინის). შესაძლოა, ახლა უფრო მეტად ვფიქრობ შეტევაზე გადასვლის წინ, მაგრამ ვცდილობ, სათანადო დონეზე შევინარჩუნო საკუთარი თამაშის ყველა ელემენტი, კვლავაც ვასრულებ პასებს, ვცდილობ კომბინაციის ორგანიზებასა და გოლის გატანას. ამას ისედაც ყოველთვის ვაკეთებდი.

- თქვენ რომ შეგეცვალათ თამაშის ერთი კომპონენტი, რა იქნებოდა ეს?

- დაცვა. საშინლად ვთამაშობ დაცვაში. ბურთის ართმევის პროცესი შორსაა იდეალურისგან (იცინის).

- ხალხი ხშირად საუბრობს ამაზე...

- ჩემს მიერ წესის დარღვევებზე? ის ადამიანი არ ვარ, ვინც დიდ ყურადღებას აქცევს საუბრებს. რომ დაუფიქრდე, არც ისე ბევრ ბარათს ვიღებ ცენტრალური ნახევარმცველის რანგში. ზოგჯერ ვუხეშობ, მაგრამ ამას სპეციალურად არ ვაკეთებ.

- ეს ყველა მსაჯს ესმის?

- უმეტეს შემთხვევაში, მსაჯები კარგად მეპყრობიან. არის თამაშები, როცა პირველ ხუთ წუთში უხეშობ და გაფრხილებენ. ამის შემდეგ იძულებული ხარ, დამშვიდდე. საერთო ჯამში არბიტრებთან პრობლემები არ მაქვს.

- გასულ წელს თვალი დაიზიანეთ და მიხვდით, რას ნიშნავს უფეხბურთოდ ცხოვრება. ოდესმე გიფიქრიათ, კარიერის დასრულების შემდეგ რას გააკეთებდით?

- როცა დრო მოვა, მერე ვიფიქრებ რას გავაკეთებ კარიერის დასრულების შემდეგ. ჯერ ვთამაშობ და საფიქრალიც ბევრია. მართლაც ვტკბები ფეხბურთით და მსურს, კონცენტრირებული ვიყო ამაზე.

- უფეხბურთობის პერიოდში რამდენიმე მატჩზე შეგამჩნიეს - მომავალი სელექციონერობასთანაა დაკავშირებული?

- მწვრთნელს უბრალოდ სურდა, რომ ფეხბურთთან კონტაქტი არ გამეწყვიტა, რადგან სამიოთხი თვე არაფერს ვაკეთებდი. ვერ ვთამაშობდი, ვერ ვვარჯიშობდი და ეს საშინელება იყო. უბრალოდ, დასვენებას მირჩევდნენ. ამიტომაც მირჩია მან რამდენიმე მატჩზე დასწრება. სელექციური სამსახურის დირექტორს შევხვდი და რამდენიმე მატჩზე დასწრებაზე შევუთანხმდი. ძალიან მომეწონა.

- როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს ითამაშებთ კიდევ?

- იმედია, კიდევ დიდხანს. ჩემი მიზანია, იმდენ ხანს ვითამაშო, რამდენიც შესაძლებელია. სანამ თავს ნორმალურად ვგრძნობ და თამაშისგან სიამოვნებას ვღებულობ, ასე გავაგრძელებ.

დავით ჩუბინიძე

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი

შავ-თეთრი თანაფარდობა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გია გიორგაძემ ცხრილში პირველი ერთიანი ჩაიწერა

მეშვიდე ტური: მერაბ გაგუნაშვილი (2611)-ლევან ფანცულაია (2611) 0:1; დავით არუთინიანი (2552)-შოთა აზალაძე (2332) 1:0; ბაადურ ჯობავა (2650)-ლევან არუშიძე (2531) 0.5:0.5; პარმენ გელაზონია (2268)-მიხეილ მჭედლიშვილი (2583) 0:1; გია გიორგაძე (2610)-გიგა ყაჭეიშვილი (2587) 1:0; თამაზ გელაშვილი (2612)-გაიოზ ნიგალიძე (2224) 0.5:0.5

ბაადურ ჯობავა	- 5.5
მიხეილ მჭედლიშვილი	- 4.5
ლევან ფანცულაია	- 4.5
გია გიორგაძე	- 4.0
დავით არუთინიანი	- 4.0
გაიოზ ნიგალიძე	- 4.0
ლევან არუშიძე	- 4.0
მერაბ გაგუნაშვილი	- 4.0
თამაზ გელაშვილი	- 3.0
გიორგი მაჭეიშვილი	- 3.0
შოთა აზალაძე	- 1.5
პარმენ გელაზონია	- 0.0

მერვე ტურში: ფანცულაია- გიორგაძე; აზალაძე- გაგუნაშვილი; არუშიძე- არუთინიანი; გელაზონია- ჯობავა; ყაჭეიშვილი- გელაშვილი; მჭედლიშვილი- ნიგალიძე.

ვირველად მოხდა, რომ ტურნირში თეთრებით და შავებით მოთამაშეებმა თანაბარი რაოდენობის გამარჯვება მოიპოვეს - ორ-ორი, ცხადია, ორი პატიაც ყაიმი დასრულდა.

ლიდერი **ბაადურ ჯობავა** თეთრებით მოგებას ბევრს ეცადა, მაგრამ **ლევან არუშიძის** მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა და ვერ მოიგო, თუმცა, ინიციატივის სანაცვლოდ შუა თამაშში პაიკი შესწირა. ჯობავა რომ უპირველესი ლიდერია, ფაქტია, მაგრამ უცნაური ის გახლავთ, რომ ოთხჯერ ითამაშა შავებით და ოთხივეში გაიმარჯვა, სამი "თეთრი პარტიიდან" კი მხოლოდ ერთხელ ნახა სრული სარგებელი, დანარჩენებში ყაიმებს დასჯერდა.

დღეს, მერვე ტურში ბაადურს შავებით უწევს თამაში და მეტოქედ მეორე უცნაურობის ავტორი - **პარმენ გელაზონია** ჰყავს. პარმენს ექვსივე პარტია ჰქონდა ნაგებული და მეშვიდეში თეთრებით თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქედ **მიხეილ მჭედლიშვილი** ჰყავდა, წარმატებაზე ფიქრი შესაძლებელი იყო. სამწუხაროდ, არც ამჯერად გაუმართლა გელაზონიას და გრაფაში მეშვიდე ნული ჩაწერა. დიდია ალბათობა, რომ მერვე "ბლითიც" მიიღოს - ჯობავასთან გამკლავება, თანაც მაშინ, როცა საშინელ ფორმაში ხარ, თითქმის ნულს უტოლდება. თანაც, ბაადურს მდევრები არ ასვენებენ - ერთქულიანი ჩამორჩენით უკვე ორი უდგას კვალში, - ერთი ფეხის დაცდენაც და ყველაფერი თავიდან იქნება დასაწყები... დრო კი ნელ-ნელა ილევა - ფინიშამდე ოთხი ტური დარჩა.

ჩემპიონატმა ორი აუტსაიდერი გამოკვეთა: გელაზონიაზე მოგახსენეთ, მეორე კი **შოთა აზალაძეა**. შოთას ანგარიში პარმენისას გვარიანად სჯობს, მაგრამ უახლოეს წინ მყოფსაც საკმაოდ ჩამორჩება, რაც ამ უსიამოვნო მდგომარეობაში ყოფნას მინიმუმ ორი ტურით განსაზღვრავს...

აზალაძემ შავებით **დავით არუთინიანთან** წააგო. დებიუტშივე მოიპოვა დავითმა უპირატესობა. შოთამ ვითარების სათავისოდ შეცვლა მოისურვა და ამ მიზნით ხარისხი შესწირა, მაგრამ სასურველი კომპენსაცია ვერ მიიღო და საათის გაჩერება მოუწია.

ძალიან საინტერესო იყო **მერაბ გაგუნაშვილისა** და **ლევან ფანცულაიას** შეხვედრა. თეთრებით მოთამაშე გაგუნაშვილმა წინადღით ყაჭეიშვილს სძლია და კარგ განწყობაზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფანცულაიამ უკეთ გაართვა თავი პრობლემებს, ჯერ პოზიცია გაათანაბრა, შემდეგ ინიციატივას დაეუფლა და მალე გამარჯვებაც შეძლო. ქულის შემატებით ფანცულაია საჩემპიონო მარულაში ჩაება - 4.5 ქულა დაუგროვდა, ისევე, როგორც მიხეილ მჭედლიშვილს. 4 ქულა ხუთ მოჭადრაკეს აქვს - გაგუნაშვილს, გიორგაძეს, არუთინიანს, არუშიძეს და **გაიოზ ნიგალიძეს**. ამ უკანასკნელზე კვლავაც გვსურს საუბარი. ისევ ღირსეულად ითამაშა - შავებით **თამაზ გელაშვილს** არ დაეჩაგვრინა და ყაიმს გამორჩა. მართალია, დებიუტი ცუდად გაითამაშა, მაგრამ გელაშვილმა უპირატესობა ვერ გამოიყენა, მცირე შანსი მისცა გაიოზს და მანაც გამოიყენა. ნიგალიძე რომ თვალსა და ხელს შუა იზრდება, აშკარაა.

ექვსი ყაიმის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა **გია გიორგაძემ** - თეთრებით ერთ-ერთი ფავორიტი **გიგა ყაჭეიშვილი** დაამარცხა. ამ პარტიაში შავებს შანსი არ მისცემიათ - გიორგაძემ დებიუტიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ბოლომდე განავითარა. გიორგაძის გამოცდილების რომ ვიცით, მისი საჩემპიონო ამბიციებიც შეიძლება გამოვკვეთოთ. რაზეც ვეღარ ვიტყვით ყაჭეიშვილსა და გელაშვილზე - ორივეს მხოლოდ სამი ქულა აქვს.

ბოლოს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელის, ხვიჩა სუპატაშვილის კომენტარს შემოგთავაზებთ.

- აშკარაა, რომ ტურნირს გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს ბაადურ ჯობავას სახით. ის ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია, სხვები ალბათ მეორე-მესამე ადგილებისთვისღა თუ იბრძოლებენ.

- ბაადურის დაწევის შანსს გამორიცხავთ?

- გამორიცხული არაფერია, მაგრამ როგორ თამაშსაც ჯობავა აჩთენებს, რა პროფესიონალიზმითაც უდგება ყოველ პარტიას, აქედან გამომდინარე - მისი დაწევისა და გადასწრების შანსი ნაკლებია.

- თქვენ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ და, ცხადია, ჩემპიონატს პრაგმატულად უყურებთ. თქვენს არეალში მოხვედრილთა თამაშის ხარისხი თუ გაკმაყოფილებთ?

- წლევანდელი ჩემპიონატი სიძლიერით აშკარად გამოირჩევა წინა წლებისგან. ყოველ პარტიაში უშეღავათო ბრძოლებია, - ფავორიტებსაც კი არ აქვთ არაფრის გარანტია. ცხადია, იყო ცალკეული ლაფსუსები, მაგრამ პარტიათა ხარისხი და, შესაბამისად, ჩემპიონატისაც, ძალიან კარგია. ნაკრების წევრები, რომლებიც ჯერ მაინც კანდიდატებად ითვლებიან, კარგად თამაშობენ, თუმცა ახალგაზრდებიც ავიწროებენ და აქ არ შემიძლია არ დავასახელო გაიოზ ნიგალიძე. ამ ბიჭმა პირდაპირ გაგვაოცა - ძალიან საინტერესოდ თამაშობს; პარტიის დროს კონკრეტულ გეგმებს სახავს და სწორ გზებს პოულობს. ერთადერთი, რაც მისი გამოკვეთილი ხარვეზია, შედარებით სუსტი სადებიუტო მომზადებაა. აშკარად ჩანს, რომ მას მაღალი დონის მწვრთნელთან, რომელსაც დებიუტებში მოამზადებდა, ნამუშევარი არ აქვს. იმედია, ნიგალიძის ნიჭიერება უყურადღებოდ არ დარჩება და მის სპორტულ ზრდას ხელს შეუწყობს ის, ვისაც ეს ეხება.

ზვიად შათირიშვილი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადება

2008 წლის აგვისტოში ჩინეთის დედაქალაქი პეკინი უმასპინძლებს ზაფხულის XXIX ოლიმპიურ თამაშებს.

თამაშების მსვლელობის პერიოდში პეკინში, 6-დან 26 აგვისტომდე იფუნქციონირებს ახალგაზრდული ოლიმპიური ბანაკი.

თითოეულ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს უფლება აქვს, ბანაკში მონაწილეობის მისაღებად წარგზავნოს თითო-თითო 16-დან 18 წლამდე ასაკის გოგონა და ვაჟი, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ აუცილებელ მოთხოვნილებებს:

- ინგლისური ან ფრანგული ენების სრულყოფილად ცოდნა;

- ერკვეოდნენ ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, პრობლემატიკაში, ოლიმპიზმის კავშირებზე განათლებასთან, მეცნიერებასთან, გარემოს დაცვასთან და ა.შ.

კანდიდატთა შერჩევა მოხდება სპეციალური კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ სეოკ-ის ოფისში არა უგვიანეს 2007 წლის 1 მაისამდე
მისამართი: დავით აღმაშენებლის №65, ტელ: 94 30 91.

სუმო



კოკაი ტოჩიოძანისთან დამარცხდა

ფეხი დაუცდა

ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ **კოკაი** დამარცხდა და ბაშოზე დაწინაურების შანსი დაკარგა. არადა, მისი მეტოქე იყო 20 წლის დებიუტანტი **ტოჩიოძანი**, რომელსაც ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა ელიტაში. სამწუხაროდ, კოკაიმ დროულად ვერ შენიშნა, რომ მეტოქე უკან გახტა - თავი ვერ შეიკავა, ფეხი დაუცდა და მოწინააღმდეგის "დახმარებით" დოჰიოზე დაეცა. რომ მოეგო, კოკაი დიდ ჩემპიონ **ასაშორიუსთან** ერთად დაწინაურებული ჰაკუჰოს მდევარი იქნებოდა. ბაშოს დასრულებამდე მხოლოდ ოთხი დღე დარჩა, ახლა ქართველ ფალავანს უკვე მხოლოდ სერიოზული მეტოქეები ელის, ქართველს საუკეთესო შემთხვევაში 12 მოგების დაგროვება შეუძლია. დღეს კოკაის გამოცდის ბულგარელი ოძეკი **კოტოოშუ**, რომელსაც ერთი მოგება აშორებს დადებითი ბალანსის დაბევებას. მასთან ურთიერთშეხვედრებში კოკაი 3:6 აგებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
11-25 მარტი, ოსაკა (იაპონია)

XI დღე: კოკაი - ტოჩიოძანი 0:1 (პიკოტოში, 0,7 წამი), ასაშორიუ - ტოჩიაძუმა 1:0, კაიო - ჩიოტაიკაი 1:0, ჰაკუჰო - ჰომაშო 1:0, კოტოოშუ - კისენოსატო 1:0, კოტომიცუკი - ტოიონოშიმა 1:0, კოტოშოგიკუ - ასასეკირიუ 1:0, ამა - ტოკიტენკუ 1:0, ტამაკასუგა - კიოკუტენჰო 1:0, როჰო - კასუგაო 1:0, დეჯიმა - ფუტენო 1:0, ტამანოშიმა - ტაკეკაძე 1:0, ტოკიცუუმი - ტაკამისაკარი 1:0, კაკურიუ - კაკიძოე 1:0, ამინიშიკი - შიმოტორი 1:0, ვაკანოსატო - ივაკიამა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 10-1: ჰაკუჰო (ოძეკი); 9-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 14); 8-3: ტოჩიაძუმა (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკიგაკე), ჰომაშო (მ 5), კოკაი (მ 7), ტოიონოშიმა (მ 8), ვაკანოსატო (მ 16).

XII დღე: კოკაი - კოტოოშუ, ასაშორიუ - კაიო, ჰაკუჰო - კოტომიცუკი, ტოჩიაძუმა - ჩიოტაიკაი, კოტოშოგიკუ - კისენოსატო, ტოკიტენკუ - ტაკეკაძე, ამა - ტოიონოშიმა, ასასეკირიუ - კასუგაო, დეჯიმა - კიოკუტენჰო, კასუგანიშიკი - ფუტენო, ივაკიამა - ტამაკასუგა, ტოჩიოძანი - ჰომაშო, ტოკიცუუმი - კაკიძოე, კაკურიუ - ტაკამისაკარი, როჰო - ტოჩინონადა, ტამანოშიმა - ვაკანოსატო.

ციგურაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

ელენე ოცდამეთორმეტეა

გუშინ, იაპონიაში ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა წილისყრა გაიმართა, რომლის თანახმადაც, 23 მარტს, მოკლე პროგრამით, **ელენე გედევანიშვილი** 32-ე ნომრად გამოვა, სულ კი ჩემპიონატში 45 მონაწილე ქალია. ელენე მეექვსე ჯგუფში გამოვა, სულ კი რვა ჯგუფია. ძლიერთაგან პირველი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი, ფინელი **კიირა კორპი** ისრიალებს, რომელიც ყინულზე 23-ე შედგება. გთავაზობთ ბოლო სამი ჯგუფში გამომსვლელთა თანამიმდევრობას:

მეექვსე ჯგუფი: **თუგბა ქარადემირი** (თურქეთი), **კაროლინა კოსტნერი** (იტალია), **იდორა ჰეგელი** (ხორვატია), **ელენა გლებოვა** (ესტონეთი), **ელენე გედევანიშვილი** (საქართველო), **არინა მარტინოვა** (რუსეთი). მეშვიდე ჯგუფი: **ჟოან როშე** (კანადა), **კიმი მაისნერი** (აშშ), **კიმ იუ-ნა** (კორეა), **იულია შებეშტენი** (უნგრეთი), **იუკარი ნაკანო** (იაპონია), **სუსანა პოიკიო** (ფინეთი). მერვე ჯგუფი: **სარა მაიერი** (შვეიცარია), **მიკი ანდო** (იაპონია), **მაო ასადა** (იაპონია), **ემილი ჰიუზი** (აშშ), **ალისა შისნი** (აშშ), **ელენა სოკოლოვა** (რუსეთი). თავისუფალი პროგრამა შაბათს გაიმართება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭიდაობა

მეორე ქამარი მაკარაძეს ან აბაჯიანს

საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაცია დღეს მორიგ სარეიტინგო ორთაბრძოლებს გამართავს. როგორც იცით, წინა კვირას, გათამაშდა საქართველოს პირველი ქამარი, დღეს კი მეორე ქამარს გამოუწნდება პატრონი. ამჯერად, 62 კილოგრამში, სადაც იჩხუბებენ **დავით მაკარაძე** და **გარი აბაჯიანი**. ეს იქნება დღის დამგავირგვინებელი შეხვედრა, იქამდე კი ოთხი სარეიტინგო ბრძოლა შედგება.

წინა კვირისაგან განსხვავებით, აღარ იქნება ქალების ჩხუბი. სამაგიეროდ, მანდილოსნები რინგს დაუბრუნდებიან შემდეგ ხუთშაბათს. იმავე დღეს, კიდევ ერთხელ გვესტუმრებიან აზერბაიჯანელები და ერთ ქალ მოკრივესაც ჩამოიყვანენ 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში. იმის გამო, რომ ვერის ბაღის კალათბურთის სასახლე დაკავებულია, დღევანდელი შეხვედრები შედგება იქვე მდებარე პროფესიული კრივის ფედერაციის დარბაზში.

კობა ხატისაშვილი

62 კგ. 4 რაუნდი

დავით ინასარიძე (რუსთავი) – ივანე ტლაშაძე (გორი)

66 კგ. 4 რაუნდი

ბორის მდინარაძე (თბილისი) – სერგო სონიშვილი (რუსთავი)

72 კგ. 6 რაუნდი

გიორგი ხულელიძე (გურჯაანი) – გიორგი ზალიკალიანი (თბილისი)

72 კგ. 4 რაუნდი

მიხეილ ხუციშვილი (ვარიანი) – დავით ფალავანიანი (ბორჯომი)

62 კგ. 10 რაუნდი

(საქართველოს ქამარზე)

დავით მაკარაძე (ფოთი) – გარი აბაჯიანი (თბილისი)

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჰაღათბურთი

საქართველოს ნაკრები

ზუსტი განრიგი მალე დადგინდება



მერაბ რატიშვილი

საქართველოს ნაკრებს ბულგარეთიდან ოთხთა ტურნირის მინვევა რომ მოუვიდა, უკვე გაცნობეთ. კალათბურთის ფედერაცია წინადადების მიღებაარმიღებაზე ბევრს ფიქრობდა. საბოლოოდ რა გადაწყდა, ამის შესატყობად ფედერაციის გენერალურ მდივან მერაბ რატიშვილს დავუკავშირდით.

- ბულგარელები შეჯიბრებას 27-29 ივლისს გეგმავდნენ. ჩვენი ნაკრების მწვრთნელთან შეთანხმებით ტურნირში მონაწილეობაზე თანხმობა გავუგზავნეთ, მაგრამ ახლახან მოგვივიდა შეტყობინება, რომ შეჯიბრებამ ოთხი დღით ადრე გადაიწია - 23-25 ივლისს. 100 პროცენტით ჯერ არ გადაგვწყვეტია, მაგრამ ალბათ ახალ ვადებში თამაშზეც ყაბულს ვიქნებით. - განმარტა რატიშვილმა.

ქართველებთან ერთად სოფიაში დაგეგმილ ტურნირში ბულგარეთის, მაკედონიისა და ისრაელის ნაკრებები ითამაშებენ.

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გაგვიმხილა, რომ აქამდე არაერთი ქვეყნიდან მოვიდა მოწვევა, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელი ვადების გამო უარის თქმა მოგვიწია. მაგალითად, იტალიელები ივნისში გვპატიჟობდნენ - ევროპის ჩემპიონატის მონაწილე გუნდებთან მოგიწევთ დაპირისპირებაო. მაგრამ ზაფხულის პირველ თვეში ჩვენი ნაკრების შეკრება ვერ მოხერხდება, რადგან რთული სეზონის შემდეგ ყველა ლეგიონერი სწორედ ივნისში ისვენებს.

გვეპატიჟებოდნენ გერმანელები და პოლონელებიც. ეს უკანასკნელნი ოთხგუნდიან შეჯიბრებას 17-19 აგვისტოს გეგმავენ. ქართული მხარე ამ წინადადებისგან თავის იკავებს, რადგან შესარჩევი მატჩები 21 აგვისტოს იწყება და ძალების აღდგენა გაძნელდება.

მერაბ რატიშვილის თქმით, მიდის მუშაობა კიდევ ორ ვარიანტზე, რომელთაგან ერთ-ერთი აგვისტოს დასაწყისში საქართველოს ნაკრების მზადების ციკლში ჩაჯდება. ყოველივე ამის პარალელურად ქართული მხარე თითო მატჩის მსურველ მეტოქეებსაც ეძებს.

ასე და ამგვარად, საზაფხულო გეგმების კონტურები უკვე გამოიკვეთა. ყველა ტურნირის განრიგს ბეჭედი მარტის ბოლოს დაესმება.

ვაჟა სიმონიშვილი

ინტერვიუ გელა წულაძესთან

მოვემზადოთ ფიზიკაში!

საქართველოს 1992-წლიანთა ნაკრებმა თურქეთის 4-მატჩიანი ტურნე ამ უქმეებზე დაასრულა. ჩვენების შეხვედრებზე მცირე ინფორმაციას ოპერატიულად განვდიდით; დღეს კი საქართველოში დაბრუნებული ნაკრების მწვრთნელის, გელა წულაძის ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

- 1992-წლიანთა ნაკრებისთვის თურქული ტურნე პირველი გასვლითი შეჯიბრება იყო, თავიდან შებოჭილებიც იქნებოდნენ...

- ასე იყო, მაგრამ ნელ-ნელა გაიხსნენ. მთავარი კი ის არის, რომ საკუთარი თვალით დაინახეს რამხელა სხვაობაა ჩვენსა და ევროპულ გუნდებს შორის, როგორც დაცვის, ასევე ფიზმომზადების თვალსაზრისით. თურქეთიდან დაბრუნების შემდეგ ყველასთან ინდივიდუალური საუბარი გვქონდა და ავუხსენით, ვინ რაზე უნდა იმუშაოს კლუბში დაბრუნების შემდეგ.

- გამოდის, რომ 14 წლის ბიჭებს თურქეთში უკვე სერიოზულად ტვირთავენ...

- თურქეთში, ისევე, როგორც ევროპის წამყვან საკალათბურთო ქვეყნებში ფიზიკური ძალის მომატებაზე სერიოზული მუშაობა 13-14 წლიდან იწყება. ოღონდ ეს სერიოზულ დაკვირვებას მოითხოვს, რადგან არ შეიძლება ყველა კალათბურთელი ერთნაირად დატვირთო. თურქეთში ოთხ გუნდს შევხვდით. ოთხივეში თითქმის ერთი სისტემით მიდის მუშაობა - მოთამაშეები ინდივიდუალურად ჰყავთ შესწავლილი და ფიზმომზადების მწვრთნელი ყველას სხვადასხვა სიმძიმის დატვირთვას აძლევს. ერთიანობაში კი იღებენ ჯანით ჩვენზე ძლიერ კალათბურთელებს.

- ასეთი მუშაობისთვის საქართველოში თუ შეიქმნება პირობები?

- მცდელობას ნამდვილად არ ვაკლებთ. კონტაქტი მაქვს ერთ სერბ სპეციალისტთან, რომელსაც ფიზმომზადების სპეციალური პროგრამის გამოგზავნა ვთხოვე. მეორე ნაბიჯი ჩვენი მოთამაშეების ინდივიდუალური შემოწმებაა, შემდეგ უნდა ვიპოვნოთ მცოდნე კაცი, რომელიც თითოეულს მისთვის საჭირო პროგრამას შეუდგენს და მის შესრულებას დროგამოშვებით შეამოწმებს. გამოგიტყდებით, ეს იოლი საქმე არაა.

- სამომავლო გეგმა ხომ არ მოგიხაზავთ?

- ნაკრებს ზაფხულამდე კვლავ კვირაში 2-ჯერ შევკრებთ და 91-წლიანთა საქართველოს ჩემპიონატში თამაშს განვაგრძობთ, ხოლო ზაფხულში შეიძლება ისევ თურქეთში გადავიდეთ. მგზავრობის ხარჯი შედარებით მცირე იქნება და რაც მთავარია, თურქებს ძლიერი კლუბები ჰყავთ.

ვაჟა სიმონიშვილი

თუჯილი

22 მარტი, 1976 - დაიბადა ივერი ჯიქურაული. ძიუდო (100 კგ). ევროპის ჩემპიონატების ორგზის მეორე (1995, 2000) და ორგზის მესამე (1994, 2001) პრიზიორი. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების მეორე (1994) და მესამე (1996) პრიზიორი. 2000 წლის სიდნეისა (VII ადგილი) და 2004 წლის ათენის (IX-X ადგილი) ოლიმპიური თამაშების მონაწილე.

ჭრიჟი

ბეჟან ჭიჭინავა



ავთანდილ შოშიაშვილი

კუპატაძემ ბაქოში ჩხუბზე უარი თქვა

საქართველოს მოკრივეთა ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდები 12 მარტიდან გლდანის დკდ-ს დარბაზში გადიან ერთობლივ შეკრებას. 26 მარტიდან 1 აპრილამდე, ჩვენი ახალგაზრდებიც და უფროსებიც, ერთდროულად იასპარეზებენ წლის პირველ საერთაშორისო ტურნირებზე. ახალგაზრდები დონეცკს მიაშურებენ, ეროვნული ნაკრები კი ბაქოში გამოვა "სილქ როუდის" ტურნირზე, რომელიც წლევანდლამდე ანვარ ჩაუდრის სახელს ატარებდა. გუშინ, ორივე ნაკრების თავკაცს დავუკავშირდით და სამზადისის მიმდინარეობისა და სამომავლო გეგმების შესახებ გამოვკითხეთ.

ბეჟან ჭიჭინავა, **ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

- 12-კაციანი გუნდით ვართ შეკრებილი და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ვვარჯიშობთ. სამწუხაროდ, დონეცკის ტურნირზე სრული გუნდით ვერ მივდივართ, რაც შეჯიბრების წესდების დამსახურებაა. იქ მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ 1989-90 წლებში დაბადებულ მოკრივეებს, ჩვენს გუნდში კი ნახევარზე მეტი 1988-წლიანია. ამიტომაც, უკრაინულ ტურნირზე მხოლოდ 5 მოკრივე გამოვა. 54 კილოგრამში დილემის წინაშე ვიდექით და ამიტომაც, ამ წონაში ორი სპორტსმენი მიგვყავს დონეცკში – პაატა გვილავა და ვახტანგ წინამძღვრიშვილი. 48 კილოგრამში იჩხუბებს დავით გასვიანი, 69-ში – გაგა ელიაშვილი, 81 კილოგრამში კი დავით გოგიშვილი მიგვყავს.

გლდანური შეკრება და დონეცკის ტურნირი პირველი ნაბიჯია იმ გუნდის შესარჩევისა და მომზადებისთვის, რომელიც ივლისის ბოლოს, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება. მსოფლიო ჩემპიონატი გაისად გვაქვს და წლეულს სწორედ ევროპის პირველობაზე ვაკეთებთ აქცენტს, სადაც ორ-სამ მედალს ვგეგმავთ. სხვათა შორის, უკრაინაში, ქალაქ ხერსონშიც ვგეგმავთ შეკრებას, სადაც ის მოკრივეებიც შემოგვიერთდებიან, ტურნირზე რომ ვერ გამოვლენ. ახლახან კი საქართველოს კრივის ფედერაციამ გვაცნობა, რომ ევროპის ჩემპიონატამდე, კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე, კონკრეტულად კი ვარშავაში გაგვიშვებს, სადაც სრული გუნდით წარვდგებით.

ავთანდილ შოშიაშვილი, **ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

- მოსამზადებელი ეტაპი გეგმისამებრ მიმდინარეობს. საბედნიეროდ, ტრავმები არ გვაწუხებს. ბაქოში მუდამ უმაღლესი დონის ტურნირი ტარდებოდა და ვიმედოვნებ, ახლაც ასე იქნება. ჯერჯერობით, არ ვიცით, წლეულს რამდენი ქვეყანა ჩამოდის, მაგრამ, როგორც გავიგეთ, რუსეთი პირველი გუნდით ეწვევა ბაქოს.

- შემადგენლობაში რამე ცვლილება ხომ არ მომხდარა?

- ბაქოს ტურნირზე მიგვყავს საქართველოს წლევანდელი თერთმეტივე ჩემპიონი – ზვიად ხადური (48 კგ), მერაბ თურქაძე (51), ნიკოლოზ იზორია (54), კობა ფხაკაძე (57), ვასილ ყაზიშვილი (60), ლევან ღვამიჩავა (64), კახა ჟვანია (69), რევაზ ქარელიშვილი (75), თორნიკე იველაშვილი (81), იაგო კილაძე (91) და ბექა ლობჟანიძე (+91). ამას გარდა, სამ წონით კატეგორიაში, გაურკვეველი მდგომარეობა გვაქვს. აქედან, გიორგი ნაკანი (75) და დავით წიკლაური (81) ბაქოში მოდიან და პირველსავე რაუნდში შევახვედრებთ კონკურენტებს, რითაც ამ წონებში ყველაფერს გავარკვევთ. იმავეს გაკეთება გვინდოდა 64 კილოგრამში, მაგრამ კოტე კუპატაძე ბაქოში არ მოდის. ორჯერ დავურეკე და ვუთხარი, საქართველოს ჩემპიონატში წაგების მიუხედავად, ნაკრებში შენთვის კარი ღიაა, ბაქოში შეგახვედრებთ ღვამიჩავას და იქ დაამტკიცე საკუთარი ძალა-მეთქი. სამწუხაროდ, იუარა – ამ ეტაპზე მაპატიეთ, ვერ მოვდივარო.

- კუპატაძის უარს, ალბათ, თავისი მიზეზი ექნება. როგორც გავიგეთ, საქართველოს ჩემპიონატზე, ფინალში მომხდარი სამსაჯო გაუგებრობის გამო, გულგატეხილი ყოფილა და საერთოდ კრივიდან წასვლაზეც ფიქრობს...

- ვიმედოვნებ, კოტე კრივიდან არ ნავა. დღეისათვის, იგი ნაკრებში ყველაზე ტიტულოვანი და გამოცდილი მოკრივეა – ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი. მისი დაკარგვა ნამდვილად არ შეიძლება.

- ბაქოს ტურნირის შემდეგ რა გეგმები გაქვთ?

- ამ ტურნირის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდება ის გუნდი, რომელიც პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატისთვის გაგრძელებს სამზადისს. მსოფლიო ჩემპიონატამდე კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე გამოვალთ, სავარაუდოდ, კლიჩკოების სახელობის ტურნირზე კიევში და მინსკისა და კალინინგრადის ტურნირები. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, როგორც გავიგეთ, მისი მოსკოვში ჩატარება კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამაზე ევროპისა და საერთაშორისო კრივის ფედერაციებს შორის დიდი ომი მიდის. საერთაშორისო ფედერაცია კორეის კანდიდატურას უჭერს მხარს. მალე ალბათ ყველაფერი გაირკვევა. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი, გეგმისამებრ მოვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ წლის უმთავრეს ღონისძიებას გუნდი ოპტიმალურ ფორმაში შეავხვედროთ.

კობა ხატისაშვილი

ხელბურთი

რითი დაგვეხმარება ნორვეგია?

როგორც იცით, 2006 წლის ნოემბერში, ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბბინაში, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას ევროპის, საქართველოსა და ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციებს შორის. გუშინ, საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ნორვეგიელებისაგან წერილი მიიღო - ისინი გვატყობინებენ, კონკრეტულად რითი აპირებენ დახმარებას.

ამა წლის 11-13 მაისს, ნორვეგიის ქალაქ სანდერფორდში, გაიმართება "ნორვეგიის ტოპ-მწვრთნელთა" სემინარები. მასპინძლები მზად არიან, რომ აღნიშნულ სემინარზე, ორი ქართველი მსაჯი საკუთარი ხარჯით მიიღონ.

25-29 ივლისს, ვიკინგები ატარებენ საერთაშორისო ტურნირს, რომელსაც "იბერიო ქაფი" ეწოდება. მასში იასპარეზებენ მასპინძლები, პორტუგალიელები, ესპანელები, შვედები და დანიელები. ტურნირს მოემსახურება ორი ახალგაზრდა ქართველი მსაჯი (**ინა ჭკუასელი** და **ნინო ელოშვილი**), რომელთა სამგზავრო და ადგილობრივ ხარჯებს, მასპინძლები დაფარავენ. ამასთან, იქაური მსაჯთა კომიტეტი ანალოგიურ ქართულ კომიტეტს გამოუგზავნის სამსაჯო ეკიპირებასა და სპეციალურ ლიტერატურას.

ნორვეგიელები ატარებენ დიდ სასელექციო მუშაობას 1992-93 წლებში დაბადებულ ხელბურთელებს შორის, რისთვისაც შექმნეს სპეციალური პროგრამა "ტუსსე". მასში მონაწილეობს ამ ასაკის 425 პერსპექტიული ნორვეგიელი ხელბურთელი. სკანდინავიელებმა შემოგვთავაზეს, რომ ამ პროექტში ჩაერთოს საქართველოს შვიდკაციანი გუნდიც.

ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციის ოფიციალური პარტნიორია ცნობილი ფირმა "უმბრო". ვიკინგები მზად არიან, ამ ფირმის სპორტული ეკიპირებაც გამოგვიგზავნონ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნორვეგიელთა კიდევ ერთი შემოთავაზება. კერძოდ, ისინი საქართველოს ერთ-ერთი ახალგაზრდული გუნდისთვის შეკრების მოწყობაზე არიან თანახმანი. ამასთან, საქართველოს რომელიმე ასაკობრივი ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებში დახმარებასაც გვპირდებიან.

ნორვეგიელთა მიერ გამოგზავნილი პროექტის ყველა საკითხი საკმაოდ საინტერესოა და ქართული ხელბურთის განვითარებას უდავოდ წაადგება.

კობა ხატისაშვილი

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემბი

ანრი ბრონკანის ქრონიკა

ესპანეთი, ქართველები, მამუკა...

როგორც იქნა, საქართველოს ნაკრების კონსულტანტის, ანრი ბრონკანის ქრონიკაში ქართული თემატიკაც გამოჩნდა. ფრანგი სპეციალისტი მადრიდში ესპანეთ-საქართველოს შეხვედრას დაესწრო. თუმცა არც ამ თამაშის, არც ნაკრების მწვრთნელებთან და რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან მიღწეულ შეთანხმებაზე ის არაფერს ამბობს.



ანრი ბრონკანი

მამუკა მაგრაქველიძე

15 მარტი, ხუთშაბათი

დილით ფლარანის სააბატოსკენ გავეშურე. აქ ხშირად დამყავდა ჩემი მოსწავლეები. უფულობის გამო შემოვლითი, უფრო გრძელი გზით გვიხდებოდა სიარული. მიუხედავად ამისა, სააბატოში სტუმრობას არასდროს ვიზარებდი. მე ყოველთვის თანავუგრძნობდი სასულიერო პირებს, მომწონდა მათი ფასეულობები.

საღამოს, მე და ჩემი კლუბის ექიმი გეზს ესპანეთისკენ ვიღებთ, რათა იქ საქართველოს ნაკრებს შევუერთდეთ. შვიდსაათიანი მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, ქართველების ადგილსამყოფელს მივაღწიეთ. ღამის დარაჯი ძლივს გავაღვიძეთ და, როგორც იქნა, ბაზაზე შევაღწიეთ. საკმაოდ მომხიბლავი გარემო დაგვხვდა. ეს იყო გეტო, ოღონდ გეტო პირიქით, მდიდრებისთვის.

16 მარტი, პარასკევი

ქართველები მდიდრები ნამდვილად არ არიან. დალხენილი არც მათი რაგბის კავშირია. ბერნარ ლაპორტს შეუძლია არხეინად იყოს, აგრეთვე - ირლანდიელები და არგენტინელებიც. მორაგბეები ხალისიანად მხვდებიან, მომიკითხეს, კეთილი სიტყვები არ დაიშურეს. მწვრთნელებმა, რატომღაც, ცივად მიმიღეს. მათ ესპანეთში საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობა ჩამოიყვანეს. ესენი ძირითადად საფრანგეთის დაბალი დივიზიონის გუნდების "ბლუას", "ნანტის", "ლილის", "არასის" და ამგვარი გუნდების წარმომადგენლები არიან.

მაგიდასთან დავსხედით. თბილისის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ისაუბრეს, მიამბეს წარსული და ამჟამინდელი ურთიერთობების შესახებ რუსებთან.

ჩემს სამწვრთნელო კარიერაში პირველ ქართველს 2001 წელს შევხვდი. მამუკა მაგრაქველიძე კაფე-ბარ "მონტრეჟოში" გადმოვიბირე, იმ დროისთვის ის "სენ ჟირონში" თამაშობდა. ჩაფსკვნილი, კუნთმაგარი ბიჭი იყო. 190 სანტიმერტი და 130 კილოგრამი. მალე დავმეგობრდით. ხშირად ვსადილობდით ხოლმე ერთად, ჩვენი სტადიონის ტრიბუნის ქვეშ, მომოს სასადილოში. მან მთელი ევროპა გადმოსერა, საფრანგეთში რაგბი რომ ეთამაშა. მე კი გადმოვცურე მდინარე ჟერი, იმისათვის, რომ "ოში" გამეწვრთნა. ჩვენ ბევრი რამ გვქონდა საერთო, რათა ერთმანეთისთვის გაგვეგო.

კლუბმა, მას "ფორდი" გამოუყო. მამუკამდე ამ მანქანამ რამდენიმე არანაკლები "კინგ კონგის" ხელში გაიარა. საცოდავი, ძლივს დათუხთუხებდა. გული მიგრძნობდა ქართველის ხელში კარგი არაფერი ელოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ვხედავ აღელვებული, სახეწაშლილი მამუკა ბაზაზე მომადგა. გატეხილი ფრანგულითა, ქართული აქცენტით მომმართა:

- ანრი, არ გამიბრაზდე.

- რა? მანქანა დაამტვრიე? - ვკითხე

არ შევმცდარვარ. ეზოში გამოვედი და რას ვხედავ. საწყალი „ფორდი". ცხვირი სულ მონგრეული ჰქონდა და ორთქლს უშვებდა.

ვეკითხები : ეს სად მოგვიდა? ვშიშობდი, საქმე უფრო სერიოზული არ ყოფილიყო. მიპასუხა "რგოლზე, რგოლზე". ვფიქრობ, რა რგოლი, რის რგოლი. მამუკა მიხვდა, რომ ვერაფერი გავიგე. ხელი ჩამკიდა ინციდენტის ადგილზე მიმიყვანა. თურმე მას მძღოლის თვისებების გამოცდა, "ოშის" მძლეოსნობის კლუბის სარბენ ბილიკზე მოუნდომებია. მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და ჩვენი გუნდის გენერალური სპონსორის სარეკლამო აბრა დაამსხვრია. კლუბი მანქანის რემონტისთვის ყოველთვიურად უქვითავდა ხელფასს. მე კი იმაზე ვფიქრობდი, როგორ გაუმართლა ჩემს მეგობარ მძლეოსნობის მწვრთნელს, ამ ამბავს რომ არ შეესწრო. საწყალს ალბათ გულის შეტევა დაემართებოდა.

17 მარტი, შაბათი

მეორე კარგი ამბავი, რაც მამუკასთან მაკავშირებს მომდევნო წელს მოხდა. გათამაშების ერთ-ერთ ტურში, უშუალო კონკურენტთან გასვლითი შეხვედრა გვქონდა. ძალიან მძიმე მატჩი იყო. თამაშის დამთავრებას აღარაფერი აკლდა. ორ ქულას ვაგებდით და მეტოქის 22 მეტრიან ზონაში საჯარიმო გამოვიმუშავეთ. ცხადია, კარში უნდა დაგვერტყა, მაგრამ გაოგნებისგან პირი ღია დამრჩა. ბურთი აუტში გადაიტანეს და თამაშიც დამთავრდა. განრისხებულმა ვიღრიალე: ეს რა ქენით-მეთქი. რაო?-გაუკვირდათ. ტაბლოსკენ ორივე ხელები უმწეოდ გავიშვირე. იმათ კიდევ თავში შემოირტყეს. მზის სხივების გამო ტაბლოს წესიერად ვერ ვხედავდით და გვეგონა, ვიგებდითო.

ამასობაში ჩემი თანაშემწე მეტოქის მწვრთნელს რაღაცას ედავებოდა. ყურადღება არ მიმიქცევია. გაოგნებული გასახდელისკენ გავემართე. როგორც იქნა, გუნდი მთლიანად შეგროვდა და მორაგბეების დასატუქსად მოვემზადე, რომ უეცრად ჩვენი გასახდელის კარები ხმაურით გაიღო. მოწინააღმდეგე გუნდს წინ მათი მწვრთნელის შვილი მოუძღოდა. იქვე იყო მამამისიც, რომლისთვისაც ჩემს თანაშემწეს ისეთი უთავაზებია, რომ თვალი მთლიანად ჩალურჯებოდა. მისი შვილი თანაშემწეს ემუქრებოდა, შენ აქედან ცოცხალი ვერ წახვალო.

ერთი ციდა ოთახში სამოცამდე აღგზნებული, განრისხებული მამაკაცი შეიყარა და აუტანელი ღრიანცელი იდგა. ჰაერში დიდი სკანდალის სუნი ტრიალებდა. სიტუაცია მამუკა მაგრაქველიძემ განმუხტა. ქართველი თავისიანებს გამოეყო, წინ ამაყად დადგა და დამტვრეული ფრანგულით მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელის შვილს მიმართა:

- ეგ მამაშენი იყოს! ეს მამაჩემი იყოს! მოდი, მე და შენ იჩხუბოს!.

მტრული ბანაკი ნელ-ნელა გაიკრიფა დერეფანში. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. ეს ერთ-ერთი ყველაზე ღირშესანიშნავი ამბავია, ჩემს სამწვრთნელო კარიერაში.

"ბრივში" რომ გადავიდა, მამუკა დოპინგთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვა. ის გაამართლეს. მე მას ვიცავდი. დამნაშავე რომც ყოფილიყო, მაინც დავიცავდი. იცით რატომ? "ოშიდან" "ბრივში" წასვლის წინ სერიოზული უთანხმოება მოგვივიდა. გამხეცებულები ერთმანეთის წინ ვიდექით. ლამის ხელით შევეხეთ. მერე, მოგვიანებით მითხრა: "იმ წუთში, თვალწინ მამაჩემის სახე წარმომიდგა, რომელიც ახლა შენი ხნის იქნებოდაო. ამიტომ, ვერაფრით დაგარტყავდიო."

ვიცოდი, რომ თვეში ერთხელ მამუკა თავისი ხელფასის დიდ ნაწილს, შორეულ ქვეყანაში დედას უგზავნიდა.

24 მარტი, საქართველო-რუსეთი

26 რუსი ბაქოდან

რუსეთის მორაგბეთა ნაკრები ახალი მწვრთნელის, **კლოდ სორელის** ხელმძღვანელობით 17 მარტიდან საწვრთნელ შეკრებაზე ბაქოში იმყოფება. როგორც გაირკვა კონტრაქტზე სორელს ჯერ ხელი მონერილი არა აქვს, თუმცა თავის განუყრელ თანაშემწესთან, ფიზმომზადების მწვრთნელ **ტიერი რუდილთან** ერთად უკვე შეუდგა რუსების წვრთნას.

გუშინ, რუსეთის ნაკრების 31-კაციანი შემადგენლობა გაგაცანით. რუსეთის რაგბის კავშირის ოფიციალური ვებ გვერდის ცნობით, ბაქოში ამჟამად შეკრებაზე 26 მორაგბეა. მათ შორის არაა საფრანგეთის პირველი დივიზიონის "აუენში" მოთამაშე მეორეხაზელი **კირილ კულემინი**. ნაკრებში ყველაზე მეტი, 12 მორაგბე, რუსეთის ჩემპიონ მონინოს ვვა-ს ჰყავს მივლინებული.

ბესიკ ჯანგავაძე

რუსეთის ნაკრები:

პირველი ხაზი: ივან პრიშეპენკო (ენისეი), ალექსანდრ ხროკინი (ვვა), ვლადიმირ მარჩენკო (ვვა), სერგეი ნოვოსელოვი (ენისეი), ივან ნაუმენკო (კრასნი იარი), სერგეი პოპოვი (სლავა), ვიქტორ კობზევი (ვვა)

მეორე ხაზი: ანდრეი ლუგინი (სლავა), არტიომ ფატახოვი (ენისეი)

მესამე ხაზი: ვიაჩესლავ გრაჩოვი (ბაიონი), კირილ კუშნარიოვი (ვვა), ანდრეი გარბუზოვი (კრასნი იარი), ვიქტორ გრაჩოვი (ვვა), ალექსეი პანასენკო (ვვა)

9: ალექსანდრ იანუშკინი (პენზა), ალექსანდრ შაკიროვი (ვვა); 10: იური კუშნარიოვი(ვვა), სერგეი სუგრუბოვი(სლავა); 12-13: სერგეი ბელოუსოვი (ვვა), იგორ გალინოვსკი (კრასნი იარი), მიხაილ ბაბაევი (ვვა), იაროსლავ რეჩნიოვი (ენისეი); 11-14: ანდრეი კუზნი (ვვა), ვლადიმერ ოსტროუშკო (იუგი), ალექსანდრ გვოზდოვსკი (კრასნი იარი); 15: იგორ კლუჩნიკოვი (ვვა)

მსაჯობა ვის გსურთ?

უმძრავ პრობლემას შორის, რომელიც ქართულ რაგბის აწუხებს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არბიტრების მცირე რაოდენობა და მათი უმრავლესობის არასაკმარისი კვალიფიკაციაა. რაგბის კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამსაჯოდ ახალი ხალხი მიიზიდოს და სათანადო პირობებიც შეუქმნას დაოსტატებისთვის. წარსულში ცნობილი არბიტრი და ამჟამად საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე **გოჩა აბაშიძე** იმ მოთხოვნებზე გვესაუბრა, რასაც მსაჯობის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს.

„მსაჯობის მსურველს, უწინარესად, რაგბი უნდა უყვარდეს და, რაც მთავარია, კარგად ერკვეოდეს სპორტის ამ სახეობის ნიუანსებში. სასურველია, იცოდეს რომელიმე უცხო ენა, რადგან ადვილი შესაძლებელია უცხოეთში სემინარებზეც გავაგზავნოთ და თუ თავს გამოიჩენს, საერთაშორისო მატჩების განსჯაც მოუწევს. შარშან ჩვენმა არბიტრებმა სამი საერთაშორისო სანაკრებო შეხვედრა იმსაჯეს, წლეულს, ალბათ, მეტის განსჯა დაგვევალება.

მსაჯებს ჩაუტარდებათ სემინარები, ჩემპიონატისა და თასის გათამაშების წინ კი მოვუწყობთ შეკრებებს. ცხადია, ექნებათ შესაბამისად გაწეული სამსახურის ანაზღაურება, მოვამარაგებთ ეკიპირებით. ყველაზე კარგი კი ისაა, რომ მსაჯს საშუალება ექნება პარალელურად სხვა საქმიანობითაც იყოს დაკავებული".

არბიტრების პრობლემა ნელ-ნელა ღრმავდება. საქმე, შესაძლოა, იქამდეც მივიდეს, რომ ჩემპიონატსა და სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში შეჯიბრების გამართვა შეუძლებელი გახდეს. უკეთეს შემთხვევაში კი, თამაშების განსჯა, ისე როგორც 13-14 წლის წინათ, მწვრთნელებს მოუწიოთ.

არადა, ქვეყანაში რაგბის განვითარება მსაჯობის დონე არ ამაღლდა, შეუძლებელია. უხერხულიც კია, ქვეყანას, რომლის ეროვნული გუნდი მსოფლიო რეიტინგში მე-15 ადგილზეა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები არ ჰყავდეს.

ასე რომ, ვისაც უნდა ქართული რაგბის სამსახურში ჩადგეს, მუხლი ერჩის და გონება უჭრის, მიმართეთ რაგბის კავშირის საშეჯიბრო კომიტეტს. იქ თქვენ გელიან.

ბესიკ ჯანგავაძე

თავისუფალი ჭიდაობა

სხირელი არ ჩქარობს

გუშინ სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა რიგიდან დაბრუნებულმა ახალგაზრული ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა**. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა იქ 3 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. **მურთაზ კვესაძე** (55), **ბექა ჭელიძე** (84) და **გიორგი ნიკურაძე** (მძიმე) ჩემპიონები გახდნენ, **გიორგი ჩიქოვანმა** (96) ვერცხლი მოიპოვა, **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **გიგლა მაყიშვილი** (60), **ნიკოლოზ რეხვიაშვილი** (66) და **გოჩა ლომთათიძე** (74) მესამეზე გავიდნენ. ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს და სამშობლოში 7-კილოგრამიანი ლამაზი თასით დაბრუნდნენ.

წარმატებული გამოსვლის მიუხედავად, სხირელი ევროპის ივნის-ივლისის მიჯნაზე ბულგარდში გასამართ ევროპის პირველობაზე წასაყვანი შემადგენლობის დასახელებას ჯერ არ ჩქარობს. ის ამ თემაზე ლაპარაკს საერთოდ მოერიდა, თუმცა ზოგადი ფრაზებიდან იმ დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება, რომ საევროპო ნაკრებში ადგილები მაყიშვილმა და ნიკურაძემ დაიჯავშნეს. სავარაუდოდ, ვერც კვესაძის და ჭელიძის პოზიციებს შეარყევს რამე, სხვებმა კი ადგილისთვის ისევ უნდა იბრძოლონ. სხირელმა მაყიშვილის წაგება მასპინძელთან მსაჯთა მიკერძოებით ახსნა, სხვა მხრივ კი ახალგაზრდებში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის გამოსვლით კმაყოფილია. მწვრთნელმა ძალიან აქო ნიკურაძეც. ან რა გასაკვირია - ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს მესამე პრიზიორი წონაში გამოკვეთილ ლიდერად იქცა. სხირელმა განსაკუთრებით პირველი ბრძოლა გამოარჩია ბელარუს მეტოქესთან. თავიდან მეტოქე სამქულიანით დაწინაურდა, მაგრამ ნიკურაძემ უაღრესი მობილიზებით ის პერიოდი 6:3 მოიგო, მეორესა და მესამეში კი შანსი არ დაუტოვა. სხვა შეხვედრები კიდევ უფრო იოლად მოიგო.

ერთადერთი წონა, სადაც სხირელმა საევროპოდ ლიდერის შეცვლის შესახებ პირდაპირ განაცხადა, 50-ია. აქ საქართველოს ჩემპიონი მისივე მოსწავლე, გორელი **დავით ბერძნიშვილი** გახდა, მაგრამ იგი ასაკით პატარაა და სხირელი პირდაპირ ამბობს, რომ ახალგაზრდებში საჭიდაოდ ჯერ მზად არაა. ახალგაზრდებს ივნისში კიდევ ერთი გამოსაცდელი ტურნირი ელოდებათ იზმირში და ბელგრადში წასაყვანი შემადგენლობაც იქ გამოვლინდება.

ირაკლი თავაძე

მურთაზ კვესაძე, ბექა ჭელიძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ტაისონ ჩენდლერი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

გარნეტი პასივში, ჩენდლერი ისტორიაში

როდესაც თავის დროზე "მინესოტა ტიმბერვულვზმა" დრაფტზე **სტეფონ მარბერი** აიყვანა, ამ გუნდის სამომავლო პერსპექტივა მინიმუმ პერმანენტულ საფლეიოფო ამბებს უკავშირდებოდა. ახალგაზრდა მარბერი, ამბიციური **კევინ გარნეტი**, გამოცდილი **ტომ გუგლიოტა**, უნიჭიერესი **აიზია რაიდერი** - ამ მოთამაშეებს მოთმენისა და პერსპექტივის სწორად განვითარების შემთხვევაში, ძალიან ბევრისთვის შეეძლოთ მიეღწიათ.

დღეს მარბერი "ნიქსშია" და კარიერის საუკეთესო წლები ისტორიას ჩააბარა, რაიდერი რომელიღაც კლინიკას სტუმრობს, სადაც მას მერე მოხვდა, რაც კალათბურთიდან წასვლის შემდეგ, თავისი მორიგი საცოლე გალახა. დიდი ვერაფერი კარიერა ჰქონდა გუგლიოტასაც, "ვულვზი" კი წლიდან წლამდე რეგრესირებს.

სხვა საქმეა "ფინიქს სანზი". არიზონელები უკვე მერამდენე წელია, რაც დასავლეთის გრანდებში შედიან და თუმც ჩემპიონობამდე სულ ყოველთვის მცირედი აკლდებათ, სტაბილურობა სახეზეა და ადრე თუ გვიან, ყველაფერი ეს **სტივ ნეშთან** ერთად აუცილებლად მოიტანს სასურველ შედეგს.

"ვულვზთან" მოგებით, "ფინიქსმა" ზედიზედ მესამედ გაინაღდა წყნარი ოკეანის ჩემპიონის ტიტული, დარჩენილ მატჩებში კი, **მაიკ დენტონის** ბიჭებს თავისუფლად შეეძლებათ ექსპერიმენტების ხარჯზე სათამაშო სქემების სრულყოფა და საფლეიოფოდ ოპონენტებისთვის სიურპრიზების მომზადება.

დენტონიმ ამ მატჩში, დიდი ხნის შემდეგ პირველად დააყენა სასტარტოში **ლეანდრო ბარბოსა, ბორის დიაო** კი რეზერვში გადაისროლა.

ბრაზილიელმა ამჯერადაც საკმაოდ პროდუქტიულად გამოიყენა დრო და 20 ქულა გააკეთა, თუმცა სამიანები ჩვეული სიზუსტით ვერ შეასრულა და 12 შორეული ტყორცნიდან ოდენ 4 გამოიყენა. კარგი იყო დიაოც, მაგრამ დენტონისთვის ალბათ, მთავარი გუნდური პროგრესია.

"კარგად ვირბინეთ, მაგრამ მაინც ვუშვებთ შეცდომებს, ეს კი ფლეი ოფში დაუშვებელია. "დალასი", "სან ანტონიო", "დეტროიტი" და "მაიამი" ამას არ გვაპატიებენ", - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე არიზონელთა მთავარმა მწვრთნელმა.

რაც შეეხება "მინესოტას", კევინ გარნეტის გუნდისთვის ეს სეზონი, უკვე საბოლოოდ შეიძლება ჩაითვალოს კრახად და მორიგ იმედგაცრუებად. "მგლები" გასვლაზე ზედიზედ მეთერთმეტედ დამარცხდნენ, დაღმასვლას კი ვერც კევინის ფანტასტიკური გამოსვლა შველის.

სტუმრებმა მეორე მეოთხედში 16-ქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს და **რიკი დევისის** საუკეთესო გდებით ანგარიშიც გაათანაბრეს, თუმცა ამას **რაჯა ბელის** ზედიზედ 8 ქულა და მასპინძელთა 10:0 გაქცევა მოჰყვა და დარჩენილ დროში "ფინიქსს" ოპონენტი 10 ქულაზე ახლოს არ გაუკარებია.

■ ■ ■

"დალასმა" გასვლაზე "ნიქსი" 92:77 გაანადგურა. ეს იყო **ეივერი ჯონსონის** გუნდის 41-ე გამარჯვება უკანასკნელ 45 მატჩში. ასეთი შედეგი, ანუ 45 მატჩში 41 მოგება ლიგის ისტორიაში მანამდე მხოლოდ სამ გუნდს ჰქონია: 1966-67 წლების "ფილადელფიას" **უილტ ჩემბერლენთან** ერთად, 1971-72 წლების "ლეიკერსს", რომლის შემადგენლობაშიც ასევე ჩემბერლენი ირიცხებოდა და 1995-96 წლების "ბულზს", სადაც **მაიკლ ჯორდანი, სკოტი პიპენი** და **დენის როდმანი** თამაშობდნენ.

■ ■ ■

"კლივლენდისა" და "შარლოტის" მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე, სტუმრები **ლებრონ ჯეიმსის** ბრწყინვალე თამაშით 81:71 იყვნენ წინ, მაგრამ დარჩენილ დროში "ბობკეთსმა" 37:19 გადათელა ოპონენტი.

ამ მატჩით დასრულდა სერია, რომლის მსვლელობისას "შარლოტი" ზედიზედ 75 შეხვედრის განმავლობაში ვერ ახერხებდა იმ მატჩის მოგებას, როდესაც ბოლო მეოთხედში 10 და მეტი ქულით აგებდა. ბოლოს "ბოქეთსმა" ასეთი შეხვედრა 2005 წლის 5 ნოემბერს მოიგო. მაშინ გუნდი "ბოსტონ სელტიქსთან" ბოლო მეოთხედში 14 ქულას აგებდა და გამარჯვება მოახერხა.

ლებრონს რაც შეეხება, მან დიდი შესვენების მერე 30 ქულა დააგროვა, მაგრამ მანვე გააფუჭა თავისი გუნდის ბოლო 4 სროლა ძირითად დროში. მიმდინარე რეგულარულში ჯეიმსს ბოლო ორ წუთში, 8 მატჩში 9 სამქულიანი აქვს შესრულებული და ყველა არაზუსტად.

■ ■ ■

ტაისონ ჩენდლერმა "მემფისთან" 16 ქულა და 11 მოხსნა დააგროვა. მანვე გამოიყენა თამაშიდან 9-დან 8 სროლა. მისი საშუალო მონაგარი ამჟამად 12.4 მოხსნას გაუტოლდა. ამავე დროს, იგი თამაშიდან სროლების 62.7 პროცენტს ასრულებს ზუსტად.

მხოლოდ ერთ მოთამაშეს დაუგროვებია სეზონში საშუალოდ ამდენი მოხსნა და თამაშიდან სროლები ასეთი სიზუსტით შეუსრულებია. ეს მოთამაშე ლეგენდარული **ჩემბერლენი** იყო, რომელმაც ეს შედეგი თავის კარიერაში სამჯერ დაფიქსირა - 1966-67-ში - 24.2 მოხსნა და 68.3 პროცენტი, 1971-72 - 19.2 და 64.9, 1972-73 - 18.6 და 72.7.

ზურაბ თალაკვაძე

ნიუ ჯერსი-დენვერი 90:94

20:20, 29:22, 16:31, 25:21

ნიუ ჯერსი: კარტერი (29 ქ. 7 მ. 9 პ), ჯეფერსონი (18 ქ), მური (12 ქ).

დენვერი: ენტონი (30 ქ. 4 მ. 3 პ), აივერსონი (20 ქ. 5 მ. 5 პ. 4 ჩ), კემბი (10 ქ. 9 მ. 4 დ), ნენე (8 ქ. 11 მ).

შარლოტი-კლივლენ. 108:100 (ო)

21:24, 16:22, 32:29, 25:19, 14:6

შარლოტი: ჯ. უოლასი (27 ქ. 11 მ. 5 დ), კეროლი (20 ქ), ერმანი (19 ქ. 10 მ), ფელტონი (17 ქ).

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (37 ქ. 6 მ. 6 პ. 3 დ), ჰიუზი (17 ქ), ილგაუსკასი (15 ქ. 9 მ).

დეტროიტი-ფილადელფია 96:75

26:23, 23:18, 21:19, 26:15

დეტროიტი: პრინსი (30 ქ. 6 მ. 4 პ. 3 ჩ.), ჰემილტონი (18 ქ), რ. უოლასი (12 ქ), მიურეი (12 ქ. 7 პ).

ფილადელფია: გრინი (20 ქ), ე. მილერი (16 ქ), დალემბერი (10 ქ. 11 მ), სმიტი (6 ქ. 17 მ).

ნიუ იორკი-დალასი 77:92

23:30, 20:16, 13:24, 21:22

ნიუ იორკი: კარი (22 ქ. 12 მ), რობინსონი (19 ქ), ბელკმენი (7 ქ. 10 მ).

დალასი: ნოვიცკი (24 ქ), ჯოშ ჰოვარდი (24 ქ. 10 მ), დამპიე (10 ქ. 13 მ).

მემფისი-ნიუ ორლეანი 103:114

30:30, 31:31, 20:31, 22:22

მემფისი: გასოლი (28 ქ. 10 მ. 6 პ), რ. მილერი (13 ქ), ატკინსი (12 ქ. 3 ჩ).

ნიუ ორლეანი: დევიდ უესტი (26 ქ), პოლი (23 ქ. 5 მ. 9 პ. 4 ჩ), ჩენდლერი (16 ქ. 11 მ. 3 დ).

ჩიკაგო-კლიპერსი 89:103

28:26, 17:24, 25:21, 19:32

ჩიკაგო: ჰაინრიხი (29 ქ. 3 ჩ), ბ. უოლასი (19 ქ. 16 მ).

კლიპერსი: მობლი (25 ქ), მაგეტი (22 ქ), ბრენდი (21 ქ. 12 მ).

იუტა-გ. სტეიტი 104:100

27:28, 26:32, 23:22, 28:18

იუტა: ბუზერი (25 ქ. 21 მ), ფიშერი (19 ქ), კირილენკო (12 ქ. 3 დ), დ. უილიამსი (10 ქ. 17 პ).

გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (27 ქ), რიჩარდსონი (21 ქ), დევისი (20 ქ. 7 პ), ბიედრინსი (10 ქ. 10 მ).

პიუსტონი-ინდიანა 86:76

18:16, 21:21, 22:22, 25:17

პიუსტონი: იაო მინი (32 ქ. 14 მ), მაკგრეიდი (20 ქ. 9 მ. 10 პ).

ინდიანა: ჯ. ო'ნილი (25 ქ. 9 მ), ტინსლი (22 ქ. 6 პ).

ფინიქსი-მინესოტა 108:90

25:22, 26:25, 33:20, 24:23

ფინიქსი: რ. ბელი (22 ქ), ბარბოზა (20 ქ), ნეში (18 ქ. 5 მ. 11 პ), მერიონი (12 ქ. 10 მ), დიაო (11 ქ. 6 მ. 9 პ).

მინესოტა: გარნეტი (30 ქ. 16 მ), სმიტი (14 ქ), ბლაუნტი (10 ქ. 11 მ).

პორტლენდი-ვაშინგტონი 100:98

19:24, 22:24, 24:22, 35:28

პორტლენდი: ოლდრიჯი (25 ქ. 8 მ. 3 ჩ), როი (19 ქ. 12 მ).

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (27 ქ. 12 ს), არენასი (19 ქ. 10 პ), სტივენსონი (17 ქ).

აღმოსავლეთი

	თ	მ	ნ	%
1. დეტროიტი*	66	43	23	65.2
2. კლივლენდი	67	41	26	61.2
3. ვაშინგტონი*	65	36	29	55.4
4. ტორონტო*	67	36	31	53.7
5. ჩიკაგო	69	39	30	56.5
6. მაიამი	66	36	30	54.5
7. ნიუ ჯერსი	68	31	37	45.6
8. ორლანდო	68	31	37	45.6
9. ინდიანა	66	30	36	45.5
10. ნიუ იორკი	67	30	37	44.8
11. ატლანტა	68	27	41	39.7
12. ფილადელფია	68	26	42	38.2
13. მილუოკი	66	25	41	37.9
14. შარლოტი	68	25	43	36.8
15. ბოსტონი	67	20	47	29.9

დასავლეთი

	თ	მ	ნ	%
1. x-დალასი	66	55	11	83.3
2. y-ფინიქსი	67	51	16	76.1
3. x-სან ანტონიო	66	46	20	69.7
4. იუტა*	67	44	23	65.7
5. პიუსტონი	68	43	25	63.2
6. დენვერი	65	34	31	52.3
7. ლოს-ანჯელესი	67	35	32	52.2
8. გ. სტეიტი	69	32	37	46.4
9. კლიპერსი	67	31	36	46.3
10. ნიუ ორლეანი	68	31	37	45.6
11. საკრამენტო	67	29	38	43.3
12. პორტლენდი	66	28	38	42.4
13. პორტლენდი	67	27	40	40.3
14. სიეტლი	66	26	40	39.4
15. მემფისი	68	17	51	25.0

*შენიშვნა: * - დივიზიონის ლიდერი; x - გაინაღდა ფლეი ოფის საგ ზური; y - დივიზიონის ჩემპიონი*

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ტორონტო-ნიუ ჯერსი 2:1

1:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 უელვუდი-11 (სუნდინი-39, კოლაიაკოვო-7), 2:0 ანტროპოვი-16 (სუნდინი-40, პონიკაროვსკი-22), 2:1 ზაიაცი-16 (ლანგენბრუნერი-35, ე. გრინი-3).

კოლამბუსი-ჩიკაგო 5:2

1:1, 3:0, 1:1

გოლები: 1:0 ბრული-8, 1:1 რენე ბურკი-7 (ბარკერი-5), 2:1 მოდინი-18 (ვიბორნი-44, სვიტოვი-10), 3:1 მოდინი-19 (ვიბორნი-45, ფიოდოროვი-23), 4:1 ვალსერი-1 (ფერდიოვი-20, ნეში-28), 5:1 ტოლეფსენი-1 (პიკარი-1, ბრული-10), 5:2 შარპი-16 (ჯეისონ უილიამსი-17, ბარკერი-6).

ტამპა ბეი-ატლანტა 4:3 (ო)

1:0, 1:3, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 პერენი-12 (ჯ. უორდი-9, ბ. რიჩარდსი-41), 2:0 ლეკავალიე-49 (სენტ ლუისი-55, იანიკი-9), 2:1 ზედნიკი-7 (რ. რობიტაილი-26), 2:2 პარკი-6 (რ. სმიტი-29, პოტი-29), 2:3 შატანი-25 (ვიქ. კოზლოვი-24, ზედნიკი-14), 3:3 ჯ. უორდი-5 (ფედოტენკო-19, ბოილი-42), 4:3 კუბა-12 (პერენი-20, რიჩარდსი-42).

მინესოტა-ფინიქსი 3:2

1:0, 2:0, 0:2

გოლები: 1:0 დემიტრა-24 (გაბორიკი-20, ვალცი-13), 2:0 ტ. უაიტი-13 (ბუშარი-33, მ. კოივუ-30), 3:0 გაბორიკი-26 (დემიტრა-37, ვალცი-14), 3:1 ნ. კაპანენი-6 (ბელი-5, ლეონი-24), 3:2 ბ. ტომასი-5 (რიჩარ-13, ბალარტი-17).

მონრეალი-ბოსტონი 1:0

0:0, 1:0, 0:0

გოლი: 1:0 ლატენდრესი-16 (კასტსიცინი-7, კომისარეკი-12).

კალგარი-დეტროიტი 2:1

1:0, 1:1, 0:0

გოლები: 1:0 ლენგკოუ-30 (ფანოფი-28, ჰუსელიუსი-41), 1:1 დაციუკი-23 (ფილპულა-7, ლიდსტრიომი-48), 2:1 ჰუსელიუსი-31 (ტანგეი-52, ფანოფი-29).

ფილადელფია-ფლორიდა 1:4

0:0, 1:2, 0:2

გოლები: 0:1 ბუტი-2 (გლობკე-1, ბ. ალენი-19), 1:1 აფანასენკოვი-11 (მ. რიჩარდსი-22, ს. კაპანენი-14), 1:2 ო. იოკინენი-34 (შტუმპელი-31), 1:3 ჰორტონი-28 (გელინასი-30), 1:4 კოლნიკი-11 (გრეტონი-19, პელტონენი-15).

სენტ ლუისი-ოტავა 2:4

1:0, 1:2, 0:2

გოლები: 1:0 ჯეკმენი-2 (მეიერსი-11, რ. ჯონსონი-3), 1:1 ნილი-12 (კ. კელი-21, ვერმეტი-19), 1:2 მ. ფიშერი-19 (კ. ფილიპსი-15), 2:2 ბოიესი-16 (ჩაიანეკი-31, უეიტი-40), 2:3 ვერმეტი-19 (კ. კელი-22, კ. ფილიპსი-16), 2:4 კ. კელი-15 (ვერმეტი-20, ალფრედსონი-52).

ფორმულა 1

არის პირველი სკანდალი

წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის სადებიუტო გრან-პრის დასრულებისთანავე პირველი სკანდალი ატყდა. ბრიტანული პრესის ინფორმაციით, "მაკლარენის" ბოსმა **რონ დენისმა** კონკურენტი "ფერარი", რეგლამენტით აკრძალული რაღაც მექანიზმის გამოყენებაში დაადანაშაულა.

დენისს კონკრეტულად "ფერარი" არ უხსენებია. მან განაცხადა, რომ ზოგიერთ ბოლიდზე დამონტაჟებულია მექანიზმი, რომელიც რბოლის დროს ასფალტთან მოჭიდულობის ძალას ამცირებს ან ადიდებს. ეს კი, მანქანას უდიდეს აეროდინამიკურ უპირატესობას ანიჭებს.

რონ დენისის ეს განცხადება სკანდალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან ავსტრალიის გრან-პრის წინ, ჩემპიონატში მონაწილე ყველა ბოლიდის დანვრილებითი ტექნიკური დათვალიერება ჩატარდა.

"ვნახოთ, რა მოხდება მომდევნო ორ-სამ რბოლაში და შემდეგ დავსახავთ მოქმედების გეგმას", - ამბობს "მაკლარენის" შეფი.

კალათბურთი

ჯორდანი 15 ათასს გადაიხდის

არ წყდება აურზაური ამერიკის სტუდენტური საკალათბურთო ლიგის ლიდერის - **კევინ დიურენტის** გარშემო. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ამ კალათბურთელის ოჯახთან ურთიერთობის გამო, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 30 ათასი დოლარით დააჯარიმა "ბოსტონ სელტიქსი".

ახლა კი, 15 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს "შარლოტ ბობკეტსის" ერთ-ერთ მფლობელს, ლეგენდარულ **მაიკლ ჯორდანს,** რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი კლუბი ტექსასის უნივერსიტეტის ვუნდერკინდის შეძენას აპირებს.

საქმე ისაა, რომ მსგავსი განცხადებები ეწინააღმდეგება NBA-ში არსებულ წესებს, რომლის მიხედვითაც, ასოციაციის კლუბებს ეკრძალებათ სტუდენტურ ლიგაში მოთამაშე კალათბურთელებთან კონტაქტი მანამ, სანამ ისინი დრაფტის სიებში არ მოხვდებიან.

მსოფლიომ ევროპას აჯობა

გუშინ, კვიპროსში, "FIBA-ევროპას" ეგიდით "ყველა ვარსკვლავის მატჩი" გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს ევროპისა და მსოფლიოს ნაკრებები შეხვდნენ.

ევროპაში მოთამაშე ლეგიონერებმა 10 ქულის სხვაობით - 105:95 მოუგეს ძველი კონტინენტის ნაკრებს.

ევროპის ნაკრები: ლეშჩუკი (15 ქ), გეპულისი (12 ქ), სკიარა (11 ქ), დროზდოვი (10 ქ. 4 მ), ალექსიჩი (9 ქ. 7 მ. 4 პ), გასოლი (9 ქ. 4 მ).

მსოფლიოს ნაკრები: დადლი (23 ქ), ჰათსონი (14 ქ. 6 მ. 2 დ), პერი (14 ქ. 5 პ), უინსტონი (14 ქ), ელ-ამინი (11 ქ).

მძლეოსნობა

გერმანელებს ნამიბიელი გაწვრთნის

გერმანიის მძლეოსნობის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრებში მოასპარეზე სპრინტერებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნა. ეს გახლავთ 200 მეტრზე მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ცნობილი ნამიბიელი სპრინტერი - **ფრენკი ფრედერიქსი.** 39 წლის მძლეოსანი ახალ პოსტზე მუშაობას ამ კვირაში დაიწყებს.

"ჩვენი მიზანია - გერმანელი სპრინტერები მსოფლიო ელიტასა და ოლიმპიურ კვარცხლბეკს დავუბრუნოთ", - განაცხადა გერმანიის მძლეოსნობის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ მალოუმ.**

ნამიბიელი ფრენკი ფრედერიკსი 200 მეტრზე მსოფლიო ჩემპიონი 1993 წელს გახდა. გარდა ამისა, მის ანგარიშზე ოლიმპიური თამაშების ოთხი ვერცხლის მედალი მოდის. აქტიური სპორტიდან ფრედერიქსი 2004 წელს წავიდა.

ექსტრემალური სპორტი

მალაიზიაში სპაიდერმენი დაიჭირეს

"ადამიანი-ობობად" წოდებული ცნობილი ფრანგი კლდეზე მცოცავი - **ალენ რობერი** კვლავ ციხეში მოხვდა.

ინციდენტს ადგილი მალაიზიის დედაქალაქ კუალა-ლუმპურში ჰქონდა, სადაც რობერმა ცნობილი "ტყუპი-კოშკების" დაპყრობა განიზრახა. ამით ფრანგს სურდა 88-სართულიან ცათამბჯენზე ასვლის 10 წლისთავი აღენიშნა. მაგრამ, როგორც წესი, რობერს ეს აქცია კუალა-ლუმპურის მთავრობასთან არ შეუთანხმებია.

საბოლოოდ, პოლიციამ "სპაიდერმენი" იმ დროს დააპატიმრა, როცა ის მე-60 სართულზე იმყოფებოდა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲑᲛᲐ ᲝᲥᲠᲝᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲧᲕᲔᲡ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ქალაქ მელბურნში გრძელდება სპორტის საწყლოსნო სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც გუშინ მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. ისევე, როგორც წინა დღეებში, ამჯერადაც ყველაზე დიდი მონაგარი ჩინელ და რუს სპორტსმენებს ჰქონდათ, რომლებმაც ორ-ორი ოქროს მოპოვება შეძლეს.

ღია წყალში ვაჟები ერთმანეთს ათკილომეტრიან დისტანციაზე შეეჯიბრნენ. თითქმის ორსაათიანი პაექრობის შემდეგ, საფინიშო დაფას პირველი რუსი **ვლადიმირ დიაჩინი** შეეხო, რომელმაც სულ რაღაც 0.06 წამით აჯობა მოქმედ ჩემპიონს, გერმანელ **თომას ლურცს**.

ვლადიმირ დიაჩინი

"დაფას რომ შევეხე, ამის შემდეგ გავიგე, რომ იგივე ლურცმაც შეძლო. ვიფიქრე, რომ მე მოვიგე, მაგრამ ამაში დარწმუნებული არ ვიყავი", - განაცხადა 24 წლის დიაჩინმა, ვინც ამ დისტანციაზე პირველად ჩემპიონი 2003 წელს გახდა.

დიაჩინმა გადამწყვეტი შეტევა დისტანციის ბოლო კილომეტრზე წამოიწყო. ლურცმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ვერც თავგანწირვამ მოუტანა სასურველი შედეგი. შეგახსენებთ, რომ გერმანელმა ჩემპიონატის პირველ დღეს 5 კილომეტრზე მოიპოვა ოქროს მედალი. ამჯერად კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე რუსი **ევგენი დრაცევი** ავიდა.

ხტომებში კვლავ შეუდარებლები არიან ჩინელები, რომლებმაც ამ დისციპლინაში მორიგი ორი ოქრო მოიპოვეს. ვაჟებს შორის ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბადალი არ ჰყავდა **ლუო იუტონს**, ქალებს შორის ათმეტრიანი კოშკიდან ხტომაში კი ოქროს მედალს 14 წლის **ვან სინი** დაეუფლა.

ფინალურ ეტაპზე შესრულებული 6 ნახტომის შედეგად, ლუომ 477.40 ქულა დააგროვა და უკან მოიტოვა თანაგუნდელი **ჰე ჩონი**. ბრინჯაოს მედალი ერგო იტალიელ **კრისტოფერ საკინს**.

რაც შეეხება ვანს, მისთვის ეს პირველი დიდი ტურნირი იყო, თუმცა სკოლის მოსწავლემ ყველაზე უკეთ შეძლო ნერვების მოთოკვა და სასურველ შედეგსაც მიაღწია. მან დიდი უპირატესობით აჯობა თანაგუნდელ **ჩენ როულინს**, ვინც მანამდე ოქრო ათმეტრიანი კოშკიდან სინქრონულ ხტომაში მოიპოვა.

არადა, ფინალის საწყისი ორი ხტომის შემდეგ, წინ ჩენ როულინი იყო, მაგრამ მესამე ხტომაზე, მან უხეიროდ შეასრულა ბრუნვის ელემენტი და მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო ნახტომი უბადლოდ შეასრულა, რისთვისაც ექვსი უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, თინეიჯერი თანაგუნდელის დაწევა ვეღარ შეძლო.

საბოლოოდ, ვანმა 432.85 ქულა დააგროვა, ჩენი კი 410.30 ქულით ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაოს მედალი კი გერმანელმა **კრისტინ შტოიერს** ერგო. მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა აწ უკვე ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **ლაურა უილკინსონმა**.

ოქროს მეორე მედალი რუსებმა სინქრონულ ცურვაში მოიპოვეს. **როდ ლეივერის** სახელობის არენაზე მოწყობილ აუზში, მათ გუნდური ტექნიკური დისციპლინაც მოიგეს. წინასწარ ეტაპზე რუსები იაპონელებმა ჩამოიტოვეს, მაგრამ გადამწყვეტ ასპარეზობაში მაინც ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იმარჯვეს. საბოლოოდ, მათ 99.000 ქულა მოაგროვეს, იაპონელები კი 97.833 ქულით ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. 97.167 ქულით ბრინჯაოს მედალი ესპანეთის გუნდმა მოიპოვა.

ამგვარად, სინქრონულში რუსთა მონაგარმა ოთხი ოქრო შეადგინა. სულ კი მათ აქტივში ოქროს შვიდი მედალი დაუგროვდათ (სინქრონულში მოპოვებული ოთხი ოქროს გარდა, მათ ღია წყალში სამი ტიტულიც აიღეს). სამი ოქროთი ნაკლები აქვთ ჩინელებს. მესამე ქვეყანა, რომელსაც დარჩენილი ერთადერთი ოქრო აქვს მოპოვებული, გერმანიაა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲥᲠᲝ ᲩᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ

ᲢᲝᲙᲘᲝᲨᲘ მიმდინარეობს ფიგურულ ფიგურაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელზეც მედლების პირველი კომპლექტი წყვილებს შორის გათამაშდა. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა კვლავ არავის დაუთმო **შენ სუეს** და **ჭაო ჰონგბოს** დუეტმა, რომლებმაც მესამედ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლები.

შენ სუემ და ჭაო ჰონგბომ ოქროს მედლები 2002 და 2003 წლების ჩემპიონატებზეც მოიპოვეს, მაგრამ ტრავმების გამო, ბოლო ორი ჩემპიონატის გამოტოვება მოუხდათ. ჭაოს ტრავმა ამჯერადაც აწუხებდა, თუმცა ამის მიუხედავად, მათ შეუდარებლად იასპარეზეს და დამსახურებულად დაიკავეს კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური.

ჩინურმა წყვილმა, რომელიც ასევე ორგზის ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზორიცაა, ასპარეზობის ბოლო ეტაპზე მასენეს "მედიტაციაზე" აწყობილი პროგრამა შეასრულეს, რომელშიც ურთულეს ტექნიკურ ილეთებს დახვეწილი არტისტულობა შეუუხამეს. შედეგად, რაც ქულების დარიცხვის ახალი წესი მოქმედებს, მას აქეთ ყველაზე მეტ, 203.50 ქულას მოუყარეს თავი და უკან მოიტოვეს შარშანდელი ჩემპიონატის ტრიუმფატორი თანაგუნდელები - **პან ცინი** და **ტონ ძიანი**, რომლებმაც 188.46 ქულით ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა ევროპის ჩემპიონი გერმანელების, **ალიონა სავჩენკოსა** და **რობინ ჟოლკოვის** დუეტი.

სანამ ყინული წყვილებს დაეთმობოდათ, მოკლე პროგრამა კაცებმა შეასრულეს, რომლის შემდეგაც სოლიდური უპირატესობა მოიპოვა ფრანგმა **ბრაიან ჟუბერმა**. მისგან განსხვავებით, ჩემპიონობის დანარჩენ პრეტენდენტებს ხელი მოეცარათ - თითქმის ყველა მათგანი დაეცა, რამაც ფრანგს სოლიდური უპირატესობა მოაპოვებინა. მოკლე პროგრამის შემდეგ, ჟუბერს 83.64 ქულა დაუგროვდა. მეორეზეა კანადელი **ჯეფ ბატლი**, ვისაც 79.90 ქულა აქვს. მას 74.51 ქულით იაპონელი **დაისუკე ტაკაჰაში** მოსდევს. მომდევნო ადგილებზე არიან ამერიკის ყოფილი ჩემპიონი **ჯონი უეირი** და ამერიკისავე მოქმედი ჩემპიონი **ევან ლისაჩეკი**. 72.70 ქულით მეექვსეზეა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, შვეიცარიელი **სტეფან ლამბიელი**.

შავ ფორმაში გამოწყობილმა ჟუბერმა თავისი პროგრამა **ჯეიმს ბონდის** მოტივებზე ააგო. ყინულზე ის ვირტუალურად ხან ისროდა, ხან ავტომობილს მიაქროლებდა, ხანაც ვიღაცას უსაფრდებოდა. რაც მთავარია, პროგრამა შესანიშნავად შეასრულა და მაყურებლის ოვაციაც დაიმსახურა. ფრანგის პროგრამაში განსაკუთრებით რთული იყო კვად-ტრიპლი, რომელიც მან პროგრამის დასაწყისშივე, უზადოდ შეასრულა. მსაჯებმაც ყველაზე მეტად მისი საშემსრულებლო ტექნიკა დააფასეს.

ჟუბერისგან განსხვავებით, ოთხმაგი ხტომა არ ჰქონია ბატლს, სამმაგიეროდ, მან ოთხივე სამმაგი ხტომა შესანიშნავად შეასრულა. რაც შეეხება კატაჰაშის, მან ფონად ჩაიკოვსკის "ვიოლინ კონჩერტო" აირჩია და მისი გამოსვლაც უფრო საბალეტო რუტინას ჰგავდა. მოკლედ, მის პროგრამას ემოციურობა აკლდა.

კაცები მედლების კომპლექტს დღეს გაითამაშებენ.

ასე დაასრულეს შენ სუემ და ჭაო ჰონგბომ თავიანთი საჩემპიონო პროგრამა

TV ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

22 ᲛᲐᲠᲢᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲫᲣᲮᲑᲐᲠᲗᲘ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ფლამენგო (ბრაზილია)-პარანა (ბრაზილია).
15:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:45 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:55 უიქენდის მატჩების ანონსი.
21:00 ტოქ-შოუ - 2:1.
21:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ფლამენგო (ბრაზილია)-პარანა (ბრაზილია).
23:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:45 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:45 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

SPORT 1 (ᲥᲐᲠᲗᲚᲘ)

08:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ემპოლი.
09:55 სპორტინფორმი.
10:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 სპორტინფორმი.
11:25 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. დინამო-ბენეტონი.
13:10 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პონტე პრეტა.
14:55 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ტაუგრესი-მაკაბი.
16:40 ფიტნესი.
17:05 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)- კარლოს მოია (ესპანეთი). აკაპულკო. მექსიკა.
18:56 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 სპორტის ისტორია.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ფლამენგო (ბრაზილია)-პარანა (ბრაზილია).
22:30 სპორტის ისტორია.
22:40 სპორტინფორმი.
22:50 სპორტდოსიე.
23:15 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ოლიმპიაკოსი-ხუვენტუდი (LIVE).
00:55 სპორტინფორმი.
01:05 კრივი. ნოკაუტების ჟამი.
01:55 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ხუვენტუდი-პარტიზანი.
03:40 ფიტნესი.
04:05 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ინტერი.
05:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
06:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:55 სპორტის ისტორია.

EUROSPORT

11:15 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. ტოკიო. იაპონია (LIVE).
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. საკვალიფიკაციო. პლანიცა. სლოვენია.
16:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვები. ტოკიო. იაპონია.
17:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-ჩეხეთი. აომორი. იაპონია.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS215. საკვალიფიკაციო. პლანიცა. სლოვენია.
20:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვები. ტოკიო. იაპონია.
22:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. ტოკიო. იაპონია.
00:00 პროფესიული კრივი. ს. იბრაჰიმოვი (რუსეთი)-ხ. მორა (მექსიკა). ნიუ იორკი. აშშ.
01:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. ვ. სენჩენკო (უკრაინა)-ა. იესკინი (ყაზახეთი). დონეცკი. უკრაინა.
02:00 პოკერი. ევროპის ტური. ლონდონი. ინგლისი.
03:00 ბრძოლა ნესების გარეშე.
04:00 მოტოსპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-არგენტინა.
13:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-სლოვაკეთი.
14:30 მულტისპორტი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ავსტრალია-დანია.
18:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-არგენტინა.
19:00 მულტისპორტი.
19:30 ბილიარდი. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
20:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ფლეი ოფი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ფურანო. იაპონია.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. კალგარი. კანადა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ბილიარდი. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
00:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ბელგია-ჩეხეთი.
00:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ოლბორგი (დანია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-არგენტინა.
03:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-კოლორადო (LIVE).
05:30 ახალი ამბები.

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

I ᲚᲘ�გᲐ

ᲩᲔᲡᲢᲔᲠᲤᲘᲚᲓᲘ-ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘ	1:1

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘ

ᲞᲐᲚᲘᲤᲐᲥᲡᲘ-ᲝᲥᲡᲤᲝᲠᲓᲘ	1:1

ᲨᲢᲐᲢᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

III ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ᲘᲡᲑ ᲤᲐᲘᲤᲘ-ᲓᲐᲛᲑᲐᲠᲑᲘᲝᲜᲘ	1:0

ᲤᲘᲜᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲕᲐᲡᲐ-ᲚᲐᲡᲐᲒᲘ	0:1
ᲐᲜᲯᲐ-ᲝᲚᲣ	2:2 პენ.5:4

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲐᲠᲐᲯ-ᲚᲔᲩᲘ	0:2

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲓᲘᲝᲨᲢᲘᲠᲘ-ᲖᲐᲚᲐᲔᲒᲠᲨᲔᲒᲘ	2:1
ᲣᲘᲙᲔᲜᲓᲘ-ᲓᲔᲑᲠᲔᲪᲔᲜᲘ	0:0

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲝᲘᲒᲐ-ᲘᲝᲙᲝᲰᲐᲛᲐ	1:0
ᲜᲘᲓᲐᲒᲐ-ᲙᲐᲨᲘᲒᲐ	3:1
ᲙᲝᲤᲣ-ᲜᲐᲒᲝᲘᲐ	2:1
ᲞᲘᲠᲝᲨᲘᲒᲐ-ᲒᲐᲛᲑᲐ	0:3
ᲙᲐᲛᲘᲜᲐ-ᲨᲘᲜᲘᲪᲣ	2:1
ᲘᲝᲙᲝᲰᲐᲛᲐ-ᲝᲜᲘᲘᲐ	0:1
ᲙᲝᲒᲔ-ᲯᲔᲤ ᲘᲜᲒᲚᲘᲨᲘ	1:4
ᲘᲜᲐᲑᲐ-ᲒᲝᲙᲘᲝ	1:0

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲚᲘ�გᲐ

ᲐᲠᲘᲡᲘ-ᲣᲜᲘᲙᲐᲡᲐ	83:65
ᲑᲐᲠᲪᲔᲚᲝᲜᲐ-ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲜᲐᲙᲝᲡᲘ	87:66
ᲓᲘᲜᲐᲛᲝ-ᲑᲔᲜᲔᲒᲝᲜᲘ	58:58 ᲝᲛ.Გ. 68:65
ᲞᲠᲝᲙᲝᲠᲘ-ᲔᲤᲔᲡᲘ	64:72

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡᲢᲘ (Მ)-ᲡᲘᲑᲘᲠᲘ	2:1
Ს. ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲔᲕᲘ-ᲪᲡᲙᲐ	1:3
ᲐᲕᲐᲜᲒᲐᲠᲓᲘ-ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲮᲘᲕᲘ	3:4
ᲐᲚ ᲑᲐᲠᲡᲘ-ᲮᲘᲜᲘᲪᲘ	5:1

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ

ᲡᲚᲝᲕᲐᲜᲘ-ᲖᲝᲚᲝᲜᲘ	3:1

ᲩᲔᲩᲔᲗᲘ

ᲞᲐᲠᲓᲣᲑᲘᲪᲔ-ᲑᲣᲓᲔᲘᲝᲕᲘᲪᲔ	4:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲚᲘᲜᲩᲝ�პᲘᲜᲒᲘᲡᲘ-ᲤᲔᲠᲘᲔᲡᲢᲐᲓᲘ	3:3 ᲝᲛ.Გ.3:4
ᲛᲝᲚᲝ-ᲐᲒ 71	4:1

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

ლი-ვასალო	4:6, 2:6
მირნი-ᲑᲠᲐᲩᲘᲐᲚᲘ	6:7, 4:6
მატიო-ვლიგენი	6:1, 6:1
გაბაშვილი-ჰაიეკი	7:5, 4:6, 7:5
გოლდსტეინი-სვიტინგი	6:2, 2:6, 6:3
მონაკო-ჰაასე	6:4, 6:4
მონფილსი-ᲑᲝᲚᲔᲚᲘ	4:6, 2:6
ორნა-შრიჩაფანი	6:2, 6:0

WTA. ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

მორიგამი-ვოზნიაკი	6:1, 7:5
შონესი-ᲚᲐᲠᲩᲔᲠᲓᲔ	6:3, 2:6, 6:7
ᲑᲐᲠᲓᲘᲜᲐ-ანჩიჩი	6:3, 6:2
ᲟᲘᲓᲙᲝᲕᲐ-მარტიჩი	4:6, 6:4, 7:6
ოპრანდი-ᲢᲣ	3:6, 2:6
კრეიბასი-ვინჩი	6:3, 2:6, 6:0

ფორმულა 1. ინტერვიუ ფერნანდო ალონსოსთან

შუმახერი მენატრება? როგორ გეკადრებათ!

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ამ ეტაპზე ფერარის უპირატესობას აღიარებს

ფერნანდო ალონსომ შამპანური დაიმსახურა

მსოფლიოს 58-ე ჩემპიონატის სასტარტო ეტაპის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა, "მაკლარენში" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის - ფერნანდო ალონსოს დებიუტი იყო. ესპანელი პილოტი ბრიტანული ბოლიდის საჭეზე "რენოდან" გადაჯდა. მელბურნის "ალბერტ პარკზე" დებიუტი შედგა: ალონსომ თავისებური დუბლი შეასრულა - კვალიფიკაციაშიცა და რბოლაშიც მეორე ადგილი დაიკავა. მასზე წინ, მხოლოდ კიმი რაიკონენი აღმოჩნდა. ავსტრალიის გრან-პრიზე ეს უკანასკნელიც დებიუტანტის რანგში მოგვევლინა - მან "მაკლარენი" "ფერარით" შეცვალა. როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ეს ორი პილოტი ქმნიდა ამინდს "ალბერტ პარკის" ტრასაზე. ამ დუეტმა სერიოზული განაცხადი გააკეთა 2007 წლის სეზონში დომინირებაზე. ფინიშის შემდეგ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ესპანურ მედიასთან რბოლის პერიპეტიებსა და მომავალი ჩემპიონატის სავარაუდო სცენარზე ისაუბრა.

- ფერნანდო, ამ სეზონის პირველმა გრან-პრიმ ორი მეორე ადგილი მოგტანათ - ჯერ კვალიფიკაციაში, შემდეგ რბოლაში. კმაყოფილი ხართ ამ შედეგით?

- ყველაფერი ნორმალურად მიდის. მეორე სასტარტო პოზიცია ნიშნავდა იმას, რომ რბოლის მოგების შანსი მქონდა. ამასთან, კვალიფიკაცია საკმაოდ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა: შაბათს წვიმდა, რამაც პირადად მე გარკვეული დისკომფორტი შემიქმნა. კვალიფიკაცია ყოველთვის რთულია, სეზონში პირველი კი, ორმაგად რთული. თანაც, ცოტა სტრესულ მდგომარეობაში ვიყავი, რადგან ახალ გუნდში დებიუტი მქონდა.

- მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ნიკი ლაუდა მიიჩნევს, რომ მიხაელ შუმახერის შემდეგ, სწორედ თქვენ შეგიძლიათ ფორმულა 1-ში ლიდერობა იკისროთ. თუმცა, "ალბერტ პარკის" ტრასაზე კიმი რაიკონენს საკმაოდ ჩამორჩით...

- მთელი უიქენდი თავს დამაჯერებლად ვგრძნობდი და კვალიფიკაციაში მოპოვებულ მეორე ადგილს წარმატებად ვთვლი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ გასულ სეზონში "მაკლარენი" არც ისე კონკურენტუნარიანი იყო. ამიტომაც, ჩვენ, პილოტებმა მადლობა უნდა მოვუხადოთ იმ ხალხს, რომლებიც ამჟამინდელი ბოლიდების შექმნაში იღებდნენ მონაწილეობას.

- მოდით, თქვენს ახალ თანაგუნდელზე ვისაუბროთ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ლუის ჰემილტონი მთელი სეზონის განმავლობაში არ მოგცემთ მოდუნების საშუალებას. "რენოში," წინა პარტნიორის შემთხვევაშიც ასე იყო?

- ძნელი სათქმელია. ფიზიკელას უფრო კარგად ვიცნობდი. ის ორი წელი, რომელიც მასთან ერთად ერთ გუნდში გავატარე, საკმაოდ რთული იყო, მაგრამ ისე ხშირად არ ვყოფილვარ მეორე პლანზე, როგორც ეს მელბურნში რამდენჯერმე მოხდა. შეეხედოთ, რამდენ ქულას დავაგროვებთ ჩემპიონატის ბოლოს. სწორედ მაშინ შეგვეძლება ვიმსჯელოთ, რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ჩვენი თანამშრომლობა. უნდა აღვნიშნო, რომ ჰემილტონმა დიდი სამუშაო გასწია და საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა როგორც კვალიფიკაციაზე, ასევე კვირის რბოლის დროს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბიჭი კიდევ ბევრ ქულას მოუტანს ჩვენს გუნდს.

- "მაკლარენში" ბევრი ცნობილი პილოტი გამოდიოდა, მაგრამ მხოლოდ ოთხმა მათგანმა შეძლო სეზონის სადებიუტო რბოლაში კვალიფიკაციის მოგება: 1976 წელს ჰანტმა, 1988 წელს სენამ, თუმცა მათ ფინიშამდე ვერ მიაღწიეს. 1990 წელს ბერგერმა რბოლა დაასრულა და მხოლოდ პროსტმა შეძლო 1984 წელს ეტაპის მოგება...

- მართალია, პოდიუმის უმაღლეს საფეხურამდე 8 წამი დამაკლდა, მაგრამ, როგორც გითხარით, საკუთარი თავით კმაყოფილი დავრჩი. დიახ, რაიკონენი უფრო სწრაფი იყო, მაგრამ არც ისე ძალიან. სამაგიეროდ, კონსტრუქტორთა თასზე ჩვენ "ფერარიზე" უფრო მეტი ქულა დავაგროვეთ. ბუნებრივია, კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი, რათა მოგების შანსი მიგიღოთ, თუმცა, უკვე დავამტკიცეთ, რომ დიდი პოტენციალი გვაქვს და ამიტომაც, მოუთმენლად ველი შემდეგ რბოლას.

- როგორ მოხდა, რომ ჰემილტონმა სტარტზე თქვენი გასწრება შეძლო, რის გამოც მას კარგა ხანი უკან მისდევდით?

- სტარტი ჩემთვის ტრაგიკომიკური გამოდგა. მთელი ყურადღება ნიკ ჰაიდფელდზე გადავიტანე და პირველი ვირაჟის შემდეგ, უცებ გავაცნობიერე, რომ მეოთხე ადგილზე ვიყავი. ამ პოზიციიდან შეტევა კი, ნაკლებად შესაძლებელია.

·- თქვენ ხან ეწეოდით ჰემილტონს, ხანაც აშკარად ჩამორჩებოდით მას. ეს როგორ უნდა ავხსნათ?

- იმისთვის, რომ ძრავა არ დამწვარიყო, მანქანას ამოსუნთქვის საშუალებას ვაძლევდი. თანაც, წრეზე ჩამორჩენილები მაშინვე არ მითმობდნენ გზას. ამიტომაც ვთვლი, რომ ნაწილობრივ გამიმართლა, როცა თანაგუნდელის გასწრება შევძელი. მეორეს მხრივ, ჩვენი ბრძოლით მაყურებელი დარჩა მოგებული, რადგან საინტერესო პაექრობა გამოგვივიდა. მახსოვს, ავსტრალიაში ფიზიკელასთან მსგავსი დაპირისპირება მქონდა.

- შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ ჰემილტონმა თქვენს წინა პარტნიორებზე უფრო მეტად მოგაქციათ წნეხში?

- არა მგონია. მაგალითად, 2004 წელს, იარნო ტრული ჩემზე უფრო ხშირად ადიოდა პოდიუმზე, ფიზიკელამ კი, 2005 და 2006 წლების სეზონი ჩემზე კარგად დაიწყო.

- რის ხარჯზე შეძელით ჰემილტონის გასწრება?

- ჩემი ერთადერთი შანსი იყო ის, რომ პიტ-სტოპებზე შესვლის წინ, დიდად არ ჩამოვრჩენილიყავი მას. მაგრამ, წრეზე ჩამორჩენილმა "ტოიოტამ" ცოტათი შემაფერხა და ჩემი გეგმა კინაღამ წყალში ჩაიყარა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და საშინელი სტარტის შემდეგ, ცოტათი გამომიკეთდა ხასიათი.

- როგორც ჩანს, წლევანდელი სეზონის მთავარი ინტრიგა "მაკლარენისა" და "ფერარის" ორთაბრძოლა იქნება...

- ძალიან მინდა ამისი მჯეროდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მზად ვართ მაყურებლები დაძაბული ბრძოლით გავახაროთ.

- თუმცა, ავსტრალიის გრან-პრით თუ ვიმსჯელებთ, ჯერჯერობით "ფერარის" შესამჩნევი უპირატესობა აქვს. ეს არ გაშინებთ?

- ცოტათი კი. მაგრამ კვლავაც სერიოზულად ვფიქრობთ ჩემპიონის ტიტულზე. პირველმა ეტაპმა დაგვანახა, რომ კვალიფიკაციის პირველ ნაწილში, იტალიურ გუნდს არაფერში ჩამორჩებით, მაგრამ ხანგრძლივი რბოლისას მართლაც გვექმნება გარკვეული პრობლემები. სასწრაფოდ რაღაც უნდა შევცვალოთ. თანაც, არა მარტო "მაკლარენმა", რადგან თუ "ფერარის" კვალიფიკაციაში ჩვენს გარდა კიდევ ჰყავდა კონკურენტები, კვირას რაიკონენმა ძალიან იოლად მოიშორა მეტოქეები.

- ნუთუ, უახლოეს ეტაპებზე მას ვერავინ დაეწევა?

- ალბათ, ვერა. ჩემი გუნდისთვის მთავარია, რომ პირველ ხუთ რბოლაში სერიოზული შეცდომები არ დაუშვას, რეგულარულად დააგროვოს ქულები და შემდეგ, როცა საკუთარი ბოლიდის შესაძლებლობები ბოლომდე ეცოდინება, პირველი ადგილისთვის დაიწყოს ბრძოლა.

- ალბათ, ბევრი რამ გუნდის ინჟინრებზე იქნება დამოკიდებული?

- რა თქმა უნდა. მათ შეუძლიათ მანქანა უფრო სწრაფი და გამძლე გახადონ, მაგრამ პილოტის როლიც ნუ დაგვავიწყდება.

- გაგვანდეთ თქვენი შთაბეჭდილებები "მაკლარენის" შესახებ. როგორ გამოიყურება ის "რენოსთან" შედარებით?

- გუნდების შედარება ძნელია და არც არის ჩვენში მიღებული. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ "მაკლარენში" შესანიშნავი ატმოსფეროა, რადგან მთელი პერსონალი წარმატებაზე ფიქრობს და ამისთვის, მთელი ზამთარი კოლოსალური სამუშაოც გასწია.

- რა გაიფიქრეთ ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ?

- ის, რომ ეს ბოლიდი გამარჯვების მისაღწევად აშკარად გამოდგება.

- არ ნანობთ, რომ გუნდი შეიცვალეთ?

- პირიქით, ბედნიერი ვარ. ერთი წამითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ კვლავ შემიძლია უმაღლესი ტიტულის მოგება.

- "რენოში" "მიშლენის" საბურავებით ასპარეზობდით, ახლა კი, მწარმოებელი შეიცვალა. ამას რაიმე სირთულე ხომ არ გამოუწვევია?

- არ დაგიმალავთ, რომ სხვაობა საკმაოდ დიდია და ამის გამო, მართვის სტილის შეცვლაც კი დამჭირდა. მშურს დებიუტანტი ავტომრბოლების, რომლებმაც ვერ მოასწრეს "მიშლენის" საბურავებზე შეჩვევა. მათ ახალ სიტუაციასთან შეგუება უფრო გაუადვილდათ, ვიდრე მე.

- ბოლო ორი სეზონის განმავლობაში, "რენოში" თქვენ და ფიზიკელა აუცილებლად იგებდით პირველ სამ რბოლას. მალაიზიისა და ბაჰრენის რბოლებამდე ეს გარკვეულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას არ განიჭებთ?

- ბუნებრივია.

- თქვენი აზრით, როგორ განვითარდება ამ ეტაპებზე მოვლენები?

- ადრეც მომხდარა, რომ "ფერარი" ზამთრის ტესტებზე საუკეთესო შედეგებს აჩვენებდა, მაგრამ იწყებოდა ჩემპიონატი და ჩვენ ვახერხებდით ბევრი მაჩვენებლით მთავარ კონკურენტთან გათანაბრებას. ვფიქრობ, მსგავსი რამ შეიძლება ამჯერადაც მოხდეს. როგორც დარწმუნდით, "მაკლარენს" შეუძლია უმაღლესი დონის კონკურენციას გაუძლოს.

- "რენოში" გაიზარდეთ და "მაკლარენში" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის რანგში გადახვედით. რამენაირად შეიცვალა თქვენი როლი გუნდში?

- "რენოში" ინჟინრებს უკეთ ესმოდათ ჩემი, რადგან იქ დიდი დრო მქონდა გატარებული. თუმცა, "მაკლარენში", სპეციალისტები ჩემს ყველა რჩევას იღებენ და ეს მისასალმებელია.

- ახალ გუნდში ყველაზე ძალიან რამ მოგხიბლათ?

- ლიმუზინმა, რომელიც მე აეროპორტსა და ფაბრიკაში მხვდებოდა... გარდა ამისა, მოვიხიბლე სპონსორების დიდი რაოდენობით. როგორც დავრწმუნდი, ამ გუნდს დიდი შესაძლებლობები გააჩნია და მხოლოდ ისღა დამრჩენია, ეს ყველაფერი სწორად გამოვიყენო და მესამედ გავხდე მსოფლიო ჩემპიონი.

- თქვენ შეძელით მიხაელ შუმახერის ორჯერ დამარცხება. იქნებ, გაკლიათ მასთან პაექრობა?

- მასთან კონკურენცია მაკლია? არა, რას ამბობთ! თუმცა, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო ამ უდიდესი პილოტის დამარცხება.

- ბოლო დროს, ჯიუტად საუბრობენ იმაზე, რომ მელბურნში რბოლა ღამის საათებში უნდა გაიმართოს. ამ იდეას როგორ უყურებთ?

- იანვარში, ვალენსიაში ჩვენი ბოლიდი ღამით წარვადგინეთ და მიუხედავად ხელოვნური განათებისა, რბოლა ძალიან რთული იყო. ასე რომ, ვერ წარმომიდგენია გრან-პრის ელექტროგანათების ქვეშ ჩატარება. თუმცა, არაერთხელ დავრწმუნებულვარ იმაში, რომ ფორმულა 1-ში ყველაფერია შესაძლებელი.

დავით ჩუბინიძე

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმპარიანი (ტ.: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ.: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დელოგი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა